ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ახალი უნივერსიტეტი

6 დეკემბერი, 2017 | ოთხშაბათი, №12 (2214)

ზაალ კოკაია ევროპის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს



ევროპის მეცნიერებათა აკადემიას (Academia Europaea) საქართველოდან კიდევ ერთი მეცნიერი შეემატა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, ლუნდის უნივერსიტეტის პროფესორი ზაალ კოკაია ევროპის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს.

ევროპის მეცნიერებათა აკადემიის (Academia Europaea) წევრები საქართველოდან ასევე არიან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე და საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორი დავით ლორთქიფანიძე.

ალექსანდრე ცისკარიძე ვიცე-რექტორად დაინიშნა

თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის კათედრის პროფესორი, დარგის საერთაშორისოდ აღიარებული ექსპერტი ალექსანდრე ცისკარიძე რექტორის მოადგილედ დაინიშნა.

რექტორის მოადგილეობამდე ალექსანდრე ცისკარიძე 2009 წლიდან თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი იყო. იგი არის ინსულტის ევროპული ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და სხვა მრავალი საერთაშორისო საზოგადოების წევრი, არაერთი საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო ჯილდოს მფლობელი, რამდენიმე საერთაშორისო ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი და რეცენზენტი.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 100 წლის ხდება. საუკუნოვან იუბილეს იუნესკოს ეგიდით აღვნიშნავთ. ამ ღონისძიების ლაიტმოტივი იქნება ის, რომ უნივერსიტეტში შეიქმნება და განვითარდება ძლიერი კვლევითი ბაზა. ამას, რა თქმა უნდა, სჭირდება მაღალპროფესიული მიდგომა. ამ გადასახედიდან გაცნობებთ, რომ ალექსანდრე ცისკარიძე თსუ-ის პროექტორი გახდა“, — განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

ალექსანდრე ცისკარიძის რექტორის მოადგილედ დანიშვნას განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი გამოეხმაურა. თსუ-ის ყოფილმა პროექტორმა მას ახალი მოვალეობის შესრულების პროცესში წარმატებები უსურვა და სრული მხარდაჭერა აღუთქვა.

„ჩემი პროექტორობის პერიოდში მე და ბატონი ალექსანდრე ხშირად ვმუშაობდით ერთად. იგი ბრწყინვალე ორგანიზატორია და თავისი საქმის პროფესიონალი. მიხარია, რომ მან თსუ-ში სამეცნიერო მიმართულება ჩაიბარა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახელით ვიტყვი, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივებს, მათ შორის სამეცნიერო მიმართულებით, სრული მხარდაჭერა ექნება“, — აღნიშნა მიხეილ ჩხენკელმა.

თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე 29 ნოემბერს ფაკულტეტის საბჭომ დეკანის მოვალეობის შემასრულებლად ყოფილი მოადგილე, პროფესორი დიმიტრი კორძაია აირჩია. მედიცინის ფაკულტეტის საბჭომ დეკანის არჩევნების ჩატარების თარიღად 2018 წლის 22 იანვარი გამოაცხადა. დეკანის თანამდებობის დაკავების მსურველი პირების განცხადებების მიღება 2018 წლის 8 იანვრიდან დაიწყება და 18 იანვარს დასრულდება.

„თსუ არტი“ ბაქოში ფესტივალზე მიიღებს მონაწილეობას

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკალური ბენდი „თსუ არტი“ აზერბაიჯანში გამგზავრებამდე რეპეტიციებს გადის. სახელმწიფო უნივერსიტეტის ბენდი 5-14 დეკემბერს ხელოვნებისა და მუსიკის ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც „გოეთე-ცენტრუმის“ ორგანიზებით ბაქოში გაიმართება. ფესტივალში მონაწილეობას იღებენ ბენდები და შემსრულებლები სხვადასხვა ქვეყნებიდან. მონაწილეთა შორის არიან მუსიკალური ჯგუფები აზერბაიჯანიდან, გერმანიიდან, ყაზახეთიდან, თურქეთიდან. „თსუ არტი“ საქართველოდან ერთადერთი მონაწილეა. ფესტივალის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის მუსიკალური და გასართობი ღონისძიებები.

ნომერში

■ პირველი ქართველი ექიმი, რომლის ნაშრომიც კემბრიჯის საუნივერსიტეტო გამომცემლობამ დაბეჭდა



გვ. 2

■ „ჰორიზონტი 2020“-ის საინფორმაციო დღე რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში — გვ. 3

■ თსუ-ის ახალგაზრდა მეცნიერთა მორიგი წარმატება — გვ. 3

■ გამოყენებითი სამეცნიერო პროექტი მეწყრების მონიტორინგისა და ადრეული შეტყობინების სისტემების შესახებ — გვ. 4

■ ახალი „სტუდენტების გაერთიანება“ და ახალი ინიციატივები — გვ. 5

■ რატომ არის ბულინგის შემთხვევები გაზრდილი? — გვ. 8

■ ინესა მერაბიშვილის თარგმანის წყალობით ლონდონშიც აღმოაჩინეს გალაკტიონი — გვ. 10

პირველი ქართველი ექიმი, რომლის ნაშრომიც კემბრიჯის საუნივერსიტეტო გამომცემლობამ დაბეჭდა

ნატო ობოლაძე

თსუ-ის ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის დეპარტამენტის პროფესორის ალექსანდრე ცისკარიძის სამეცნიერო მონოგრაფია — „მკურნალობასთან დაკავშირებული ინსულტი“ — კემბრიჯის საუნივერსიტეტო გამომცემლობამ დაბეჭდა. ქართველი ექიმი წიგნზე მსოფლიოში აღიარებულ ნევროლოგებთან ერთად მუშაობდა. ალექსანდრე ცისკარიძესთან ერთად, წიგნს ორი თანაავტორი ჰყავს — ლუნდის (შვედეთის) უნივერსიტეტის პროფესორი არნე ლინდგრენი და მინესოტას (აშშ) უნივერსიტეტის პროფესორი ადნან კურეში. წიგნი თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს — ინსულტის თემას ეხება და მოიცავს იატროგენურ და ინტრაჰოსპიტალურ ინსულტებს. წიგნში მოცემული თემატიკის აქტუალობას განაპირობებს თანამედროვე ეტაპზე დიაგნოსტიკური და სამკურნალო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება; ინვაზიური მეთოდების სიჭარბე; „აგრესიული“ სამკურნალო ტექნოლოგიების დანერგვა, მათ შორის მედიკამენტურ მკურნალობაში; მაღალ ეფექტიანობასთან ერთად გართულებების/გვერდითი მოვლენების მომატებული რისკი და ყველა ამ მოვლენის ასახვის სიმწირე თანამედროვე სამედიცინო ლიტერატურაში.



წიგნში — „მკურნალობასთან დაკავშირებული ინსულტი“ — თითოეული შემთხვევა დაწვრილებით არის მიმოხილული. მათზე 15 ქვეყნიდან მოწვეული ნევროლოგიის წამყვანი სპეციალისტები მუშაობდნენ. შედეგად შეიქმნა ნაშრომი ნევროლოგებისთვის, კარდიოლოგებისთვის, ინტენსიური თერაპიის სპეციალისტებისთვის, ინტერვენციული რადიოლოგებისთვის, სისხლძარღვთა და ზოგადი ქირურგებისთვის, მეან-გინეკოლოგებისთვის, ონკოლოგებისთვის და შეავსო ის დიდი სიცარიელე, რომელიც ამ თემატიკის მიმართულებით მსოფლიო სამედიცინო ლიტერატურაში არსებობდა.

აღსანიშნავია, რომ ეს გახლავთ პირველი შემთხვევა, როდესაც კემბრიჯის საუნივერსიტეტო გამომცემლობა ქართველი ექიმის მოღვაწეობით დაინტერესდა და მისი ნაშრომი გამოსცა.

„ამ ნაშრომს რამდენიმე წელი მოვანდომე. არც თუ ისე იოლი გახლდათ ამ საქმის დაგვირგვინება. წიგნს ჰქვია „მკურნალობასთან დაკავშირებული ინსულტი“ და გარდა ამ დეფინიციისა, მოიცავს ინტრაჰოსპიტალურ და იატროგენურ ინსულტებს. იატროგენური ნიშნავს სხვადასხვა დიაგნოსტიკური თუ სამკურნალო პროცედურით გამოწვეულ მდგომარეობას. მოგეხსენებათ, დღეს ძალიან სწრაფად ვითარდება სხვადასხვა დიაგნოსტიკური და სამკურნალო ტექნოლოგიები, განვითარებულია ე.წ. აგრესიული მკურნალობის საშუალებები... ყოველივე ეს განსაკუთრებით გამოიყენება სხვადასხვა ავთვისებიანი სიმსივნური დაავადებების დროს და მაღალეფექტიანობით გამოირჩევა, თუმცა მათ ახასიათებთ გვერდითი მოვლენები — მათ შორის თავის ტვინის სისხლძარღვოვანი დაავადებების რისკი. აღმოჩნდა, რომ ამ თემატიკას სამედიცინო ლიტერატურაში მაინცდამაინც დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია. 2011 წელს ინსულტის საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ინიციატივით გამოვედი, რომ აღნიშნული მიმართულებით სპეციალური სესია ან კონფერენცია ჩატარებულიყო, რასაც ხელმძღვანელობისგან მყისიერი გამოხმაურება მოჰყვა: დაინერგა სასწავლო კურსი, რომელიც 2011 წელს პირველად ჩატარდა ჰამბურგში ევროპის ინსულტის კონფერენციაზე, მომდევნო წელს ლისაბონში და ეს აქტივობები დღესაც წარმატებით გრძელდება. ამავე პერიოდში კემბრიჯის საუნივერსიტეტო გამომცემლობის ე.წ. კომისიონერი დამიკავშირდა და შემომთავაზა მკურნალობასთან დაკავშირებული ინსულტის თემაზე მონოგრაფიის დაწერა. სასწავლო კურსი ლუნდის (შვედეთი) უნივერსიტეტის პროფესორ არნე ლინდგრენთან ერთად მიმყავდა. შემდეგ მოვიწვიეთ მინესოტას (აშშ) უნივერსიტეტის პროფესორი ადნან კურეში და ასე ჩამოყალიბდა ჩვენი სამეული“, — აღნიშნა ალექსანდრე ცისკარიძემ.

წიგნის „მკურნალობასთან დაკავშირებული ინსულტი“ პრეზენტაციას თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები, პროფესორები და სტუდენტები დაესწრნენ.

„ეს არის პირველი შემთხვევა საქართველოს ისტორიაში, როდესაც ქართველი ექიმის ნაშრომი კემბრიჯის საუნივერსიტეტო გამომცემლობამ გამოსცა, რაც ჩვენთვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის დიდი პატივია. ბატონმა სანდრომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი პროფილის გასამყარებლად“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

„წიგნი მსოფლიო მნიშვნელობისაა. ის ფაქტი, რომ ნაშრომი კემბრიჯის უნივერსიტეტის მიერ არის გამოცემული, ძალიან დიდი საერთაშორისო აღიარებაა როგორც ბატონი ალექსანდრე ცისკარიძის მოღვაწეობისა, ასევე ჩვენი ქართული სამედიცინო სკოლის. ვულოცავ უნივერსიტეტს და ქვეყანას, რომ ქართველმა მეცნიერმა შეძლო ამ მწვერვალის დაპყრობა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს სამედიცინო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციისთვის, რომელიც, იმედია, მალე განხორციელდება. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლავთ, ასევე, უცხოელი სტუდენტების საქართველოში მოზიდვის კუთხითაც“, — განაცხადა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა.

ალექსანდრე ცისკარიძის ნაშრომს ქართველი სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები აფასებენ, როგორც ფასდაუდებელ შენაძენს არა მხოლოდ მეცნიერებისთვის, არამედ პრაქტიკულ სამედიცინო საქმიანობაში ჩართული სპეციალისტებისთვისაც.

„ვამაყობთ, რომ კემბრიჯის საუნივერსიტეტო გამომცემლობამ გამოსცა ეს მონოგრაფიული კვლევა. ნაშრომში სრულიად დომინირებს არა კაბინეტში, ლაბორატორიაში მომუშავე ექიმის ინტერესი, არამედ იმ ექიმის, რომელიც კლინიკაში ცხოვრობს და აზროვნებს. წიგნი კლინიკური მოტივაციით არის შექმნილი. ეს განაპირობებს მის ეფექტურ გამოყენებას და იმედია, რომ ამ სამეულის ნაშრომი მნიშვნელოვან ადგილს დაიმკვიდრებს ყოველდღიურ ნევროლოგიურ პრაქტიკაში“, — განაცხადა პეტრე სარაჯიშვილის სახელობის ნევროლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა რომან შაქარიშვილმა.

„კემბრიჯის საუნივერსიტეტო გამომცემლობას, აკადემიურ გამომცემლობებს შორის, საუკეთესო რეიტინგი აქვს. ამ გამომცემლობის მიერ წიგნის დაბეჭდვა თავისთავად ღირსშესანიშნავი მოვლენაა და ეს მით უფრო საამაყოა, რომ პროფესორი ალექსანდრე ცისკარიძე არის არა მხოლოდ რომელიმე ერთი თავის ავტორი, არამედ გახლავთ მისი რედაქტორიც (მსოფლიოში ცნობილ ორ მეცნიერთან ერთად). ეს ნაშრომი უნდა გამოიყენოს ყველა ექიმმა, რომელიც ნევროლოგიაში მუშაობს და ყველა მკვლევარმა, ვინც ინსულტს იკვლევს“, — აღნიშნა თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, პროფესორმა დიმიტრი კორძაიამ.

ალექსანდრე ცისკარიძის წიგნი „მკურნალობასთან დაკავშირებული ინსულტი“ ინგლისურენოვანია. ნაშრომი უკვე განთავსებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში და, შესაბამისად, ხელმისაწვდომია ქართველი მეცნიერებისთვის, სტუდენტებისთვის და ყველა დაინტერესებული ადამიანისთვის. გარდა ამისა, მისი ელექტრონული ვერსია „კემბრიჯ ქორის“ ონლაინ ბაზაშიც არის, რომელიც კემბრიჯის აკადემიური გამოცემების გასაერთიანებლად სრულიად ახალ პლატფორმას წარმოადგენს. რაც შეეხება ნაშრომის ყიდვას, ჯერჯერობით, საქართველოში მისი შეძენა შეუძლებელია. ალექსანდრე ცისკარიძის ინფორმაციით, წიგნი „მკურნალობასთან დაკავშირებული ინსულტი“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სასწავლო პროგრამაში მომავალი სემესტრიდან ოფიციალურად შევა.

ნაშრომის „მკურნალობასთან დაკავშირებული ინსულტი“ პრეზენტაცია 24 ნოემბერს გაიმართა.

„ჰორიზონტი 2020“-ის საინფორმაციო დღე რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში

მაია ტორაძე

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და EaP PLUS პროექტის ორგანიზებით, მიმდინარე წლის 21 ნოემბერს პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ის საინფორმაციო დღე გაიმართა.

ღონისძიების მიზანი იყო საქართველოს მეცნიერთა ცნობიერების ამაღლება პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ისა და შესაბამის კონკურსებში მონაწილეობის შესახებ.

საინფორმაციო დღის ფარგლებში მომხსენებლებმა განიხილეს „ჰორიზონტი 2020“-ის 2018-2020 წლების სამუშაო პროგრამა, კონკურსებში მონაწილეობის სამართლებრივი და ფინანსური საკითხები, საქართველოს მეცნიერთათვის საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობები (მათ შორის Grants for Networking), საპროექტო წინადადებების შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები. ღონისძიებაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო „ჰორიზონტი 2020“-ის ახალი სამუშაო პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ SPIRE-ის (Sustainable Process Industry) კონკურსებსა და მათში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების (მათ შორის, საქართველოს) ჩართულობის პრიორიტეტულობას. შესაბამისად, ღონისძიება განსაკუთრებით ინფორმატიული იყო ენერგეტიკის მიმართულების მკვლევრებისთვის.

„ჰორიზონტი 2020“-ის საინფორმაციო დღეს ესწრებოდნენ ქართველი სამეცნიერო წრის წარმომადგენლები და ახალგაზრდა მკვლევრები. შეხვედრაზე განიხილეს „ჰორიზონტი 2020“-ის ახალი სამუშაო პროგრამა (2018-2020 წლებისთვის), მის ფარგლებში გამოცხადებული სხვადასხვა თემატური კონკურსი, მათში მონაწილეობის პირობები, საპროექტო წინადადების შეფასების, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო SPIRE-ის (Sustainable Process Industry) კონკურსებსა და მათში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების (მათ შორის, საქართველოს) ჩართულობის პრიორიტეტულობას.

ამ მიმართულებით შეხვედრაზე მოხსენებები წარადგინეს „ჰორიზონტი 2020“-ის ეროვნულმა საკონტაქტო პირმა (NCP) ნატალია შათირიშვილმა და SPIRE-ის საკონტაქტო პირმა მარიტა არაბიძემ.

საინფორმაციო დღის მომხსენებელთა შორის იყვნენ ინფორმაციული და სამეცნიერო განვითარების რეგიონალური ცენტრის (RCISD, უნგრეთი) სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი ბელა კარდონი და საერთაშორისო ექსპერტი ადამ დავიდი, რომელთაც მიმოიხილეს „ჰორიზონტი 2020“-ის ფინანსური და იურიდიული საკითხები, EaP PLUS-ის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსი Grants for Networking და სხვ. ასევე აღსანიშნავია, რომ მომხსენებელთა შორის იყო გერმანიაში მოღვაწე, მაქს პლანკის უჯრედის მოლეკულური ბიოლოგიისა და გენეტიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი, პროფესორი თეიმურაზ კურცხალია.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. დამსწრე საზოგადოებას შეეძლო მომხსენებლებისთვის სხვადასხვა საკითხზე შეკითხვების დასმა. ამ მხრივ, განსაკუთრებული აქტივობით შეხვედრის მე-3, დასკვნითი სესია გამოირჩეოდა, რომელიც „ჰორიზონტი 2020“-ის ეროვნული საკონტაქტო პირების მიერ წარიმართა და სამუშაო პროგრამიდან სამ პრიორიტეტულ მიმართულებას დაეთმო (ჯანდაცვა, დემოგრაფიული ცვლილება და კეთილდღეობა (NCP მაია ოკუჯავა); ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (NCP გივი ქოჩორაძე); საკვების უსაფრთხოება, მდგრადი სოფლის მეურნეობა და მეტყევეობა, საზღვაო და ზღვის კვლევები და ბიოეკონომიკა (NCP ვლადიმერ ელისაშვილი).

მანანა მიქაბერიძე,
შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი:

— რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ევროკავშირის ჩარჩო პროგრამების გასაძლიერებლად საინფორმაციო დღეებსა და სხვადასხვა ტიპის სემინარებს საკმაოდ ხშირად ატარებს, თუმცა ეს დღე გამორჩეული იყო, რადგან მას ზოგადი ხასიათი არ ჰქონდა.

ეს პროექტი (EaP PLUS), რომელმაც რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან ერთად გაუწია ორგანიზება საინფორმაციო დღეს, მხარდაჭერილია „ჰორიზონტი 2020“-ის პროგრამების მიერ და მასში მონაწილეობს 16 სხვადასხვა ინსტიტუცია, როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის, ასევე ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან.

საინფორმაციო დღის პროგრამა რამდენიმე ნაწილისგან შედგებოდა. მასში გათვალისწინებული იყო კომპონენტები პროექტის წერის, მათ შორის, საფინანსო და სამართლებრივი საკითხების და იმ უნარ-ჩვევების შესახებ, რომელიც მეცნიერს უნდა ჰქონდეს „ჰორიზონტი 2020“-ის პროგრამაში წარმატების მისაღწევად. თუმცა, მთავარი, რაც ამ საინფორმაციო დღეს გამოარჩევდა, იყო ფოკუსი გარკვეულ თემატურ პრიორიტეტებზე. დაინტერესებულმა საზოგადოებამ იცის, რომ „ჰორიზონტი 2020“-ის სამუშაო პროგრამაში ოქტომბრიდან შესაბამის საიტებზე უკვე დევს საკონკურსო მოთხოვნების განაცხადი. ის მოიცავს 2018-2020 წლების კონკურსებს და ძირითადი აქცენტი გადატანილია ენერგეტიკის სფეროზე. შესაბამისად, ჩვენ საინფორმაციო დღეზე მოვიწვიეთ კონკრეტული და მიზნობრივად გათვლილი აუდიტორია, რომელიც დაინტერესებულია ამ სამეცნიერო მიმართულებით.

ჩვენი ფონდი ხშირად ატარებს და მომავალშიც გაუწევს ორგანიზებას არა მხოლოდ საინფორმაციო დღეებს, არამედ მიზნობრივ საშუამავლო ღონისძიებებს, რომელზეც მოხდება სამეცნიერო ინსტიტუციების წარმომადგენლების დაკავშირება არასამეცნიერო, მათ შორის, ბიზნესის და არასაჯარო სექტორის წარმომადგენლებთან, რადგან „ჰორიზონტი 2020“-ის პროგრამაში ეს კომპონენტი ძალიან ძლიერია. მის ფარგლებში ტარდება მთელი რიგი კონკურსები, რომლის მიზანია საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტა, ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს კლიმატის ცვლილებებთან, ტრანსპორტის საკითხებთან, საზოგადოების უსაფრთხოებასთან, ჯანდაცვასთან და ა.შ.. „ჰორიზონტი 2020“ სწორედ იმით გამოირჩევა, რომ ამ პროგრამით მხოლოდ ფუნდამენტური კვლევები არ ფინანსდება. ცხადია, არსებობს ევროპული საბჭოს პროგრამები, რომელიც ნამდვილად აფინანსებს კვლევებს, მაგრამ სხვა კონკურსები, ძირითადად, მაინც გამოყენებით სამეცნიერო კვლევების მიმართულებაზეა ორიენტირებული და აქ არასამეცნიერო და სამეცნიერო სექტორებს შორის თანამშრომლობა მნიშვნელოვანია.

თსუ-ის ახალგაზრდა მეცნიერთა მორიგი წარმატება

მაია ტორაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2017 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის ლიდერია. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის კონკურსში გამარჯვებული 23 პროექტიდან 6 პროექტის (გამარჯვებული პროექტების 26%) ავტორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერები არიან.

კონკურსში მონაწილეობა შეეძლო ახალგაზრდა მეცნიერს, დოქტორს, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც დოქტორის ხარისხი მინიჭებული უნდა ჰქონდა კონკურსის გამოცხადების თარიღამდე 7 წლის განმავლობაში. კონკურსი გამოცხადებული იყო 7 სამეცნიერო მიმართულებით: ინჟინერია და ტექნოლოგიები, საბუნებისმეტყველო, სამედიცინო და ჯანმრთელობის, აგრარული, ჰუმანიტარული, სოციალური და საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები.

უნდა ითქვას, რომ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ ახალგაზრდა მეცნიერთა საგრანტო კონკურსში თსუ-ის ახალგაზრდა მკვლევრები ტრადიციულად ლიდერობენ. ეს ის თაობაა, რომელიც ახალი ბირთვი უნდა გახდეს საუნივერსიტეტო სამეცნიერო კვლევებში და რომელსაც დაეფუძნება ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის ზრდა, საგანმანათლებლო დაწესებულების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაძლიერება და გაუმჯობესება.

2017 წლის კონკურსის პირობების თანახმად, პროექტი შეიძლება ყოფილიყო ერთი ან ორწლიანი, 30000-დან 60000 ლარის ფარგლებში. ამასთან, ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მხარდაჭერა მოიცავს: ა) ახალგაზრდა მეცნიერის სტიპენდიას, ბ) კვლევითი საქმიანობის ხარჯებს: მათ შორის, დამხმარე პერსონალის ანაზღაურების ხარჯებს; საველე სამუშაოებისა და ექსპედიციის ხარჯებს; პროფესიული ლიტერატურის შეძენის ხარჯებს; სამეცნიერო ღონისძიებისა (კონფერენცია, კონგრესი, ტრენინგი და სხვა) და/ან კვლევითი ვიზიტისათვის საჭირო ხარჯებს; პროფესიული ასოციაციის წევრობის ხარჯებს; და რასაკვირველია, კომპიუტერული და კვლევისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის ხარჯებს. ამავდროულად, ახალგაზრდა მეცნიერს შეუძლია დაიფინანსოს კვლევის შედეგების პრეზენტაციის ხარჯები, მათ შორის სტატიის/მონოგრაფიის გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ხარჯები.

წელს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსზე 238 საპროექტო განაცხადი დარეგისტრირდა, რომლიდანაც 15 მოიხსნა. დარჩენილი 223 პროექტიდან დაფინანსდა 40. დაფინანსება თსუ-ის დოქტორანტების 14-მა პროექტმა მოიპოვა, რაც საერთო რაოდენობის 35%-ია.

როგორც ჩვენთან საუბარში თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი გიორგი ღვედაშვილი ამბობს, ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში ინტეგრირება უაღრესად მნიშვნელოვანია: „ახალგაზრდა მკვლევრების სადოქტორო კვლევების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში განხორციელების ხელშეწყობა, სამეცნიერო კვლევისათვის სათანადო პირობების შექმნა, დამეთანხმებით, ძალიან მნიშვნელოვანია. გამარჯვებულ დოქტორანტებს დაენიშნებათ სტიპენდია, დაუფინანსდებათ სადოქტორო კვლევისთვის საჭირო ხარჯები, საზღვარგარეთ სტაჟირებისა და კონფერენციაზე გამგზავრება/მონაწილეობის ხარჯების ჩათვლით. მნიშვნელოვანია, რომ ფონდის პირობების თანახმად, ორივე კონკურსისათვის გრანტის მიმღები ვალდებულია, პროექტით გათვალისწინებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით გამოაქვეყნოს — მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატია საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემებში, ან წარმოადგინოს ცნობა სტატიის გამოსაქვეყნებლად უფლების მიღების შესახებ“.

გიორგი ღვედაშვილი

საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემად ფონდის მიერ განიხილება ის ჟურნალები, საკონფერენციო კრებულები და წიგნები, რომლებიც ინდექსირებულია შემდეგ რეიტინგებში: Scimago Journal Ranking, Scopus, ERIH plus. ასევე, შესაძლებელია გამოქვეყნება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით გამოცემულ საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად ჟურნალებში: Transactions of A.Razmadze Mathematical Institute (ანდრია რაზმაძის მათემატიკური ინსტიტუტის ნაშრომები) და Annals of Agrarian Science (აგრარულ მეცნიერებათა მატიანე).

ზემოაღნიშნული მოთხოვნები კი იმის საწინდარია, რომ მაღალხარისხიანი სამეცნიერო-კვლევითი პროდუქცია შეიქმნება.

გამოყენებითი სამეცნიერო პროექტი მეწყრების მონიტორინგისა და ადრეული შეტყობინების სისტემების შესახებ

მაია ტორაძე

საქართველო იმ რთული რელიეფის მქონე ქვეყნებს მიეკუთვნება, რომელშიც არა ერთი მეწყერსაშიში ზონაა და მათი გააქტიურების შემდეგ დიდი ზარალი ადგება როგორც ეკოლოგიას, ასევე მოსახლეობას. მაგალითისთვის შეგვიძლია გავიხსენოთ 2015 წლის 13 ივნისს მდინარე ვერეს ხეობაში მომხდარი ტრაგედია და დარიალის ხეობაში განვითარებული გლაციალური ღვარცოფები, რომელთა მიზეზიც ყოველ ჯერზე დევდარაკის მყინვარის ჩამოშლაა (დევდარაკის მყინვარი ცნობილია თავისი მძლავრი ყინულოვანი ჩამოზვავებით, რომელიც აღინიშნა 1776, 1778, 1785, 1808, 1817, 1832 და 2007 წლებში. უკანასკნელი ღვარცოფი ამ ხეობაში 2014 წელს დაფიქსირდა, როცა მილიონნახევრ კუბურ მეტრზე მეტმა ყინულისა და მიწის მასამ მდინარე თერგის დაგუბება, ადამიანთა მსხვერპლი და კატასტროფული ნგრევა გამოიწვია).

მეცნიერთა მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოში 40 000 (ზოგი მონაცემით, 50 000) მეწყრული უბანია. გარემოს დაცვის სამინისტრო და შესაბამისი დაწესებულებები მათზე დაკვირვებას მუდმივად ახორციელებენ, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მსოფლიოში არ არსებობს რაიმე ხერხი ან მოწყობილობა, რომელიც ამ მოვლენას შეაჩერებს. რჩება ერთი გზა — ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც მეწყერის გააქტიურების საშიშროებას ავტომატურ რეჟიმში დააფიქსირებს. ამგვარი სისტემები და დანადგარები მსოფლიოს არა ერთ ქვეყანაში გამოიყენება და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომაც შეიძინა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ ზუსტი მონიტორინგის/ადრეული შეტყობინების სისტემების (აშს) ფასი ძალიან მაღალია (ათეული და ასეული ათასობით ამერიკული დოლარი), რაც განვითარებადი ქვეყნებისათვის საჭირო რაოდენობით მათ შესყიდვას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის.

ამდენად, გამოყენებითი სამეცნიერო პროექტი, რომელიც შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსდა და რომელიც „მეწყრების მონიტორინგის და ადრეული შეტყობინების ეკონომიური ტელემეტრული სისტემის“ შექმნას ითვალისწინებს, ძალზედ აქტუალური და ქართული რეალობისთვის აუცილებელია.

პროექტს, რომლის ღირებულება 236 ათასი ლარია, ახორციელებს თსუ-ის მ. ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერთა დიდი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც არიან ძირითადი შემსრულებლები: აკადემიკოსი თამაზ ჭელიძე (პროექტის ხელმძღვანელი), ნუგზარ ღლონტი, ზურაბ ჭელიძე, თენგიზ ქირია, ნოდარ ვარამაშვილი და დამხმარე პერსონალი: დავითი ჭედია (ინჟინერი), ჯემალი ქირია (გეოფიზიკოსი), ნინო თანიაშვილი (ტექნიკოსი), ზვიად მაღრაძე (ტექნიკოსი), დიმიტრი ამილახვარი (თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულების სტუდენტი, ლაბორანტი) და ლევან დვალი (თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულების სტუდენტი, ლაბორანტი).

მეწყერი, როგორც სხვადასხვა ლექსიკონშია განმარტებული, არის მიწის მასების ან ქანების ფენის მოწყვეტა და გადაადგილება მთის კალთაზე ან ფერდობზე სიმძიმის ძალის გავლენით. იგი უფრო ხშირად იქ წარმოიქმნება, სადაც წყალშემკავებელი (თიხოვანი) და წყლიანი (მაგ., ქვიშა-ხრეშიანი) ქანები ერთმანეთს ენაცვლება და შრეთა დაქანება კალთის დაქანების თანხვედრილია. მეწყერის მიზეზია ქანების წონასწორობის დარღვევა, რასაც იწვევს ფერდობის ძირის გამორეცხვა, გამოფიტვის ან ტენიანების გადამეტების გამო ქანების სიმტკიცის შესუსტება, სეისმური ბიძგები, ადამიანის სამეურნეო საქმიანობა ადგილის გეოლოგიური პირობების გაუთვალისწინებლად და სხვ. მასთან ბრძოლის ეფექტიანი საშუალებაა მთის კალთების გატყიანება, საინჟინრო ნაგებობებით გამაგრება, დრენაჟი და სხვა.

გამოყენებითი სამეცნიერო პროექტი — „მეწყრების მონიტორინგის და ადრეული შეტყობინების ეკონომიური ტელემეტრული სისტემა“, რომელიც ასევე იყო დაფინანსებული ევროსაბჭოსაგან — მიზნად ისახავს ეკონომიური და სანდო გეოფიზიკური მონიტორინგის ტელემეტრული კომპლექსის შექმნას ავტონომური კვებით (მზის ბატარეებით), რომელიც კატასტროფული მოვლენის მოახლოებას და დაწყებას რადიოსიგნალების ან ინტერნეტის საშუალებით გვამცნობს. ამ თითქოსდა შეუთავსებელი მოთხოვნების — ეკონომიურობისა და სიზუსტის — დაკმაყოფილება შესაძლო გახდა თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიების წყალობით.

როგორც პროექტის ხელმძღვანელი, აკადემიკოსი თამაზ ჭელიძე ამბობს, საქმეს აადვილებს ის, რომ ამ სისტემისათვის არ არის აუცილებელი მაღალპრეციზიული ხელსაწყო. „საჭიროა კარგი სანდოობით გამოიყოს სიგნალის მხოლოდ რამდენიმე დონე, რათა შესაძლებელი იყოს ფონური და ანომალური მდგომარეობის გარჩევა. ღვარცოფის/მეწყრის ადრეული შეტყობინების ქსელი მოიცავს მასების მოძრაობის გამომწვევი ორი ძირითადი ფაქტორის მონიტორინგს: ნიადაგის ტენიანობა (შედარებით გრძელვადიანი წინამორბედი) და მექანიკური მოძრაობით გამოწვეული გადაადგილება/აჩქარება/ვიბრაცია (მოკლევადიანი წინამორბედი), რაც მიიღწევა თანამედროვე მცირეფასიანი მიკროსენსორების გამოყენებით. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი მოწყობილობა არის დიაგნოსტიკური სისტემა, რომელიც მუდმივად იღებს ინფორმაციას, ადარებს მათ შეთანხმებულ კრიტერიუმებს (ნიადაგის ტენიანობის და დიფერენციალური აჩქარების

კრიტიკულ მნიშვნელობებს) და იღებს გადაწყვეტილებას განგაშის ტელემეტრული სიგნალის გაგზავნაზე. ჩვენი სისტემა დაახლოებით 500-600 დოლარი ეღირება, რაც გაცილებით იაფია უკვე არსებულ სისტემებზე, რომელთა ღირებულება ასეულ ათას დოლარს აღწევს“, — აღნიშნა მან.

ამ ეტაპზე, ორიგინალური ეკონომიური მონიტორინგის და ადრეული შეტყობინების სისტემის საიმედოობის დასამტკიცებლად, აუცილებელია შორ მანძილზე ტელემეტრული სიგნალის გადამცემის აწყობა და მიღებული შედეგების შედარება ძვირადღირებული სერიული ხელსაწყოების მონაცემებთან.

> თამაზ ჭელიძე: მსოფლიო შრომით ბაზარზე კატასტროფის რისკების შემცირებაზე მომუშავე სპეციალისტებზე ყველაზე დიდი მოთხოვნაა და ეს კურსი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც უნდა იკითხებოდეს, რათა ასეთ რთულ რეგიონში ქართველი სპეციალისტებიც გვყავდნენ და მუდმივად უცხოელებისკენ არ გვეჭიროს თვალი.

სისტემა ნიადაგის გადამეტებული ტენიანობის ან სხვა მიზეზით მეწყერის დაძვრის თაობაზე წინასწარ აწვდის სიგნალს სპეციალურ მოწყობილობას, საიდანაც ხდება ინფორმაციის გადაცემა უახლოეს დასახლებულ პუნქტებსა და სხვადასხვა უწყებებში, რაც თავისთავად მოგვცემს საშუალებას თავიდან ავიცილოთ ზარალი, რომელიც მეწყერს შეიძლება მოჰყვეს.

როგორც ჩვენთან საუბარში გეოფიზიკის ინსტიტუტის მიწვეულმა სპეციალისტმა (კომუნიკაციებისა და ელექტრონული დიზანის მიმართულება) ზურაბ ჭელიძემ განაცხადა, პროექტი, რომელიც იაფი სისტემის შექმნას ითვალისწინებდა, იმითაცაა საინტერესო, რომ მან თავიდან უნდა აგვარიდოს ცრუ განგაში. „ჩვენ ელექტრონული დიზაინისა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით ავაწყვეთ სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს უბნის დიფერენციალურ დაკვირვებას. ცრუ განგაში რომ გამოირიცხოს, გამოყენებული გვაქვს მიკროელექტრული მოწყობილობები, რომლებიც გრძნობენ აჩქარებას და დახრას. ამ სენსორებით შევძლებთ ვაკონტროლოთ ანომალიები მეწყერის ფორმაში, დახრასა თუ აჩქარებულ გადაადგილებაში. კრიტიკული ანომალიის შემთხვევაში კი ის გამოიმუშავებს განგაშის სიგნალს. პროექტის ყველა მონაწილემ უდიდესი სამუშაო გასწია, რომ გვქონოდა ნიადაგის მასების გაწყლოვანების კონტროლის შესაძლებლობა. ამისთვის გამოვიყენეთ შედარებით ეკონომიური მიკროტალღური მოწყობილობა, რომელიც ეფექტურია მოძრავი ობიექტების კონტროლისთვის. დღეისათვის უკვე მზადაა მოწყობილობა, რომელიც უახლოეს დასახლებულ პუნქტს ან სერვერს მიაწვდის ინფორმაციას და რისკის შეფასებას გააკეთებს. დარჩენილია მხოლოდ საველე სამუშაოები, რასაც პროექტის დასრულებამდე გავართმევთ თავს“, — აღნიშნა ზურაბ ჭელიძემ.

ცხადია, გამოყენებითი სამეცნიერო გრანტი იმითაა საინტერესო, რომ მეცნიერება დაუახლოვდეს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტას. ამდენად, „მეწყრების მონიტორინგის და ადრეული შეტყობინების ეკონომიური ტელემეტრული სისტემა“ უნდა მოხვდეს იმ ორგანიზაციების თვალთახედვის არეში, რომელთაც ბუნებრივი კატასტროფების თავიდან აცილება ევალება. ამ საკითხზე ჩვენთან საუბარში გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა ნუგზარ ღლონტმა აღნიშნა, რომ სისტემაზე მუშაობა მეცნიერთა ჯგუფმა ჯერ კიდევ 10-15 წლის წინ დაიწყო და მიღებული და მოსალოდნელი შედეგები ორჯერ გააცნეს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს. „პროექტმა ორივეჯერ მოწონება დაიმსახურა, მაგრამ როგორც კი დაფინანსებაზე მიდგა საქმე (სულ რაღაც 3000 ლარს ვითხოვდით), ყველა გაჩუმდა, არადა ეს მართლაც საჭირო დანადგარია და სახელმწიფოს გაცილებით იაფი დაუჯდება მისი დამონტაჟება და ექსპლუატაცია (შეძენაც), ვიდრე უცხოურისა, რომელსაც ჩვენი სისტემა არაფრით ჩამოუვარდება“, — აღნიშნა მან.

მომავალი კომერციალიზაციის გეგმებზე ასევე გვესაუბრა გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელი, მათემატიკოსი, პროგრამისტი თენგიზ ქირია, რომელმაც აღნიშნა: „მას შემდეგ, რაც ეს პროექტი დაგვირგვინდება სენსორების მუშაობით, მათი ანათვალების მათემატიკური დამუშავებით, მიღებული სიგნალის გადამუშავებით და ჭკვიანი ინფორმაციის სერვერზე მოხვედრით, უკვე შესაძლებელი იქნება მის ერთ კომპლექსურ აპარატად ჩამოყალიბება. საბოლოო ჯამში კი მის კომერციალიზაციაზეც ვიმუშავებთ. ვფიქრობთ, ამ სისტემამ უნდა დააინტერესოს არა მხოლოდ ჩვენი სახელმწიფო უწყებები, არამედ მეზობელი რეგიონებიც. ეს შეიძლება შორი პერსპექტივაა, მაგრამ ჩვენ იმედიანად ვართ და გვგონია, რომ ასეთი ეფექტური და იაფიანი სისტემა კომერციალიზაციის ობიექტი უნდა გახდეს“.

პროექტი უკვე ცნობილია საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისთვის. ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის ნოდარ ვარამაშვილის თქმით, პროექტის შესახებ რამდენიმე სტატია გამოქვეყნდა უცხოურ მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალში. მასში ადრეულ ეტაპზე ჩართულნი იყვნენ საფრანგეთის სტრასბურგის უნივერსიტეტის ჯგუფი და პროფესორი ჟან ფილიპ მალე. ამავე თემაზე მოხსენებები გაკეთდა შვეიცარიაში, ქალაქ დავოსში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე. დღეისათვის მიწვევა აქვთ ქალაქ ლოზანადან, სადაც მოხსენებას წარადგენენ შეტყობინების სისტემების თაობაზე, რომელიც, სენსორების შეცვლის შემთხვევაში ნებისმიერი სხვა პროცესის ადრეული შეტყობინებისთვისაც შეიძლება იქნეს გამოყენებული.

მეცნიერთა ჯგუფი ხელსაწყოს დაპატენტებაზეც ფიქრობს. ეს საკითხი დავალებული აქვს გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს ჯემალ ქირიას, რომელმაც აღნიშნა, რომ უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან (საქპატენტი) და ხელსაწყოს დასრულებისთანავე მასზე საავტორო უფლებებს მიიღებენ.

პროექტის დასრულებამდე სულ რაღაც ერთი წელი დარჩა. როგორც ტექნიკოსმა ზვიად მაღრაძემ გვითხრა, დარჩენილია საველე სამუშაოები, რასაც მოუთმენლად ელიან, რადგან დარწმუნებულნი არიან წარმატებაში.

პროექტის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნაწილი ისაა, რომ მასში თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულების ორი სტუდენტი: დიმიტრი ამილახვარი და ლევან დვალიცაა ჩართული. ისინი აქტიურად იყვნენ დაკავებული ექსპერიმენტებში და როგორც თავად აღნიშნეს, იმ წლებმა, რომელიც გეოფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორიაში გაატარეს, დიდი ცოდნა და გამოცდილება მისცა. ეს კი უკვე იმის მანიშნებელია, რომ მათი მომავალიც გეოფიზიკას დაუკავშირდება.

და ბოლოს, აკადემიკოს თამაზ ჭელიძის აზრით, თსუ-ის გეოფიზიკის ინსტიტუტის ჩართულობა სასწავლო პროცესში მეტად უნდა გაიზარდოს. მისი თქმით, მსოფლიო შრომით ბაზარზე კატასტროფის რისკების შემცირებაზე მომუშავე სპეციალისტებზე ყველაზე დიდი მოთხოვნაა და ეს კურსი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც უნდა იკითხებოდეს, რათა ასეთ რთულ რეგიონში ქართველი სპეციალისტებიც გვყავდნენ და მუდმივად უცხოელებისკენ არ გვეჭიროს თვალი.

ახალგაზრდა მეცნიერთა პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში

თამარ დადიანი

20-23 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით გაიმართა ახალგაზრდა მეცნიერთა პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. სიმპოზიუმის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერებისა და დოქტორანტების სამეცნიერო საქმიანობას და მათი კვლევების პოპულარიზაციას, აამაღლოს მათი სამეცნიერო მოტივაცია და, ამასთანავე, ჰუმანიტარული და ქართველოლოგიური დარგები ჩართოს საერთაშორისო სამეცნიერო დისკუსიაში.

სიმპოზიუმში მონაწილეობა მიიღო 150-მდე დოქტორანტმა და ახალგაზრდა მეცნიერმა საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან, მათ შორის 30-მდე ახალგაზრდა მეცნიერმა კემბრიჯის, სორბონას, პრაღის, ლისაბონის, ხარკოვის, ტარტუს, განჯის, თეირანისა და სხვა უნივერსიტეტებიდან და კვლევითი ცენტრიდან.

„ძალიან მნიშვნელოვანი საერთაშორისო სიმპოზიუმია ახალგაზრდა მკვლევრების მონაწილეობით, რომლებიც ჰუმანიტარულ მეცნიერებებში მუშაობენ. პოსტსოციალისტურ სივრცეში ძალიან ბევრი დაკარგა მეცნიერებამ ამ დარგში, რადგან იდეოლოგიური წნეხის ქვეშ იყო. ახლა არის ის დრო, როცა ახალგაზრდები ახალი ხედვით, ახალი სუნთქვით მოდიან მეცნიერებაში. მნიშვნელოვანია, რომ ეს ღონისძიება ტარდება თსუ-ში. განსაკუთრებული მადლობა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, რომელმაც ეს ღონისძიება დააფინანსა“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ნანა გაფრინდაშვილის განცხადებით: „სიმპოზიუმი საკმაოდ წარმომადგენლობითია. ვიმედოვნებთ, რომ ეს სიმპოზიუმი ხელს შეუწყობს ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარებას, ჰუმანიტარული მეცნიერებებით ახალგაზრდა მეცნიერთა დაინტერესებას, და რაც მთავარია, ქართველოლოგიური დარგების შემდგომ განვითარებას და პოპულარიზაციას მთელ მსოფლიოში. იმედი მაქვს, ეს კონფერენცია იქნება კარგი იდეების გენერატორი, ახალგაზრდა მეცნიერები სხვადასხვა ქვეყნებიდან ერთმანეთს დაუმეგობრდებიან, გამოცდილებას გაუზიარებენ და მომავალში წარმატებით ითანამშრომლებენ. თსუ განსაკუთრებით ზრუნავს ახალგაზრდა მეცნიერებზე, ვინაიდან ახალგაზრდა მეცნიერებში მომავალ ცვლას ხედავს“, — განაცხადა პროფესორმა ნანა გაფრინდაშვილმა.

კონფერენცია 6 თემატურ სექციად იყო დაყოფილი: თარგმანმცოდნეობა, ენათმეცნიერება, ხელოვნებათმცოდნეობა, ისტორია, ლიტერატურათმცოდნეობა და ინტერდისციპლინარული კვლევები.

კონფერენციის მონაწილეებს პლენარულ სხდომაზე მიესალმა და მოხსენებით წარსდგა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსი ეკატერინე კლდიაშვილი, რომელმაც სამეცნიერო ფონდის მისია და ხედვა წარმოადგინა მეცნიერებაში ახალგაზრდა მკვლევარების მოზიდვისა და ჩართულობის მიზნით. „რუსთაველის სამეცნიერო ფონდის სტრატეგიაა მაქსიმალურად მეტი ყურადღება დაუთმოს ახალგაზრდა მკვლევრების აქტიურ ჩართვას სამეცნიერო, საგრანტო პროექტებში. ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ ამ საკითხზე მომუშავე ახალგაზრდა მეცნიერებს — გავიდნენ საერთაშორისო ასპარეზზე, უნდა მოვახდინოთ მათი ცნობადობის გაზრდა და ამ საინტერესო მიმართულებების პოპულარიზაცია“, — განაცხადა ეკატერინე კლდიაშვილმა.

პლენარული სხდომის შემდეგ გაიმართა სექციური მუშაობა და მრგვალი მაგიდა. აქ გამოითქვა მოსაზრება, რომ მოსმენილი საუკეთესო მოხსენებები და ნაშრომები კრებულის სახით გამოიცეს.

„როდესაც მასალების შერჩევაზე და განაცხადების რეცენზირებაზე ვმუშაობდით, აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდა მეცნიერებს მეტი დაინტერესება აქვთ ენათმეცნიერებისა და ისტორიის მიმართ. ეს მოსალოდნელიც იყო, ვინაიდან ენათმეცნიერება დიდი დარგია და მრავალი ენა შემოდის. ჩვენ განსაკუთრებით მივესალმებით იმ ინტერესს, რაც უცხოელ ახალგაზრდა მეცნიერებს აქვთ ქართველური დარგების მიმართ. ჩვენი სიმპოზიუმის მთავარი მიზანიც ის გახლდათ, რომ ქართველოლოგიური დარგები საერთაშორისო კვლევით სისტემაში ჩაერთოს და უფრო მეტად დაინტერესდნენ როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. უაღრესად მნიშვნელოვანია ქართველოლოგიური დარგების ინტერნაციონალიზაცია, საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების მეტი პოპულარიზაცია მსოფლიოში. ახალგაზრდა მეცნიერებმა სიმპოზიუმზე სრულიად ახალი მიდგომები, ხედვა წარმოადგინეს სხვადასხვა მეცნიერული საკითხების მიმართ. ასევე მნიშვნელოვანია თაობათა შორის დიალოგი, მეცნიერთა უფროსი თაობის წარმომადგენელთა შეხედულებების და შენიშვნების გაზიარება“, — განაცხადა ფილოლოგიის დოქტორმა, სიმპოზიუმის თანათავმჯდომარემ, პროფესორმა ნინო პოპიაშვილმა.

„მოხარული ვარ, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს ახალგაზრდა მეცნიერთა წინსვლას. ეს სიმპოზიუმი ახალგაზრდა მკვლევრების ნაშრომების ინტერნაციონალიზაციის კარგი საშუალებაა, რომელიც დისერტაციის დაცვის დროს ძალიან წაგვადგება. გარდა ამისა, მაინტერესებს საქართველოს სხვა უნივერსიტეტის დოქტორანტების კვლევები და მოხსენებები და ველოდები მათ მოსმენას. ჩემი თემა ინტერდისციპლინარული ხასიათისაა და ის ევროპულ ლიტერატურასთან მიმართებაში ნაციონალური პოეტების საკრალიზაციის თემას ეხება“, — აღნიშნა ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტმა ივანე მჭედელაძემ.

ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო სიმპოზიუმის ფარგლებში ასევე გაიმართა დარგობრივი თემატური ფორუმები და სამუშაო შეხვედრები. სიმპოზიუმის მუშაობა მიმართული იყო როგორც დარგთაშორის, ისე დისციპლინათშორის სამეცნიერო საკითხებზე.

სიმპოზიუმის ფარგლებში თსუ-ის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში გაიმართა გამოფენა სახელწოდებით „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფუძნება და მის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯები“.

ახალი „სტუდენტების გაერთიანება“ და ახალი ინიციატივები

ნატო ობოლაძე

ამიმდინარე წლის ზაფხულში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტთა ჯგუფმა — „სტუდენტების გაერთიანებამ“ — ვებ-გვერდი www.tsuholic.ge შექმნა. მათი მთავარი მიზანი სასწავლო პროცესში საჭირო ინფორმაციების ოპერატიულად მოძიებისა და უფროსი კურსელებისგან გამოცდილების გაზიარების გზით სტუდენტური ცხოვრების გამარტივება თუ გაუმჯობესება გახლდათ. შედეგად შეიქმნა გზამკვლევი სტუდენტებისთვის და, ასევე, ერთგვარი ონლაინ-პლატფორმა სტუდენტებსა და ლექტორებს შორის კომუნიკაციის გასაღრმავებლად. ვებ-გვერდზე www.tsuholic.ge სტუდენტებმა განათავსეს ინფორმაცია სასწავლო ცხრილების, ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის, შიდა მობილობის, სტუდენტური თვითმმართველობის, გამოცდის შედეგების გასაჩივრების, სტუდენტური სამედიცინო დაზღვევის, გაცვლითი პროგრამების და ა.შ. შესახებ. ვებ-გვერდს ნელ-ნელა ემატება ინფორმაცია თსუ-ში კულტურული ცხოვრების, საგამომცემლო საქმიანობისა თუ სხვა საინტერესო სიახლეების თაობაზე. ონლაინ-პორტალი ასევე აერთიანებს ბლოგს და facebook-გვერდს, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ სხვადასხვა საინტერესო თემატიკაზე სტატიების მომზადება-გამოქვეყნება, ერთმანეთთან დაკავშირება, საკუთარი შემოქმედების სხვა სტუდენტებისთვის გაზიარება.

„სტუდენტების გაერთიანება“ ახლა უკვე თსუ-ის მასშტაბით ყველა ფაკულტეტზე მუშაობს, ამ ეტაპზე თითოეული ფაკულტეტიდან ერთი წარმომადგენელი მაინც გვყავს. www.tsuholic.ge-ზე განთავსებული ინფორმაცია თსუ-ის ვებ-გვერდიდან ავიღეთ. მართალია, იქ ყველაფერია მოცემული, მაგრამ სტუდენტები ამბობდნენ, რომ თსუ-ის მთავარ გვერდზე ინფორმაცია არაორგანიზებულად არის განთავსებული და სასურველი ინფორმაციის მოპოვება უჭირთ. ჩვენი პროექტის განხორციელების მიზანია, რომ სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესებაში გარკვეული წვლილი შევიტანოთ. სხვათა შორის ინტერესი ნელ-ნელა იზრდება: ბლოგზე ახალი სტატიის ან რაიმე ახალი ინფორმაციის დამატების შემთხვევაში, ონლაინვიზიტორთა რაოდენობა მაშინვე მატულობს. ბევრი ახალი იდეა გვაქვს: მაგალითად, გვინდა მსოფლიოში ცნობილი ადამიანების საჯარო ლექციები ვთარგმნოთ და ვებ-გვერდზე გამოვაქვეყნოთ. მუდმივად ვეკითხებით აზრს სხვა სტუდენტებსაც, რას შეცვლიდნენ, რას დაამატებდნენ და ა.შ. საბოლოო ჯამში, ვცდილობთ, რომ ჩვენი პროექტი უფრო საინტერესო და ორიგინალური გავხადოთ“, — გვითხრა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტმა, „სტუდენტების გაერთიანების“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ტარიელ ლომაიამ, რომელმაც ვებ-გვერდის www.tsuholic.ge ტექნიკური მხარის უზრუნველყოფაზეც არის პასუხისმგებელი.

www.tsuholic.ge-ზე ასევე განთავსებულია ონლაინ-ბიბლიოთეკა და წიგნების გაყიდვის განყოფილება. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სტუდენტს უფროსკურსელებისგან სახელმძღვანელოების შეძენა სურს, ამის შესახებ ინფორმაციას ვებ-გვერდზე ნახავს.

გაერთიანებაში ყველა წევრი თანაბარი უფლებით სარგებლობს. გაწევრიანების მსურველებს შეუძლიათ წევრ სტუდენტებს ფეისბუქის გვერდზე დაუკავშირდნენ.

ამ დროისთვის „სტუდენტურ გაერთიანებაში“ 30 სტუდენტია გაწევრიანებული.

გეოლოგიური ჯვლევის კომპლექსური ლაბორატორიის გადარჩენა ჩვენი მთავარი საზრუნავია

თამარ დადიანი

თსუ-ის ბაზაზე დღეს 15 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტია და მათი წვლილი მეცნიერების ცალკეული დარგების განვითარების საქმეში საკმაოდ დიდია. ამ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შორის სამეცნიერო აქტივობებით, სამეცნიერო კვლევების სიმრავლითა და „საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობით გამოირჩევა მდიდარი ტრადიციების მქონე ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი. მას არსებობის 92 წლოვანი ისტორია აქვს და, მიუხედავად ახლო წარსულში შექმნილი მძიმე პოლიტიკური თუ ეკონომიკური ვითარებისა, ღირსეულად აგრძელებს თავის საქმიანობას.

ინსტიტუტის საქმიანობის, გეგმების, წარმატებებისა და პრობლემების შესახებ გვესაუბრება ინსტიტუტის დირექტორი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი თამარ წუწუნავა.

ინტერვიუ

— ქალბატონო თამარ, გეოლოგიის ინსტიტუტის წარმატებულ საქმიანობასა და საერთაშორისო აღიარებას წინ უძღოდა კოლექტივის მაღალი კომპეტენცია, პროფესიონალიზმი და თავდაუზოგავი შრომა. რა გზა გამოიარა ინსტიტუტმა, სანამ ასეთ წარმატებას მიაღწევდა?

— გეოლოგიის ინსტიტუტი დაარსდა პროფესორ ალექსანდრე ჯანელიძის ინიციატივით 1925 წლის 25 დეკემბერს. იგი გახდა გეოლოგიური პროფილის პირველი სამეცნიერო დაწესებულება ყოფილ საბჭოთა კავშირში. ინსტიტუტმა იგივე გზა განვლო, რაც ყველა სხვა სამეცნიერო კვლევითმა დაწესებულებამ — 1941 წლიდან ინსტიტუტი იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, 2006 წლიდან ექვემდებარებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ხოლო 2010 წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენლობაშია.

ინსტიტუტში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა იმთავითვე მიმდინარეობდა გეოლოგიის დარგის ფართო სპექტრით. გასული საუკუნის 40-იან წლებში ინსტიტუტში უკვე არსებობდა 15 ლაბორატორია, საშლიფე და მექანიკური სახელოსნოები. ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ შეიქმნა უნიკალური პალეონტოლოგიური მუზეუმი, რომელშიც ინახება მრავალი წლის განმავლობაში მონოგრაფიულად შესწავლილი და გამოქვეყნებული 130 კოლექცია. ინსტიტუტს აქვს მდიდარი (მათ შორის უნიკალური გამოცემებიც) სპეციალური ბიბლიოთეკა. იმ დროისთვის, ინსტიტუტში უკვე ჩამოყალიბდა თვითმყოფადი ქართული გეოლოგიური სკოლა, რომელიც ერთ-ერთ ძლიერ სკოლად ითვლებოდა საბჭოთა სივრცეში. 1932 წლიდან ინსტიტუტი საკუთარ პერიოდულ ნაბეჭდ პროდუქციას გამოსცემს.

გარდა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა, ინსტიტუტის თანამშრომლები მუდმივად მონაწილეობენ ისეთ მასშტაბურ სახელმწიფო პროექტებში, როგორიცაა: ტრანსკავკასიური რკინიგზის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და შაჰ-დენისის გაზსადენის ტრასების და ჰიდროელექტროსადგურების გეოლოგიური და სეისმოტექტონიკური პირობების დადგენა, მსხვილი სამშენებლო ობიექტების გეოეკოლოგიური პირობების განსაზღვრა და სხვა; ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ შედგენილია კავკასიონისა და საქართველოს სხვადასხვა დატვირთვისა და მასშტაბის მქონე საერთაშორისო რუკების ციფრული ვერსიები (ქართულ და უცხოურ ენებზე); ინსტიტუტი მონაწილეობას იღებდა საქართველოს ეროვნული ატლასის შედგენაში, თიხაფიქლებიდან ბუნებრივი აირის მოპოვების კონცეფციის შექმნაში, საქართველოს სეისმური უსაფრთხოებისა და გეოეკოლოგიური უსაფრთხოების კონცეფციების მომზადებაში. დღეისთვის ინსტიტუტში მიმდინარეობს საქართველოს ლითონური და არალითონური საბადოების გეოლოგიის კვლევა; სამრეწველო ათვისების მიზნით, შეისწავლება მიწისქვეშა წყლების რესურსები, მათი ჰიდროქიმია და ეკოლოგია; ხდება წყლის დამუშავების ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და სხვ. ინსტიტუტის მეცნიერების მიერ მოპოვებულია მრავალი საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო გრანტი. თანამშრომლებს მიღებული აქვთ სახელმწიფო და სახელობითი პრემიები და ჯილდოები. მათი ნაწილი ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სხვადასხვა უნივერსიტეტში და ხელმძღვანელობს სამაგისტრო და სადოქტორო თემებს.

გადაუჭარბებლად გეტყვით, რომ ქართველ მეცნიერ-გეოლოგთა მიღწევები დიდი და მნიშვნელოვანია. გეოლოგიის ინსტიტუტის რამდენიმე თაობის მიერ ჩატარებულმა სამეცნიერო კვლევებმა ქართულ გეოლოგიურ სკოლას საერთაშორისო აღიარება მოუპოვა. მსოფლიოში ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოს ვიქტორ ხაინის აზრით: „ძნელია შეაფასო ქართული გეოლოგიური სკოლის, მისი სამი თაობის მიერ არა მარტო საქართველოს, არამედ კავკასიისა და მთელი აღპურ-ჰიმალაური სარტყლის გეოლოგიაში შეტანილი წვლილის მნიშვნელობა“.

— რა სამეცნიერო პროგრამებზე მუშაობთ?

— 2016 წლიდან ინსტიტუტის თანამშრომლები მუშაობენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ 10-წლიანი პროექტზე — „საქართველოს დედამიწის ქერქის აგებულების, შედგენილობისა და ტექტონიკური დეფორმაციების კვლევა და მადანწარმოშობის კანონზომიერებათა გამოვლენა კავკასიის გეოდინამიკურ ევოლუციასთან კავშირში“. პროექტზე მუშაობა მიმდინარეობს 5 მიმართულებით. გარდა სამეცნიერო საქმიანობისა, ინსტიტუტი აგრძელებს გამოყენებითი ხასიათის სამუშაოებს: გრძელდება საქართველოს ტერიტორიის სხვადასხვა პროფილისა და მასშტაბის, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ლითონური და არალითონური სასარგებლო წიაღისეულის სპეციფიკური დეტალიზებული, მსხვილმასშტაბიანი ციფრული რუკების შედგენა; მიმდინარეობს თბილისის მიდამოების ახლად წარმოქმნილი რღვევების შესწავლა სეისმურ დარაიონებასთან დაკავშირებით; უზრუნველვყოფთ გეოტურისტული მეგზურების შედგენას საქართველოს ტერიტორიისთვის და სხვ.

— რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს გეოლოგიის ინსტიტუტი?

— ნება მომეცით, ცოტა უკან, წარსულში დავბრუნდე. არ გაგაკვირვებთ, თუ გეტყვით, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოქმნილი ხანგრძლივი ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი ნეგატიურად აისახა ინსტიტუტის განვითარებაზე. წლების განმავლობაში ინსტიტუტის ბიუჯეტი მხოლოდ მწირ ხელფასებსა და კომუნალურ გადასახადებს ითვალისწინებდა. შესაბამისად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის განვითარება, საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობის დამყარება და, რაც მთავარია, ახალგაზრდა კადრების მოზიდვა, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახლდათ. ეს ის პერიოდი იყო, რომელიც როგორმე უნდა გადაგვეტანა, რათა მომავალში მუშაობა გაგვეგრძელებინა და დღემდე მოვსულიყავით. მოგვიანებით, ინსტიტუტი კიდევ ერთი გამოცდის წინაშე დადგა: 2012 წელს გეოლოგიის ინსტიტუტის შენობა გაიყიდა. ინსტიტუტი პირვანდელი შენობიდან პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შენობაში გადაიყვანეს, სადაც იგი დღემდე იმყოფება. ინსტიტუტი განთავსდა მისთვის შეუთავსებლად მცირე ფართობის, მწყობრიდან გამოსული და უმეტესად სამუშაოდ აბსოლუტურად გამოუსადეგარი ყოფილი ქიმიური ლაბორატორიების ოთახებში. გარდა ამისა, დემონტაჟისა და ტრანსპორტირების პროცესში მნიშვნელოვნად დაზიანდა ან საერთოდ გამოვიდა მწყობრიდან მთელი რიგი ხელსაწყო-დანადგარები და აპარატურა, დაზიანდა ინსტიტუტის მდიდარი ბიბლიოთეკის ნაწილი. გადაუჭარბებლად მოგახსენებთ, რომ ინსტიტუტი განადგურების პირას აღმოჩნდა. მიუხედავად ბევრი მცდელობისა (დახმარებისთვის წერილობით და სიტყვიერად არაერთხელ მივმართეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და თსუ-ის მაშინდელ ხელმძღვანელობას), დახმარება ვერსაიდან მივიღეთ. ამ უმძიმეს პირობებშიც კი ინსტიტუტი აგრძელებდა მუშაობას. მე მადლობას ვუხდი ინსტიტუტის თითოეულ თანამშრომელს იმ გამძლეობისთვის, თავდადებისა და ენთუზიაზმისთვის, რაც მათ ამ პერიოდში გამოავლინეს. შედეგიც დადგა — მიუხედავად რიგი შემორჩენილი პრობლემისა, ინსტიტუტი წარმატებით ფუნქციონირებს. მეტსაც გეტყვით, გარდა მიმდინარე სამეცნიერო პროექტისა, დარგის წინაშე გაჩენილი გამოწვევების კვალდაკვალ, ინსტიტუტი მუშაობს ახალი, აქტუალური სამეცნიერო თემატიკის შექმნაზე, რომელიც ორიენტირებული იქნება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისკენ და დაეფუძნება საკითხების თანამედროვე დონეზე შესწავლასა და პრობლემების სწრაფად და ეფექტურად აღმოფხვრას. ჩვენ ვცდილობთ, რომ თანამშრომელთა მიერ შემოთავაზებულ ყველა ინოვაციურ თუ საინტერესო წინადადებას ან პროექტს სამეცნიერო საბჭოში მოსმენისა და განხილვის უფლება მივცეთ და, საჭიროების შემთხვევაში, მხარი დავუჭიროთ მათ დაფინანსებას. ასევე, ვცდილობთ, საქმიანი ურთიერთობა გვქონდეს გეოლოგიის დარგის ყველა სტრუქტურასთან.

ამჟამად, გეოლოგიის ინსტიტუტში მოღვაწეობს 12 მეცნიერებათა დოქტორი (მათ შორის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 5 წევრი) და 24 მეცნიერებათა კანდიდატი/აკადემიური დოქტორი. ტრადიციულად ინსტიტუტში იზრდებიან ახალგაზრდა კადრები. მას შემდეგ (2015 წლიდან), რაც საგრძნობლად გაიზარდა ინსტიტუტის ბიუჯეტი, გარემონტდა რამდენიმე სამუშაო ოთახი და სველი წერტილი, გარემონტდა და მოეწყო 4 ლაბორატორია, შევიძინეთ ხელსაწყო-დანადგარების თანამედროვე მოდელები, უახლესი ტიპის საშლიფე დაზგა, ანალიტიკური აპარატურა. ამის საფუძველზე ჩამოყალიბდა ახალი სტრუქტურული ერთეული — გეოლოგიური კვლევის კომპლექსური ლაბორატორია, სადაც ანალიტიკური კვლევები მიმდინარეობს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნულ ლაბორატორიას აქვს არა მარტო სამეცნიერო დანიშნულება, არამედ იგი საუკეთესო სასწავლო-პრაქტიკულ ბაზას წარმოადგენს. ინსტიტუტის ხელმძღვანელობა მუდმივად აფინანსებს მეცნიერ-თანამშრომლებს საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად; ყველა თანამშრომელი

თამარ წუწუნავა

უზრუნველყოფილია სახსრებით საველე სამუშაოების ჩასატარებლად. რეგულარულად იმართება სამეცნიერო სემინარები. ინსტიტუტი აქტიურად მონაწილეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და თსუ-ის მიერ ორგანიზებულ ყველა ღონისძიებაში.

ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლების (49 მეცნიერ-თანამშრომელი) აქტიურ სამეცნიერო საქმიანობაზე მიუთითებს ბოლო 3 წლის მონაცემები: მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ მიღებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისგან 7 და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებისგან 5 გრანტი; განხორციელდა 31 სამეცნიერო კვლევა; □საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნდა 73 სტატია, 2 საერთაშორისო ციფრული რუკა, 5 მონოგრაფია, 1 ლექსიკონი; თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს 102 საერთაშორისო კონფერენციაში; მიღებულია 2 პატენტი; მეცნიერთა ციტირების ჯამური მაჩვენებელია 2951.

— რა მისცა გეოლოგიის ინსტიტუტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ინტეგრაციამ?

— თსუ-ის სტრუქტურაში გაერთიანება ინსტიტუტებისთვის, მთლიანობაში, პოზიტიური მოვლენა იყო. ვეთანხმები პოზიციას, რომ მეცნიერება და განათლება არ უნდა იმიჯნებოდეს. დღეს ყველა პატარა ორგანიზაციას სჭირდება ძლიერი და ავტორიტეტული „ქუდი“, რომელიც დაიცავს მის უფლებებს, ხელს შეუწყობს განვითარებაში და დაეხმარება პრობლემების გადაჭრაში. მინდა გითხრათ, რომ დღესაც გვიდგას ძალიან სერიოზული პრობლემა იმ ფართობთან დაკავშირებით, სადაც განთავსებულია გეოლოგიური კვლევის კომპლექსური ლაბორატორია, რომლის შექმნაზე ინსტიტუტის ბიუჯეტიდან საკმაოდ სოლიდური თანხა დაიხარჯა.

ვთვლი, რომ უნივერსიტეტის მხრიდან მეტი ყურადღება უნდა მიექცეს იმ ანალიტიკურ თუ ტექნიკურ შესაძლებლობებს, რაც სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს გააჩნიათ. მაგალითად, უნივერსიტეტის ჩართულობის გაზრდა კერძო სექტორთან თანამშრომლობის დამყარებაში შესაძლებელს გახდის, მათი შეკვეთების შესრულების გზით, გაიზარდოს თსუ-სა და ინსტიტუტის ეკონომიკური შემოსავლები.

დაინტერესების შემთხვევაში შეგიძლიათ გაეცნოთ მომსახურებათა საკმაოდ ვრცელ ნუსხას, რომელიც ალ. ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტს შეუძლია შესთავაზოს საწარმოებს და სხვა დარგობრივ უწყებებს.

— სამომავლო გეგმებსა და პროექტებზეც ვისაუბროთ...

— უპირველესი ამოცანა, რაც ამჟამად ინსტიტუტის წინაშე დგას, არის ინსტიტუტის ბოლო პერიოდის მონაპოვარის — გეოლოგიური კვლევის კომპლექსური ლაბორატორიის გადარჩენა. სამწუხაროდ, თუ ეს ვერ მოხერხდება, ცოტა ხნით მოგვიწევს ჩვენი საკმაოდ ამბიციური გეგმების გადადება და ყოველივეს თავიდან შექმნა. ვნახოთ, რა მოხდება და შემდეგ ვისაუბროთ მომავალ გეგმებსა და პროექტებზე.

ვლადიმერ პაპავა: დაგროვებითი საპენსიო სისტემის ასამუშავებლად იძულებითი წესის კომპონენტის შემოღება მიზანშეწონილია

თამარ დადიანი

საქართველოში არსებული სოციალური დაცვის მექანიზმები, განსაკუთრებით საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ფენისთვის — ასაკით პენსიონერთათვის, ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, თუმცა ეს მექანიზმები მაინც შეზღუდული რჩება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით. ეს პრობლემა, მნიშვნელოვნად არის განპირობებული იმით, რომ საპენსიო ასაკში მყოფთა ძირითად შემოსავალს (უმრავლეს შემთხვევაში ერთადერთ შემოსავალს) სახელმწიფო პენსია წარმოადგენს. სახელმწიფო პენსიის მოქმედი სისტემა ვერ უზრუნველყოფს პენსიონერის საარსებო მინიმუმს. ამას ემატება ის ფაქტორიც, რომ სახელმწიფო პენსია სოციალური დახმარების ხასიათს ატარებს, რაც საერთაშორისო არსებული პრაქტიკაა და, შესაბამისად, იგი თანაბარია ყველა ასაკის პენსიონერისათვის. გარდა აღნიშნული სოციალური შედეგებისა, სახელმწიფო პენსიის რეტროსპექტრული ანალიზი აჩვენებს, რომ სახელმწიფო პენსიის ზრდა ხორციელდებოდა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით და არ ეფუძნებოდა რაიმე მკაფიოდ განსაზღვრულ წესს ან პრინციპს, შესაბამისად, შეუძლებელი გახდება ამ სისტემის ფისკალური მდგრადობის შენარჩუნება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ შეიქმნას დაგროვებითი საპენსიო სისტემა, რომელიც თითოეულს მისცემს შესაძლებლობას, რომ, სახელმწიფო პენსიასთან ერთად, დამატებით შექმნას გარკვეული დანაზოგი საკუთარი საპენსიო ასაკისათვის, ამასთან ამ პროცესში მას დაეხმარება როგორც დამსაქმებელი, ასევე სახელმწიფო. სისტემის ძირითადი პრინციპი მარტივია: დასაქმებული სპეციალურ საპენსიო ფონდში მის საკუთარ ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხავს საკუთარი დაუბეგრავი ხელფასის 2%-ს, რაზეც სახელმწიფო და დამსაქმებელი ასევე დაუმატებს 2-2%-ს ანუ, ჯამში, ხელფასის აღებისას, დამსაქმებლის ხელფასის 6% მიემართება მის საკუთარ ანგარიშზე. თუკი პიროვნება არ არის 40 წელზე მეტი ასაკის,

ვლადიმერ პაპავა

სისტემაში მონაწილეობა სავალდებულოა, ხოლო მეტი ასაკის ადამიანებისთვის კი ნებაყოფლობითია. აღნიშნული თანხა, რომელიც გროვდება მონაწილის ანგარიშზე, ინვესტირდება სხვადასხვა საშუალებებით და ასევე ახდენს შემოსავლის დაგენერირებას, შესაბამისად, მოქალაქეს საპენსიო ასაკში ანგარიშზე დახვდება მნიშვნელოვნად მეტი თანხა, ვიდრე მან შენატანების სახით განახორციელა.

რას გულისხმობს დაგეგმილი რეფორმა და მოგვიტანს თუ არა ის რეალურ კეთილდღეობასა და უზრუნველ სიბერეს — სწორედ ამ თემაზე საკუთარ მოსაზრებებსა და შეხედულებებს გვიზიარებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, თსუ-ის პროფესორი ვლადიმერ პაპავა.

თვალსაზრისი

ვლადიმერ პაპავა,
თსუ-ის პროფესორი, აკადემიკოსი:

— დაგროვებითი პენსია მიღებული ფორმაა მთელ ცივილიზებულ სამყაროში, რითაც ადამიანი თავის სიბერეს უზრუნველყოფს. დაგროვებითი პენსიის არსი იმაში მდგომარეობს, რომ, თავისი საქმიანობის პერიოდში, დასაქმებული ყოველთვიურად გარკვეული თანხას რიცხავს საპენსიო ფონდში და როდესაც საპენსიო ასაკი მოუწევს, ამ დაგროვილ თანხებს უკან იბრუნებს. საპენსიო ფონდში დაგროვილი თანხა უნდა განთავსდეს სხვადასხვა მომგებიან ქაღალდებში და მომგებიან ოპერაციებში, რომლის შედეგად, ადამიანი, რომელიც საკუთარ დანაზოგს საპენსიო ფონდს ანდობს, იღებს არა უბრალოდ იმ თანხის ჯამს, რომელიც საპენსიო ფონდს გადაუხადა, არამედ ამ თანხის გაზრდილ რაოდენობას. თანხის გაზრდის საფუძველი არის ის მომგებიანი ოპერაციები, რომლებშიც საპენსიო ფონდი ამ თანხას განათავსებს. ეს არის კლასიკური სქემა.

პრობლემა გახლავთ ის, რომ მოსახლეობა, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ასეთი კულტურა არ არსებობდა, ვერ ელევა თავის შემოსავლებიდან ვერც ერთ თეთრს და, როგორც წესი, არ დებს ფულს დაგროვებით საპენსიო სქემაში. საქართველოში ეს სქემა უკვე დიდი ხანია არსებობს, არსებობს სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც ამ მიმართულებითაც მუშაობენ, მაგრამ ადამიანები, პრაქტიკულად, საკუთარ სიბერეს ნაკლებად აზღვევენ. ასეთ ვითარებაში კი საჭიროა იძულებითი კომპონენტის შემოტანა, როდესაც სახელმწიფო აიძულებს ადამიანს — გარკვეული თანხა თავისი სიბერის თვითუზრუნველყოფისათვის გადადოს. ეს სქემა საჭიროა, რათა თანდათან ჩამოყალიბდეს სიბერის თვითუზრუნველყოფის გარკვეული კულტურა. მაგალითისთვის ჯანმრთელობის დაზღვევა გავიხსენოთ. ეს კულტურა, ბოლო წლებია, რაც განვითარდა, თორემ თავიდან სადაზღვევო კომპანიებით ხალხი ნაკლებად სარგებლობდა. თანდათანობით გამოჩნდა გარკვეული კომპონენტები, რომლებიც იძულებით აზღვევდნენ მომსახურე პერსონალს. დღეს ეს უკვე იმდენად გავრცელებული ფორმაა, რომ ადამიანები თვითონ ეძებენ — რომელ სადაზღვევო კომპანიას შეუძლია დაუზღვიოს მისი ჯანმრთელობა.

საქართველოში დიდი ხანია მიდიოდა საუბარი იმაზე, რომ დაგროვებითი პენსიის სქემა ამოქმედებულიყო, მაგრამ ახლა, მეტ-ნაკლებად რეალისტური ფორმა მიიღო ამ ყველაფერმა. საქმე იმაში გახლავთ, რომ არასდროს არ არსებობდა პოლიტიკური ნება — ეს საქმე ბოლომდე მიეყვანათ. შევარდნაძის მთავრობას ეს უჭირდა, ხოლო „ნაცმოძრაობის“ მთავრობას სულ სხვა მიდგომა ჰქონდა: თვითონ ადამიანმა გადაწყვიტოს — უნდა მას ეს თუ არა. საქმე იმაში გახლავთ, რომ ადამიანი ამას ვერასდროს გადაწყვეტს, თუ იძულების ელემენტი არ გაჩნდა და გარკვეული გამოცდილება არ შეიქნა. ხოლო გამოცდილება არ შეიქმნება, თუ ადამიანებმა ეს სქემა არ გამოიყენეს და მერე აქედან გარკვეული სიკეთე არ მიიღეს. სახელმწიფოს მხრიდან იძულება, ამ შემთხვევაში, აუცილებელია, რომ გამოცდილება დაგროვდეს. იძულებითი წესის კომპონენტის შემოღება მიზანშეწონილია, რათა ადამიანებს ეს კულტურა ჩამოუყალიბდეთ. აქ არის ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: შედეგი რომ დაინახო, სულ ცოტა, 20-30 წელი უნდა გავიდეს. ადამიანი შრომით საქმიანობას, დაახლოებით, ოცი წლის შემდეგ იწყებს და პენსიაზე გასვლამდე რამდენიმე ათეული წელი უნდა იმუშაოს. ამ პერიოდში საკმაო თანხა გროვდება, მით უმეტეს, როცა საპენსიო ფონდები ამას კარგად განათავსებენ. ამ ეფექტის ნახვას ძალიან დიდი დრო სჭირდება, ადამიანს ძნელად წარმოუდგენია 40 წლის შემდეგ რა იქნება, ამიტომ არის იძულებითი ელემენტი შემოსატანი...

აღსანიშნავია, რომ იძულებითი საპენსიო სქემის ამოქმედებაში მთელი საზოგადოება ვერ ჩაერთვება, ვინაიდან ის ადამიანები, რომლებიც უკვე 40 წელს გადაცილებულნი არიან, ეს სქემა მათთვის, უბრალოდ, აზრს მოკლებულია, რადგან საჭირო ოდენობის თანხის დაგროვებას ვერ მოასწრებენ. დღეს, რასაც პენსიის სახით ვიღებთ, სინამდვილეში არ არის პენსია. ეს არის შემორჩენილი სახელი საბჭოური წარსულიდან. პენსია არის ის დაგროვებული თანხა, რითაც სიბერეში საკუთარ თავს უზრუნველყოფ. დღევანდელი პენსია, უბრალოდ, სოციალური დახმარებაა გარკვეული ასაკის მიღწევის შემთხვევაში.

ტონ ლიფაარდის საჯარო ლექცია

ნატო ობოლაძე

ლეიდენის უნივერსიტეტის პროფესორმა ტონ ლიფაარდმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საჯარო ლექცია „თავისუფლებააღკვეთილი ბავშვები: ბავშვთა საერთაშორისო ურთიერთობები და ლოკალური გამოწვევები“ წაიკითხა. ტონ ლიფაარდმა განიხილა ის საკვანძო საკითხები, რომელიც თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში ბავშვთა საერთაშორისო უფლებების გამოყენებას უკავშირდება. საჯარო ლექცია კლევერინგას შეხვედრების ფარგლებში ჩატარდა. ამ ტრადიციას სათავე დაედო 1940 წლის 26 ნოემბრიდან, როდესაც ლეიდენის უნივერსიტეტის პროფესორმა რუდოლფ კლევერინგამ გამოსვლისას გერმანელი ოკუპანტების მთავრობის ბრძანებით ებრაელი კოლეგების უნივერსიტეტიდან გათავისუფლება გააპროტესტა. უკვე 1946 წლიდან ლეიდენის უნივერსიტეტის პროფესორებმა აქტუალურ თემებზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით საჯარო ლექციების გამართვა დაიწყეს.

საჯარო ლექცია „თავისუფლებააღკვეთილი ბავშვები: ბავშვთა საერთაშორისო ურთიერთობები და ლოკალური გამოწვევები“ თსუ-ში ბავშვთა უფლებების კონვენციის მიღების 28 წლისთავზე, 20 ნოემბერს გაიმართა.

„ჩემი ლექცია შეეხო ბავშვთა უფლებებს, რადგან 28 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გაერომ ბავშვთა უფლებების კონვენცია მიიღო და საქართველოც ამ კონვენციის ერთ-ერთი ხელმომწერი ქვეყანა გახლავთ. ჩემი მთავარი გზავნილი არის ის, რომ ბავშვთა უფლებების დასაცავად აუცილებელია მოვუსმინოთ და გავიგოთ მათი ხმა“, — აღნიშნა ლეიდენის უნივერსიტეტის პროფესორმა ტონ ლიფაარდმა.

პროფესორ ტონ ლიფაარდის საჯარო ლექციას იუნისეფის წარმომადგენელი საქართველოში ლაილა ომარ გადი, ნიდერლანდების ელჩი საქართველოში იოს დაუმა და ევროკავშირის დელეგაციის პროგრამების მენეჯერი პიტერ დანისი ესწრებოდნენ. მათ საუბრისას განაცხადეს, რომ კელევრინგას ლექციებს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის მსოფლიოს მასშტაბით ადამიანის უფლებების დაცვის პოპულარიზაცია-განხილვაში. რაც შეეხება თავისუფლებააღკვეთილი ბავშვების უფლებებს, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ აუცილებელია სახელმწიფომ ხელი შეუწყოს მათ რეაბილიტაციას საზოგადოებასთან ურთიერთობის შენარჩუნების გზით.

„კელევრინგას ლექციები გვაძლევს შესაძლებლობას, რომ კიდევ ერთხელ, ხმამაღლა განვაცხადოთ ყველაზე მტკივნეულისა და მნიშვნელოვანის შესახებ. ვთქვათ, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ ბავშვთა უფლებების, უმცირესობის უფლებების, ქალთა უფლებებისა და, ზოგადად, ადამიანის უფლებების დაცვას. ამასთან დაკავშირებით, თუკი სადმე არის რაიმე ხარვეზი, ჩვენ აუცილებლად უნდა ვისაუბროთ ხმამაღლა“, — განაცხადა იუნისეფის წარმომადგენელმა საქართველოში ლაილა ომარ გადიმ.

„ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია უმნიშვნელოვანესია ისეთი ქვეყნებისათვის, როგორიცაა საქართველო და სლოვაკეთი, რომლებიც ამ მიმართულებით წინ დიდ ნაბიჯებს დგამენ. ეს კონვენცია არ არის მხოლოდ ფარატინა ქაღალდი, ის უნდა აისახოს ყოველდღიურ პრაქტიკაში. საქართველომ ამ კონვენციის პრაქტიკაში გატარების მხრივ, სხვადასხვა ასპექტში, მიაღწია უდიდეს წარმატებას. მინდა განვაცხადო, რომ რამდენიმე წლის წინ ბავშვებმა გადაწყვიტეს პატარა ბიზნესის წამოწყება, ანუ მიეცათ შანსი ეფიქრათ მომავალზე, რისი საშუალებაც ადრე არ ეძლეოდათ. მათი საქმიანობა სასამართლოს მიერ კონტროლდებოდა. ვფიქრობ, ბავშვები, რომლებიც ციხეში იგზავნებიან, უნდა წავახალისოთ და სოციუმთან კავშირის შენარჩუნების საშუალება მივცეთ“, — აღნიშნა ევროკავშირის დელეგაციის პროგრამების მენეჯერმა პიტერ დანისმა.

ტონ ლიფაარდის საჯარო ლექცია ლეიდენისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების ორგანიზებით, საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს, ევროკავშირის დელეგაციისა და UNICEFის მხარდაჭერით გაიმართა.

რატომ არის ბულინგის შემთხვევები გაზრდილი?

ინტერვიუ თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანთან თამარ გაგოშიძესთან

ბულინგი XXI საუკუნის პრობლემად რჩება. მოზარდებს შორის ძალადობის ფაქტები მთელ მსოფლიოშია გაზრდილი. თბილისში რამდენიმე დღის წინ მოზარდების დაპირისპირების შედეგად ორი მოსწავლეა მოკლული. რატომ არის ბულინგის შემთხვევები გაზრდილი, რა როლი აქვს ოჯახს და როგორია მოძალადე მოზარდის ფსიქიკა, რადიოჰოლდინგ „ფორტუნას“ გადაცემის — „7 რჩევა ფსიქოლოგისგან“ სტუმარია თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი თამარ გაგოშიძე. გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ უცვლელად გთავაზობთ ამ ინტერვიუს.

„ბევრი შემთხვევა მაქვს, როცა მშობლები ჩივიან სკოლებში ბულინგის ფაქტებზე, სკოლები ვერ აგვარებენ ამ სიტუაციას, რადგან თანამშრომლობა ერთმანეთის დაბრალებაში გადადის. ადამიანები ძალადობის წინააღმდეგ იბრძვიან, თუმცა საბოლოო ჯამში ერთმანეთს ებრძვიან და ისევ ძალადობრივ სტრატეგიებს იყენებენ“.

— რატომ რჩება ბულინგი დაუძლეველ პრობლემად?

— სკოლა და ოჯახები ვერ თანამშრომლობენ, ჩაგვრა კი ისეთი ფენომენია, რომელსაც სჭირდება თანამშრომლობა. ჩვენი ცხოვრება არის საზრისი, უსაზრისო ცხოვრება სისასტიკეს იწვევს. ჩვენ ვართ მაგალითები ჩვენი შვილებისთვის, რა მაგალითს ხედავენ ისინი ჩვენგან? ისინი ხედავენ ჩვენს ძალადობას ერთმანეთზე, ფიზიკურად შეიძლება არა, თუმცა ფსიქოლოგიური ძალადობა არ ჩამოუვარდება ფიზიკურს. გარდა ამისა, ხშირია ინტერნეტბულინგი — ფეისბუქი, მედია არის აკლებული ერთმანეთის სიძულვილით. მე, ადამიანს, არ მაქვს საშუალება ვნახო პოზიტიური მაგალითი. ბავშვები ჩვენი მიმბაძველები არიან. ბავშვები არიან მსხვერპლი უფროსების არასწორი დამოკიდებულებებისა და „ვითომ“ ღირებულებების. ადამიანების დიდ ნაწილს ემოციური რეგულაციების პრობლემა აქვს, ჩვენ პოსტ-ტრავმატული საზოგადოება ვართ, დეპრესიული ნიშნებით. მშობელს და მასწავლებელს, რომლებსაც ცხოვრება არ უხარიათ და აქვთ შეხება ბავშვთან, გავლენა აქვთ მასზე, შედეგად არც ბავშვს უხარია ცხოვრება.

— შესაძლებელია მშობელმა დაიცვას საკუთარი შვილი ბულინგისგან?

— მშობელი უნდა გაერკვეს რა ხდება, მას უნდა ჰქონდეს მჭიდრო კონტაქტი მასწავლებელთან, ჩვენ არ ვიცით ფაქტებზე დაფუძნებული ურთიერთობა, თანამშრომლობა და საუბარი, მშობელი წინასწარ განწყობილი მიდის საჩხუბრად სკოლასთან. ბავშვისთვის იმის შეთავაზება, რომ მან საკუთარი პრობლემები თვითონ მოაგვაროს, არ არის სწორი, მით უმეტეს მცირეწლოვანი ბავშვი ამ პრობლემას ვერ მიხედავს. რას ვასწავლით სკოლაში და ოჯახში ბავშვს? — უნდა იყოს იყოს პირველი, უნდა ჩამოიშოროს ყველა, უნდა გახდეს მდიდარი, ჰყავდეს გავლენიანი მეგობრები, მთავარი კი გვავიწყდება — ჩვენ არ ვიცით, რას გრძნობს ბავშვი.

— ხშირად მშობლები მუშაობენ და არ აქვთ საკმარისი დრო შვილებთან ურთიერთობისთვის.

— მშობლები არიან რთულ მდგომარეობაში, ისინი ბევრს მუშაობენ, რომ შვილებს უზრუნველი მდგომარეობა შეუქმნან, ამისთვის არაფერს იშურებენ. თუმცა, ჩვენ ისიც არ ვიცით — რა არის განათლება. ჩვენმა შვილმა უნდა იმეცადინოს, ვატარებთ კერძო სკოლაში, პირველი კლასიდან სხვადასხვა წრეზე, არ ვუტოვებთ თავისუფალ დროს და ეს არის უკვე შეცდომა, ეს არის ძალადობა ბავშვზე. მშობლები ჩივიან, რომ „ბავშვმა ინტერესი დაკარგა“ და რატომ უნდა აინტერესებდეს? როცა პირველი კლასიდან დადიოდა ყველა შესაძლო წრეზე, სად შეუძლია პირველ კლასელს ამდენი, მშობლები თავისულ დროს არ უტოვებენ შვილებს, რადგან თვითონ არ აქვთ თავისუფალი დრო, ისინი არ იცნობენ არა თუ შვილებს, არამედ საკუთარ თავს. როცა მშობლებს ვეკითხები „რას გრძნობ?“, მიყურებენ როგორც უცნაურ ადამიანს, მათ იციან რას ფიქრობენ, მაგრამ არ იციან რას გრძნობენ. როცა მშობელს არ აქვს რეგულირებული ემოცია, შვილსაც არ ექნება რეგულირებული ემოცია. ეს არის დამღუპველი! დღეს დასავლეთში დიდ ძალისხმევას ხარჯავენ, რომ ბავშვებს ასწავლონ ემოციური რეგულაცია, ეს არის სხვისი და საკუთარი ემოციის გაგება და სიბრაზის მართვა, ჩვენმა საზოგადოებამ სიბრაზის მართვა არ იცის და მოვედით ბულინგამდე.

— როგორია მოძალადე მოზარდის ფსიქოლოგიური მდგომარეობა?

— მოძალადე ბავშვიც და მოზრდილიც არის მსხვერპლი. მოძალადეები არ ხდებიან კარგი ცხოვრების გამო, მათ აქვთ ცუდი გამოცდილება ადამიანებთან ურთიერთობის, ისინი თვითონ შეიძლება იყვნენ ძალადობის მსხვერპლნი, არ ჰქონდეთ სტრესთან მდგრადი გამკლავების უნარი. განსაკუთრებით ბიჭებს ეხებათ, რადგან ბიჭები, სტრესის და დეპრესიის დროს, აგრესიით პასუხობენ სიტუაციას. ბევრი შემთხვევა მაქვს, როცა მშობლები ჩივიან სკოლებში ბულინგის ფაქტებზე, სკოლები ვერ აგვარებენ ამ სიტუაციას, რადგან თანამშრომლობა ერთმანეთის დაბრალებაში გადადის. ადამიანები ძალადობის წინააღმდეგ იბრძვიან, თუმცა საბოლოო ჯამში ერთმანეთს ებრძვიან და ისევ ძალადობრივ სტრატეგიებს იყენებენ. ჩვენს საზოგადოებაში ვერც მასწავლებელი და ვერც მშობელი ვერ იტყვის — რომ შეეშალა, ბავშვსაც არ აძლევენ ამის თქმის უფლებას, სისუსტედ თვლიან. ჩვენ შეცდომებზე ვსწავლობთ, უნდა ვაღიაროთ შეცდომა.

თამარ გაგოშიძე

„საკუთარ გრძნობებში ჩავიხედოთ და ვისწავლოთ სიბრაზის მართვა. დღეს ამერიკულ და ბრიტანულ სკოლებში შეტანილია საგნად ემოციური ინტელექტის მართვა. ეს აღმოჩნდა მთავარი ცოდნის მიღებისთვის, კარიერის გაკეთებისა და, ზოგადად, ცხოვრებისთვის. ისინი ჩვენზე უარეს მდგომარეობაში იყვნენ, ეს პრობლემა დაინახეს, აღიარეს და მუშაობენ“.

— როდის უნდა ჩაერიოს მშობელი შვილის ცხოვრებაში?

— საქართველში მშობლები თვლიან, რომ ბავშვი არ უნდა გაანერვიულონ მოთხოვნის დაკმაყოფილების გამო, რომ ბავშვი არ უნდა დაიჩაგროს, ყიდულობენ სათამაშოებს, უსრულებენ ყველა მოთხოვნილებას, მაგრამ საბოლოოდ დამოუკიდებლად არჩევანის და ცხოვრების საშუალების უფლებას არ აძლევენ. მშობლების ლოგიკა შემდეგია: მე ყველა მოთხოვნილებას ვუკმაყოფილებ, მაგრამ იმ წესით უნდა იცხოვროს, რა წესითაც მე მინდა, ვატარებ ცეკვაზე, მუსიკაზე, იმიტომ რომ ასე მინდა. სანამ ეს არ დამთავრდება, გაიზრდებიან მოძალადე ბავშვები.

— რა იქნება თქვენი რჩევები მშობლების მიმართ?

— ბაღში ან სკოლაში მშობელი ბავშვს ეკითხება — რა ჭამა, მასწავლებელსაც ამას ეკითხება, თუმცა მთავარი ავიწყდება, ჰკითხოს — რა ისწავლა, რა ეწყინა ან გაუხარდა მის შვილს. არც საკუთარ თავს ეკითხება მშობელი, რა უხარია და ცხოვრობს ასე. ამიტომ ვურჩევ მშობელს, ნახევარი საათი გამოყოს და ემოციურად მისაწვდომი გახდეს საკუთარი შვილისთვის.

შევხედოთ ჩვენს თავებს, სარკეში ჩავიხედოთ, დავაკვირდეთ, როცა ვლაპარაკობთ — რა სახე გვაქვს და რა ტონით ვსაუბრობთ. ჩვენი საზოგადოება როგორია იცით? საფრთხის განცდა აქვს. არაფერს უპირებ და მაინც თავდაცვით მდგომარეობაში დგას. სანამ წაგება-მოგების ენით ვსაუბრობთ, რჩევებსაც არ აქვს აზრი. საკუთარ გრძნობებში ჩავიხედოთ და ვისწავლოთ სიბრაზის მართვა დღეს ამერიკულ და ბრიტანულ სკოლებში შეტანილია საგნად ემოციური ინტელექტის მართვა. ეს აღმოჩნდა მთავარი ცოდნის მიღებისთვის, კარიერის გაკეთებისა და, ზოგადად, ცხოვრებისთვის. ისინი ჩვენზე უარეს მდგომარეობაში იყვნენ, ეს პრობლემა დაინახეს, აღიარეს და მუშაობენ.

სკოლაში, სადაც სწავლობდნენ მოკლული მოზარდები, ერთი კვირის წინ იყო კვირეული: „არა ბულინგს, არა ძალადობას“. გამოდის, რომ ლოზუნგი რჩება ლოზუნგად, ეს არის ფასადი. ჩვენ ვართ მატერიაზე მიწებებული, მშობლები 24 საათი მუშაობენ, რომ შვილი უზრუნველყონ, ამაში არ არის ბედნიერება. ერთმა უცხოელმა პროფესორმა, როცა ნახა — ჩვენთან ახალგაზრდები საკუთარი მანქანებით გადადგილდებიან, ჩემ ნაცნობ პროფესორს უთხრა, რა წარმატებული ახალგაზრდები გყოლიათო. როცა გაიგო, რომ ხშირ შემთხვევაში მშობლები ყიდულობენ ამ მანქანებს, გაოგნდა, რადგან ასეთი რამ დაუშვებელია. ამას მშობელი ვერ აცნობიერებს, უნდა რომ გაუკეთოს საკუთარ შვილს ყველაფერი, მაგრამ, ამავდროულად, უნდა შვილი მისი ოცნებებით ცხოვრობდეს, ყველაფერს უსრულებს და ასეთი ფორმით ერთგვარი გარიგება აქვს შვილთან.

ნარკოტიკული დანაშაულის აქტუალური საკითხები

ნაბო ობოლაძე

თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე სისხლის სამართლის პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანება ჩამოყალიბდა. გაერთიანების მიერ ორგანიზებულ პირველ სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც 15 ნოემბერს გაიმართა, განიხილეს ნარკოტიკული დანაშაულის აქტუალური საკითხები. საქართველოში არსებულ ვითარებასთან ერთად, სპეციალისტებმა ამ მიმართულებით ევროპის ქვეყნებში განხორციელებული რეფორმების შესახებაც იმსჯელეს. საქართველოში ნარკოპოლიტიკის ცვლილების თაობაზე თეორეტიკოს იურისტებთან ერთად საკუთარი პოზიციები ქართული მართლმსაჯულების სისტემაში მოღვაწე სამართალმცოდნეებმაც დააფიქსირეს. პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან ერთად შეხვედრას ესწრებოდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე მერაბ ტურავა, სამართალმცოდნე (1999-2000 წლებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე) მინდია უგრეხელიძე და თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და თინათინ წერეთლის სახელობის სამართლის ინსტიტუტის წარმომადგენლებიც.

ამ დროისთვის მუშაობა მიმდინარეობს საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში ნარკოპოლიტიკის კანონპროექტზე, რომლის მიზანია მსუბუქი ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისა და მცირე ოდენობით ფლობის შემთხვევაში მოქალაქეებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის არიდება, დეკრიმინალიზაცია. ნარკოპოლიტიკის რეფორმის ჩატარების ვალდებულება საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დოკუმენტითაც აქვს აღებული. რეფორმის შესახებ თსუ-ში სისხლის სამართლის პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანების შეხვედრაზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ისაუბრა.

„რეფორმა უნდა მოემსახუროს ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენების შედეგად გამოწვეული ჯანმრთელობისა და სოციალურ შედეგებთან გამკლავებას. უნდა უზრუნველყოთ უფრო ეფექტური პრევენცია და საჭიროა განხორციელდეს მუშაობა ნარკოტიკული ნივთიერებების მიწოდების, ვაჭრობის და მათზე მოთხოვნის შემცირების მიმართულებით. ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით საქართველომ აიღო ვალდებულება, რომ ქვეყანაში არსებული ნარკოპოლიტიკა ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანოს და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი სახელმწიფო სტრატეგია შექმნას. მეამაყება, რომ ეს ხედვა დღეს შეიძლება იყოს რეალიზებული იმ საკანონმდებლო პაკეტის მეშვეობითაც, რომელიც უკვე პარლამენტშია წარდგენილი და აქტიური განხილვები მიმდინარეობს. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ კანონპროექტს არ სჭირდება გადამუშავება, დახვეწა, სამეცნიერო წრეებში აზრთა გაცვლა-გამოცვლა და, გარკვეულწილად, საზოგადოების მომზადება სამართლებრივი მართლშეგნების კუთხით. ასევე, აქტიური მუშაობა მიმდინარეობს ნარკომანიით დაავადებულთა მკურნალობა-რეაბილიტაციის განხორციელების მიზნით და ყურადსაღებია ტენდენციები, რომელიც დაბალანსებული ნარკოპოლიტიკიდან ლიბერალურ მიდგომაზე გადასვლას გულისხმობს.

ქართულ მართლმსაჯულებას ამ მიმართულებით, საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი აქტივობებიდან გამომდინარე, ჰქონდა ძალიან რთული პერიოდი. ასევე, რთული პერიოდი აქვს საქართველოს პარლამენტსაც, რომელმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები ასახა და მომავალშიც ასახავს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ნარკოტიკული დანაშაულის შესახებ თავში“, — განაცხადა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ნინო გვენეტაძემ.

საზოგადოებაში არ წყდება დისკუსია ნარკოპოლიტიკის ფორმირების შესახებ. მეცნიერთა ერთი ნაწილი მხარს უჭერს საერთოდ ნარკოტიკების მოხმარების ლეგალიზაციას, მეორე ნაწილი — სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, მესამე კი — ამ ქმედების დეკრიმინალიზაციას. იურიდიული ფაკულტეტის პროფესორის ნონა თოდუას თქმით, სწორი გზა არის დეკრიმინალიზაცია და მისი შემდგომი სრულყოფილი მოწესრიგება მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობით. მან სისხლის სამართლის პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანების პირველ კონფერენციაზე წარმოადგინა მოხსენება — „სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის ტენდენციები ნარკოტიკულ დანაშაულთა დაკავშირებით (2017 წლის კანონპროექტი)“.

„უნდა მოხდეს მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენის, დამზადების, შენახვის, გადაზიდვის და ექიმის დანიშნულებით ნარკოტიკის მოხმარების (ამ შემთხვევაში რაოდენობას მნიშვნელობა არ აქვს) დეკრიმინალიზაცია, ამისათვის 2017 წლის ნარკოპოლიტიკის კანონპროექტი ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსიდან 273 მუხლის ამოღებას, თუმცა აქვე აღვნიშნავ, რომ აუცილებელია კოდექსიდან 273 პრიმა მუხლის პირველი ნაწილის დეკრიმინალიზაციაც, რადგან აქაც საუბარია კანაფსა და მარიხუანასთან დაკავშირებულ ქმედებებზე. სამწუხაროდ, კანონპროექტში, ჯერჯერობით, 273 პრიმა მუხლის პირველი ნაწილის დეკრიმინალიზაციაზე საუბარი არ არის“, — აღნიშნა ნონა თოდუამ.

ნარკოტიკების მოხმარების ლეგალიზაციისა და, ასევე, ნარკოტიკების მოხმარებისთვის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემის მოსაზრებები უარყო სამართლის დოქტორმა ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხმა თავის მოხსენებაში — „ნარკოტიკების მოხმარება, როგორც აბსტრაქტული დელიქტი“. მისი განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ლეგალიზაციას მოახდენს, ეს საზოგადოების უსაფრთხოების დარღვევას შეუწყობს ხელს და, ამავე დროს, ახალგაზრდობამ შეიძლება აღიქვას, როგორც მოხმარების ნებართვა — რადგან დაშვებულია, ესე იგი არაა საშიში. რაც შეეხება ნარკოტიკების მომხმარებელთა დასჯის მექანიზმს, მომხსენებელმა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მკურნალობის კურსით ჩანაცვლების აუცილებლობაზე ისაუბრა. ნარკოტიკების მომხმარებელთა დასჯადობა კი კომუნიტარიზმის იდეიდან გამომდინარე დაასაბუთა.

„ლიბერალური მიდგომიდან გამომდინარე, ადამიანი თავისუფალია და ის იმას გააკეთებს, რაც უნდა. ასეთ შემთხვევაში ნარკოტიკების მოხმარებისას დასჯადობა არ საბუთდება, რადგან ადამიანის თავისუფალ არჩევანზეა საუბარი. თუმცა, არსებობს მეორე მიდგომაც — კომუნიტარიზმი, რომელმაც ამერიკაში 80-იანი წლებიდან დაიწყო განვითარება. კომუნიტარიზმი გულისხმობს კანონმორჩილი ადამიანის თავისუფლებას საზოგადოებაში და არა უსაზღვრო თავისუფლებას. კომუნიტარიზმიდან გამომდინარე, ნარკოტიკების მომხმარებელთა დასჯადობა საბუთდება. თუმცა, ვფიქრობ, რომ ადამიანი, რომელსაც პრობლემა აქვს და იწყებს ნარკოტიკების გამოყენებას, ციხეში კი არ უნდა გადავიყვანოთ, მის მკურნალობა-რეაბილიტაციაზე უნდა ვიზრუნოთ“, — განაცხადა ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხმა.

კონფერენციაზე მოხსენებები ასევე წაიკითხეს: უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ნინო გვენეტაძემ თემაზე — „სასამართლო სისტემის როლი ნარკოპოლიტიკის რეფორმირებაში“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლემ მერაბ ტურავამ — „ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის ტენდენციები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების მიხედვით“; თიუბინგენის უნივერსიტეტის პროფესორმა ბრენდ ჰაინრიხმა — „ნარკოტიკული დანაშაულის ძირითადი ტენდენციები გერმანიაში“; თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ და პროფესორმა მორის შალიკაშვილმა — „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების (წიქარიშვილი საქართველოს წინააღმდეგ) კრიმინოლოგიური ანალიზი“. კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი ღლონტი, რომელმაც მხარი დაუჭირა ლიბერალიზაციის პოლიტიკას ნარკოდანაშაულთან მიმართებაში. ასევე, მოხსენება წაიკითხა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა ჯემალ ჯანაშიამ.

სისხლის სამართლის პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანება პროფესორ ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხის ინიციატივით ჩამოყალიბდა. გაერთიანების ფარგლებში ყოველ სემესტრში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თანამედროვე ქართული სამართლის აქტუალურ პრობლემებზე სემინარები გაიმართება. ორ წელიწადში ერთხელ კი სამეცნიერო კონფერენციები ჩატარდება.

„სისხლის სამართლის პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანების ჩამოყალიბება ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ეს დამფუძნებელი შეხვედრაა და მომავალში უფრო ბევრი საკითხის დაგეგმვა-დაზუსტება მოგვიწევს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ არ ვიკვებებოდეთ მხოლოდ იმ ფესვებით, რომელზედაც არის ამოზრდილი ეს იდეა, ანგარიში უნდა გავუწიოთ თანამედროვეობის გამოწვევებსა და მოთხოვნებს. დღეს ნარკომანიაზე იყო საუბარი და მინდა გითხრათ, რომ ჯერ კიდევ 60-იანი წლების ბოლოს თინათინ წერეთელს მოუხდა პატარა შეჯახება ედუარდ შევარდნაძესთან. თინათინ წერეთელი თვლიდა, რომ უნდა მოხდეს ნარკომანიის დეკრიმინალიზაცია და არა დელეგალიზაცია. ათწლეულებია მოდის ეს იდეა და ვერაფრით გაიკვალა გზა. ამიტომ ასეთი შეხვედრები, როგორიც დღეს არის, მნიშვნელოვანია, რათა შეჯამდეს ჩვენი პოლიტიკური და მეცნიერული აზრი. ასევე მნიშვნელოვნად მიმაჩნია უცხოელი კოლეგების მონაწილეობაც. კონფერენცია „ნარკოტიკული დანაშაულის აქტუალური საკითხები“ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი დასაწყისია“, — აღნიშნა მინდია უგრეხელიძემ.

სამეცნიერო კონფერენციებისა და სემინარების გარდა, სისხლის სამართლის პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანება ტრადიციის დამკვიდრებასაც გეგმავს — დაიწყება ახალი გამოცემული სამეცნიერო ნაშრომების, სახელმძღვანელოების განხილვა. გაერთიანების დამფუძნებლების აზრით, უნდა შეიცვალოს ბოლო დროს დამკვიდრებული ტენდენცია — წიგნების პრეზენტაციები მათი განხილვა-გაანალიზების ნაცვლად, რაც ავტორებს არ აძლევთ საშუალებას, რომ მათი ნამუშევრის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ კვალიფიციური სპეციალისტების პოზიციები მოისმინონ.

ლექცია თემაზე: „აშშ და ირანი, მეგობრობა და ჩიხი“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით 29 ნოემბერს გაიმართა ახალგაზრდა ისტორიკოსის მერაბ მელაძის საჯარო ლექცია თემაზე: „აშშ და ირანი, მეგობრობა და ჩიხი“.

თუ ამერიკისა და ირანის ურთიერთობის ისტორიას დავაკვირდებით, ნათლად დავინახავთ — თუ რატომ არ დამყარდა სტაბილური მშვიდობა და რატომ არ ჩამოყალიბდა ერთმანეთის მიმართ ნდობა ამ ორ სახელმწიფოს შორის. თავდაპირველად, ამერიკა ირანისთვის მოკავშირეს და განვითარებისთვის ხელშემწყობ პარტნიორს წარმოადგენდა, ირანული რევოლუციის შემდგომ კი იგი მტრის ხატად და პოტენციურ საფრთხედ გადაიქცა. ამის საფუძველი კი მატერიალური და სტრატეგიული ინტერესებია: ირანი ისწრაფვის ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ჰეგემონია დაამყაროს, ხოლო ამერიკა ეწინააღმდეგება ირანის სვლას რეგიონალური დომინირებისაკენ.

სწორედ ირანის ახალი და უახლესი პოლიტიკური ისტორია არის ახალგაზრდა ირანისტის და ორიენტალისტის მერაბ მელაძის მთავარი საკვლევი თემა. როგორც თვითონ მომხსენებელმა აღნიშნა: „ჩემი მიზანი და ამოცანა იყო წარმოგვედგინა ერთიანი სურათი — თუ როგორ დაიწყო ორი დიდი ქვეყნის — აშშ-სა და ირანის ურთიერთობები და, შემდეგ, როგორ შევიდა ეს ურთიერთობები ჩიხში. თემის აქტუალურობასთან დაკავშირებით შემიძლია ვთქვა, როდესაც დღის წესრიგში დგება თეირანისა და ვაშინგტონის ურთიერთობები, ბევრგან ვაწყდებით მწირ ან შეცდომებით გაჯერებულ ინფორმაციას, რომელიც სავსეა სტერეოტიპებით, ამიტომ ერთ-ერთი ძირითადი მიზანიც სწორედ ამ თემის განხილვა იყო“, — განაცხადა გიორგი მელაძემ.

საჯარო ლექციაზე მომხსენებელმა შემდეგი საკითხები განიხილა: ფაჰლავიანთა ახალი დინასტიის მოსვლა ირანის ხელისუფლებაში, მათი რეფორმების და სეკულარიზაციის მცდელობები, ბრიტანულ-ირანული ნავთობ კომპანიების ნაციონალიზაციის საკითხები, 1953 წლის ირანის სახელმწიფო გადატრიალება CIA და SIS მეშვეობით, ირანისა და შტატების ურთიერთობები ახალი შაჰის ხელისუფლების დროს და ისლამური რევოლუციის შემდეგ.

თამარ დადიანი

თამარ დადიანი

ინესა მერაბიშვილის თარგმანის წყალობით ლონდონშიც აღმოაჩინეს გალაკტიონი

შურთხია ბეროშვილი

16 ნოემბერს ლონდონში, საქართველოს საელჩოს ინიციატივით, აზიის სახლმა გალაკტიონ ტაბიძის დაბადებიდან 125 წლის იუბილეს უმასპინძლა. ღონისძიებას გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის წევრები, ბრიტანული კულტურისა და ლიტერატურული წრეების წარმომადგენლები, უცხოელი დიპლომატები და ლონდონში საქართველოს დიასპორას წარმომადგენლები დაესწრნენ.

საიუბილეო ღონისძიების მთავარ, მნიშვნელოვან მოვლენად იქცა თსუ-ის პროფესორის ინესა მერაბიშვილის ახალი თარგმანების კრებულის — „Discover Galaktion“ („აღმოაჩინე გალაკტიონი“) — პრეზენტაცია, რომელიც წლეულს გამომცემლობა CCC Press („Critical, Cultural and Communications Press“)-მა გამოსცა. საგულისხმოა ისიც, რომ გალაკტიონის ახალი წიგნი 2 ნოემბრიდან უკვე განთავსდა Amazon-ზე და იგი ხელმისაწვდომია მსოფლიოს ნებისმიერი დაინტერესებული მკითხველისთვის. წიგნში გალაკტიონის 60 შედევრია განთავსებული. კრებულს თან ახლავს მთარგმნელის ვრცელი შესავალი და კომენტარები, ასევე, გალაკტიონის არქივში არსებული ფოტო და ხელნაწერი დოკუმენტების მასალები.

გალაკტიონ ტაბიძის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება აზიის სახლის ხელოვნების განყოფილების ხელმძღვანელმა პამელა კემბერმა გახსნა, რომელმაც ქართულ მხარესთან წარმატებულ თანამშრომლობაზე ისაუბრა. საქართველოს ელჩის თამარ ბერუჩაშვილის სახელით სტუმრებს საელჩოს მრჩეველი ნელი შიოლაშვილი მიესალმა და აზიის სახლს ღონისძიების თანაორგანიზებისთვის მადლობა გადაუხადა.

საიუბილეო საღამოზე ინესა მერაბიშვილმა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაზე ლექცია წაიკითხა. „იუბილეზე ვრცლად ვისაუბრე გალაკტიონის ცხოვრებაზე და შემოქმედებაზე. მნიშვნელოვანია, რომ ქართველი კლასიკოსის პოეზიას გაეცნენ ცნობილი ინგლისელი პროფესორები, აკადემიური წრის წარმომადგენლები, მწერლები, მხატვრები, პოლიტიკოსები და ინგლისელი ლორდები, მათ შორის ლორდ ბაირონის მემკვიდრეები: ლორდ და ლედი ბაირონები, ასევე გრაფი და გრაფინია ლიტონები, პოეტი და დრამატურგი ლორდ დომენიკ მერევორსი, ლორდ ბაირონის საზოგადოების თავმჯდომარე ალის დეშანფნევი, ევროატლანტიკური პოლიტიკური ჯგუფის თავმჯდომარე ჯასტინ გლასი და ბრიტანეთის ყოფილი ელჩები საქართველოში: სტივენ ნეში და დონალდ მაკლარენი. მნიშვნელოვანია, რომ ღონისძიებაზე ბრიტანელ პოეტსა და დრამატურგს ლორდ დომინიკ მერევორსს ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა გაერთიანების სპეციალური ჯილდო „ოქროს ფრთა“ გადაეცა“, — გვითხრა ინესა მერაბიშვილმა.

„მადლობას ვუხდი ქართველ ხალხს და იმ ფონდს, რომელმაც დამაჯილდოვა, რაც ჩემთვის დიდი პატივია. მე აღმაფრთოვანა გალაკტიონის აღმოჩენამ, რომელიც არისტოკრატიული სულის პოეტი გახლავთ. დიდად ვაფასებ და მაღალ შეფასებას ვაძლევ ინესა მერაბიშვილის განსაცვიფრებელ თარგმანს, სადაც დედნის ღირსება სავსებით არის შენარჩუნებული“, — განაცხადა შეხვედრაზე დომინიკ მერევორსმა.

„უთარგმნელ“ პოეტად წოდებულ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის ხიბლი და დიდებულება ინგლისელებმა არც ისე დიდი ხანია „აღმოაჩინეს“. თსუ-ის პროფესორის, ცნობილი ანგლისტისა და ბაირონოლოგის ინესა მერაბიშვილის მიერ თარგმნილი გალაკტიონის ლექსები პირველად 2005 წელს გამოიცა ნოტინგემის უნივერსიტეტის ხელშეწყობით. 2011 წელს კი ქართველი კლასიკოსი პოეტის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო ლონდონში ქენინგ ჰაუზში, ლორდ მერევორსის ორგანიზებით გაიმართა.

ინესა მერაბიშვილის თარგმანების მნიშვნელობაზე საინტერესოა ნოტინგემის უნივერსიტეტის პროფესორის რიჩარდ კარდველის აზრი: „ეს მთარგმნელის ჭეშმარიტი გამარჯვებაა. მან არა მარტო წარმატებით ააჟღერა ორიგინალის ჰარმონია და რიტმი, არამედ დედნისეული ტექსტის რთული მეტაფორები არაჩვეულებრივი ერთგულებითა და სიზუსტით აამეტყველა ინგლისურ ენაზე. ის, რომ ამ თარგმანებში მკითხველი ვერ გრძნობს უცხო წყაროს არსებობას, ეს ინესა მერაბიშვილის, როგორც მთარგმნელის, დიდი ნიჭიერებისა და ოსტატობის მაჩვენებელია“.

გალაკტიონის პოეზიამ და მისმა თარგმანებმა აღაფრთოვანა და გააოცა ამერიკელი მკვლევარი რობერტ ჯ. გიბსონიც: — „რომ არ მცოდნოდა, რომ ჩემს წინაშე თარგმანია, ჩავთვლიდი, რომ ეს ყოველივე ინგლისურ ენაზეა შექმნილი. ეს ხომ ძალზე იშვიათი მიღწევაა ნებისმიერ თარგმნილ ლიტერატურაში და განსაკუთრებით პოეზიაში. მსურს, მადლობა ვუთხრა ინესა მერაბიშვილს, რომ მაზიარა გალაკტიონს, რომლის შემოქმედება, უდავოდ, გაცილებით უფრო ფართო აღიარებას იმსახურებს“.

ინესა მერაბიშვილის მაღალპროფესიულ მთარგმნელობით ოსტატობაზე საუბრობს ცნობილი დიპლომატი სტივენ ნეში, რომელიც არანაკლებ საყურადღებოდ მიიჩნევს თსუ-ის პროფესორის დაუღალავ საზოგადო მოღვაწეობას: „ინესა მერაბიშვილი გახლავთ ბრიტანულ-ქართული ურთიერთობების დიდი მოამაგე, რომელიც მეგობრებს და თაყვანისმცემლებს უმრავლებს საქართველოს. ამ მხრივ მის ღვაწლს მხოლოდ და-ძმა უორდროპების მიერ გაწეულ სამსახურს შევადარებდი“.

ღონისძიებაზე აზრი გამოთქვა ლონდონში მოღვაწე ჟურნალისტმა გიორგი ლალიაშვილმა: „გალაკტიონის 60 შედევრის მერაბიშვილისეული თარგმანი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ქართული ლექსი აუცილებლად უნდა თარგმნოს ქართულისა და ინგლისურის თანაბარ დონეზე მცოდნემ, ამასთან იგი უნდა იყოს მკვლევარ-ლინგვისტი და პოეტური ნიჭიც უნდა მოსდგამდეს. ის უზარმაზარი ცოდნა და გამოცდილება, რაც ამ სფეროში დაუგროვდა გალაკტიონის უზადო მთარგმნელს ინესა მერაბიშვილს, შემდგომში აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ სხვა მთარგმნელებმაც ე.წ. „უთარგმნელი პოეტების“ შემთხვევაში. ჩემი აზრით, საშური საქმე იქნება — ინესა მერაბიშვილმა ხელი მოჰკიდოს ისეთი გენიალური პოეტების თარგმნასაც, როგორებიც არიან: ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა და ანა კალანდაძე....“, — განაცხადა გიორგი ლალიაშვილმა.

ლონდონში გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეო ღონისძიებაზე შეკრებილმა საზოგადოებამ მაღალი შეფასება მისცა ინესა მერაბიშვილის თარგმანებს; ითქვა ისიც, რომ სწორედ ამ თარგმანების მეშვეობით დაიმკვიდრა გალაკტიონმა მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში ადგილი. ლექციის შემდეგ საელჩო სტუმრებს ქართული ღვინით გაუმასპინძლდა.

„თსუ საბავშვო უნივერსიტეტი“ ახალ პროექტს იწყებს

თამარ დადიანი

თსუ-ის საბავშვო უნივერსიტეტი „ახალგაზრდა მკვლევართა კლუბის“ პროექტს იწყებს. პროექტის მიზანია მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართულობის გაზრდა მოსახლეობისათვის საფრთხის შემცველი ბუნებრივი თუ სოციალური პროცესების შესწავლაში, პრევენციულ ღონისძიებათა გატარებაში და მოსახლეობის ცოდნის ამაღლებაში ამა თუ იმ მოვლენისგან თავის დასაცავად. დღეს ერთ-ერთ ასეთ აქტუალურ პრობლემას აზიურ ფაროსანასთან ბრძოლა წარმოადგენს.

„თსუ-ის საბავშვო უნივერსიტეტის“ ხელმძღვანელმა მარინა ლომოურმა აღნიშნა, რომ სტუდენტები, რომლებიც „თსუ დესპანის“ პროექტის ფარგლებში ქალაქისა თუ რეგიონის სკოლების მოსწავლეებს უნივერსიტეტისა და საკუთარი სპეციალობის შესახებ ინფორმაციას აწვდიან, სურვილის შემთხვევაში ჩაერთვებიან აგრეთვე აზიურ ფაროსანას წინააღმდეგ პრევენციული ბრძოლის მეთოდების მოსახლეობაში გავრცელებაში.

„ამ პროექტის ფარგლებში თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის სურსათის ეროვნულმა სააგენტომ სპეციალური ტრენინგი ჩაატარა, რადგან სტუდენტების ჩართულობა და აქტიურობა აზიურ ფაროსანასთან დაკავშირებით მიმდინარე საინფორმაციო კამპანიაში უმნიშვნელოვანესია“ — განაცხადა სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსმა ზურაბ ჩეკურაშვილმა სტუდენტებთან შეხვედრისას.

მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის უფროსმა ნიკოლოზ მესხმა სტუდენტებს 2017 წელს მავნებელთან ბრძოლის ფარგლებში გატარებული ღონისძიებებისა და არსებული ვითარების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

ამ შეხვედრის დროს დაიგეგმა აგრეთვე „თსუ საბავშვო უნივერსიტეტის“ ახალგაზრდა მკვლევართა კლუბების სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობა აზიური ფაროსანას მიერ გამოწვეული სხვადასხვა პრობლემის შესწავლაში.

ინტერვიუ

თუ რა სიახლეებს გვთავაზობს „თსუ საბავშვო უნივერსიტეტი“ და რა პროექტები განხორციელდა ახალი სასწავლო წლიდან — ამის შესახებ გვესაუბრება პროექტის ხელმძღვანელი, დოქტორი მარინე ლომოური.

— ქალბატონო მარინე, მოსწავლეების დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული „თსუ საბავშვო უნივერსიტეტის“ საქმიანობაში. ჩვენ არაერთხელ გავახმიანეთ ის ღონისძიებები და პროექტები, რომლებმაც საზოგადოების ინტერესი გამოიწვია. მიმდინარე სასწავლო წელი თუ არის ამ მხრივ გამორჩეული?

— „თსუ საბავშვო უნივერსიტეტის“ პირველი რიგის ამოცანად კვლავ რჩება მოსწავლეებისათვის ჩვენი უნივერსიტეტის, როგორც ქვეყანაში უმაღლესი განათლების პირველი და მთავარი კერის, ისტორიის, დღევანდელობის, მომავალი პერსპექტივების გაცნობა, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ სასწავლო წელს, როდესაც უნივერსიტეტი 100 წლის იუბილეს იზეიმებს. ამ მიზანს ემსახურება ექსკურსიები მოსწავლეთათვის კორპუსში, თსუ-ის მუზეუმებში, ბიბლიოთეკაში და სასწავლო თუ კვლევით ლაბორატორიებში. მოსწავლეებისთვის მისაწვდომია, აგრეთვე, ლექციები, ლაბორატორული მუშაობა, კონფერენციები, ვიქტორინები და ა.შ. მოსწავლეებისა და უნივერსიტეტის დაახლოებას ემსახურება პროექტი „თსუ-დესპანი“, რომელიც უკვე მე-ნ წელია, რაც მოხალისე სტუდენტების მონაწილეობით მიმდინარეობს.

საბავშვო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად ფორმას შემეცნებითი სალექციო კურსები წარმოადგენს, რომლებიც ფაკულტეტებზე „ნორჩთა სკოლების“ სახით მიმდინარეობს: „ნორჩ ასტრონომთა სკოლა“, „ნორჩ ეკონომისტთა სკოლა“, „ნორჩ ექსპერიმენტატორ-ფიზიკოსთა სკოლა“ და ა.შ. დიდი პოპულარობით სარგებლობს ინტერდისციპლინარული ლექციების კურსები ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში და საზოგადოებრივ მეცნიერებებში.

მიმდინარე სასწავლო წელს კომპიუტერული მეცნიერებებით დაინტერესებულ მოსწავლეებს ფრანგი პროფესორის ჟან-ჟაკ მარიაჟის ღია ლექცია ჩაუტარდათ კომპიუტერული მეცნიერებების მიღწევების შესახებ, რამაც მოსწავლეებში დიდი ინტერესი გამოიწვია.

ჰუმანიტარული მეცნიერებით დაინტერესებულ მოსწავლეებს ნორჩ ჰუმანიტართა სკოლის მიერ ორგანიზებულ ლექციებზე დასწრება შევთავაზეთ. სკოლის მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ აგრეთვე ნორჩ გეოგრაფთა სკოლაში, სადაც ლექციებს კითხულობენ თსუ-ის გეოგრაფიის დეპარტამენტის პროფესორები და მოწვეული ექსპერტები, გეოგრაფიისა და გარემოს დაცვის სფეროში მოღვაწე პროფესიონალები. ლექციების მსვლელობისას აქტიურად გამოიყენება ვიზუალიზაციის ეფექტური საშუალებები. ეწყობა ეკოლოგიური და გეოგრაფიულ-შემეცნებითი ფილმების ჩვენება და ასე შემდეგ.

მარინე ლომოური

გვ. 11

ქართული თარგმანი - როგორ დავწეროთ ისტორია

შურთხია ბეროშვილი

17 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით ახალი სახელმძღვანელოს — როგორ დავწეროთ ისტორია“ (შესავალი დისციპლინის ისტორიასა და პრაქტიკაში) — ქართული თარგმანის პრეზენტაცია გაიმართა. დიდი ბრიტანეთის უმაღლესი სასწავლებლებისთვის გამიზნული სახელმძღვანელოს თარგმნა, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს დადგენილების საფუძველზე, მთარგმნელობითი გრანტის ფარგლებში, თსუ-ის პროფესორმა მარიამ ჩხარტიშვილმა ორ დოქტორანტთან — სოფიო ქადაგიშვილთან და ზურაბ თარგამაძესთან ერთად ითავა. როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, წიგნი, უპირველეს ყოვლისა, განკუთვნილია ისტორიის სპეციალობის სტუდენტებისათვის, ასევე ჰუმანიტარული მეცნიერებების სხვა წარმომადგენლებისთვისაც.

„წიგნში მოცემულია — თუ როგორ, როდის და რატომ აღმოცენდა ისტორიის წერისადმი ცალკეული მიდგომები, როგორ დამკვიდრდა და იცვლებოდა ისინი, ან თუნდაც, როგორ შეწყვიტეს მათ არსებობა. ჩვენს „ფოკუსშია“ ისტორია, რომელიც იქმნებოდა, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, უმეტესწილად — უნივერსიტეტების ისტორიის დეპარტამენტებში“, — წერენ შესავალში წიგნის რედაქტორები პიტერ ლამბერტი და ფილლიპ სკოფილდი.

წიგნის პრეზენტაციაზე თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა ნანა გაფრინდაშვილმა თანამედროვე სახელმძღვანელოების შექმნის აუცილებლობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ახლად თარგმნილი ნაშრომი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაღალი სტანდარტების დამკვიდრებას შეუწყობს ხელს. „სახელმძღვანელო ინოვაციურია. მთარგმნელთა ჯგუფმა, მარიამ ჩხარტიშვილის ხელმძღვანელობით, დიდი შრომა გასწია, რადგან თარგმნის პროცესში მრავალი სირთულის გადალახვა მოუხდათ. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი თარგმანები ხელს უწყობს როგორც სამეცნიერო ენის, ასევე დარგის განვითარებას. ჩვენთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ასეთი მაღალი დონის თანამედროვე სახელმძღვანელოები, რომლებიც სტუდენტებს საშუალებას მისცემს — მიიღონ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლება“, — აღნიშნა ნანა გაფრინდაშვილმა.

დამსწრე საზოგადოებას წიგნის მნიშვნელობაზე მოსაზრება გაუზიარა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, თსუ-ის გამომცემლობის რედაქტორმა, სახელმძღვანელოს ქართული ტექსტის რედაქტორმა გრიგოლ ჯოხაძემ: „ასეთი წიგნების გამოცემის განსაკუთრებულობა ალტერნატივის შექმნაა: წმინდა ინტელექტუალური თვალსაზრისით, ასეთი წიგნებით და მათი წაკითხვით მოწმდება, რომელ ადგილზეა მოცემული საზოგადოების სკალაში მოაზროვნე მკითხველი. მარიამ ჩხარტიშვილისა და მისი გუნდის საქებრად უნდა ითქვას, რომ მათ ძალიან საჭირო წიგნი თარგმნეს. ის არა მხოლოდ სააზროვნოდ განგვაწყობს, არამედ პრაგმატულიცაა და გვამცნობს — რა ხდებოდა, რა ხდება და რა წიგნები უნდა წავიკითხოთ. ამ ნაშრომის გამოსვლით შეიძლება შემცირდეს ჩვენი კოლეგების წუხილი, რომ მათ ვერ შეძლეს მსოფლიო ისტორიოგრაფიული პროცესებისთვის თვალის მიდევნება“, — განაცხადა გრიგოლ ჯოხაძემ.

საინტერესო იყო თავად მთარგმნელის, თსუ-ის პროფესორის მარიამ ჩხარტიშვილის მოსაზრება ახალი სახელმძღვანელოს შექმნასთან დაკავშირებით. „აუცილებლად ჩავთვალე დასავლურ წიაღში შექმნილი და დანერგილი კურსის საფუძველზე დაწერილი სახელმძღვანელოს თარგმნა, რათა გაუცხოება, რომელიც საბჭოურ ისტორიოგრაფიულ სივრცეში მოქცევის გამო დღემდე ახასიათებს ქართულ ისტორიოგრაფიას, ნაწილობრივ მაინც აღმოფხვრილიყო.

დასავლურ გარემოში ამ პროფილის უამრავი სახელმძღვანელო არსებობს. ეს წიგნი იმიტომ შევარჩიე, რომ იგი, როგორც მისი რედაქტორ-შემგდგენლებიც აღნიშნავენ, ინოვაციურ მიდგომებს გულისხმობს. აქ წარმოდგენილ კვლევათა რეპრეზენტაციები თავისებურად ახალი, ზოგჯერ მოულოდნელიცაა — ამაში მკითხველი თავად დარწმუნდება, როცა წიგნს საფუძვლიანად გაეცნობა. მართალია, წიგნი პროფესიონალიზაციისა და ინსტიტუციონალიზაციის ისტორიას ევროპის ზოგიერთი ქვეყნისა და აშშ-ის მაგალითზე წარმოგვიდგენს, მაგრამ ეს ქართველი მკითხველისათვის უაღრესად აუცილებელი ფონია. წიგნი ისტორიკოსებისთვის ნამდვილად საინტერესოა სხვადასხვა ასპექტით. დღეს სამეცნიერო სფეროში დასაქმებულთა უმთავრესი მიზანი სწორედ ამგვარი თარგმანების შექმნაა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია მეცნიერული აზრის განვითარებისთვის. ქართული კულტურისთვის ეს ახალი მოვლენა არ არის. ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ჩვენი ლიტერატურა თარგმანებით მდიდრდებოდა, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურის თარგმანები, მხატვრულ ლიტერატურასთან შედარებით, ნაკლებად გვაქვს. ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. სახელმძღვანელო მსოფლიოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლება, აქ არის ამერიკული და ევროპული ქვეყნების გამოცდილება, რაც ასე საჭიროა ჩვენი სტუდენტებისთვისაც. მნიშვნელოვანია, რომ თარგმნის პროცესში ჩართულები იყვნენ თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტები: სოფიო ქადაგიშვილი და ზურაბ თარგამაძე, რომლებმაც დიდი გამოცდილება შეიძინეს წიგნზე მუშაობის პროცესში. გვინდა, მადლობა გადავუხადოთ ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ამ პროექტის განხორციელებისთვის“, — განაცხადა მარიამ ჩხარტიშვილმა.

ახალ სახელმძღვანელოში — „როგორ დავწეროთ ისტორია“ — მკითხველი საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხებს გაეცნობა. მისი შესავალი ნაწილი ისტორიული კვლევისა და წერის განვითარებას ეძღვნება. წიგნში აგრეთვე განხილულია მეთოდოლოგია: „მეცნიერული“ ისტორია და ობიექტურობის პრობლემა და სხვა საკითხები; ასევე მოცემულია ისეთი აქტუალური თემები, როგორიცაა: „ბრიტანული ეკონომიკური ისტორიის წარმოშობის საკითხები“, „ანალების სკოლა და საისტორიო მწერლობა,“ „ქალთა ისტორია და გენდერის ისტორია“, „ისტორია და ფსიქოანალიზი“, „ისტორია და სოციოლოგია“, „ისტორია და ლიტერატურა“, „ისტორია და მემკვიდრეობა“ და სხვა მრავალი საინტერესო თემა, რომელთა გააზრებასაც ავტორები ინოვაციური მეთოდებით გვთავაზობენ.

„თსუ საბავშვო უნივერსიტეტი“ ახალ პროექტს იწყებს

მე-10 გვ-დან

„თსუ საბავშვო უნივერსიტეტის“ „ნორჩ ეკონომისტთა სკოლამ“ ახალი სასწავლო წელი განახლებული ფორმატით დაიწყო. ეკონომიკის თეორიულ საკითხებს დაემატა პრაქტიკული ბიზნეს საქმიანობის უნარ-ჩვევების დაუფლება; ბიზნეს იდეების დამუშავება და მოდელირება. ამისათვის თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი სთავაზობს მოსწავლეებს სასწავლო-პრაქტიკულ მეცადინეობებს FabLab TSU-ში, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ წარმოადგინონ ან ადგილზე შეიმუშაონ სასურველი პროდუქტის ნახაზები, შემდეგ კი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნან პროდუქტის პროტოტიპები. ასევე, ფაკულტეტზე შექმნილია Bloomberg-ის ფინანსური ბაზრების ლაბორატორია, რომელსაც იყენებენ იელის, ჰარვარდის, ოქსფორდის, კემბრიჯის უნივერსიტეტები და ლონდონის ბიზნეს სკოლა.

ოქტომბრიდან სალექციო კურსი დავიწყეთ ფსიქოლოგთა სკოლაში, სადაც მონაწილეობას იღებენ საჯარო და კერძო სკოლის VII-XII კლასის მოსწავლეები.

როგორც იცით, თსუ-ის თანამშრომლობას სკოლებთან მხარს უჭერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ასევე ვთანამშრომლობთ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან. ახალ პროექტში, რომელიც გულისხმობს სამართლის ლექციებს სკოლებში, „თსუ საბავშვო უნივერსიტეტი“ გენერალური პროკურატურის პროექტ „საზოგადოებრივ პროკურატურასთან“ თანამშრომლობს და მოსწავლეებს სთავაზობს ერთობლივ სალექციო კურსს — „სამართლის საფუძვლები მოსწავლეებისათვის“.

„თსუ საბავშვო უნივერსიტეტმა“ აბიტურიენტებს საინტერესო პროექტი: „პროფორიენტაცია“ შესთავაზა, რომელიც ახალგაზრდას არჩეულ პროფესიაზე ინფორმაციას მიაწვდის; საუნივერსიტეტო ცხოვრებას, შესაძლებლობებს, გაცვლით პროგრამებს გააცნობს და მომავალში გააზრებული ნაბიჯისათვის მოამზადებს.

— ორიოდე სიტყვით სამომავლო გეგმებზეც გვესაუბრეთ...

— როგორც მოგეხსენებათ, უნივერსიტეტი 2018 წელს დაარსებიდან 100 წლის იუბილეს აღნიშნავს. ამ თარიღთან დაკავშირებით, „თსუ საბავშვო უნივერსიტეტი“ გთავაზობთ მონაწილეობა მიიღოთ ახალ პროექტში „დღე თსუ-ში“, რაც გულისხმობს ექსკურსიებს პირველ კორპუსში, ასევე მუზეუმების, პლანეტარიუმის და ლაბორატორიების დათვალიერებას.

სკოლის მოსწავლეებს შევთავაზეთ მონაწილეობა მიიღონ ნიკო ნიკოლაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ესეების კონკურსში „ნიკო ნიკოლაძე, ეროვნული/ევროპული ღირებულებები“. რადგან შემოსული საკონკურსო ესეების აკადემიური დონე საკმაოდ დაბალი იყო, ამიტომ, ჩვენ, ესეების კონკურსის ინიციატორებმა, გადავწყვიტეთ — სამუშაო შეხვედრაზე მოგვეწვია კონკურსში მონაწილე მოსწავლეები, სადაც უმრავლესობის მიერ დაშვებულ ტიპიურ შეცდომა-ხარვეზებს გავარჩევდით, შემდეგ კი მათ აკადემიური ესეს დაწერის მოთხოვნებსა და წესებს გავაცნობდით. სამუშაო შეხვედრები ჩავატარეთ თბილისში (21 ნოემბერი) და ფოთში (22 ნოემბერი). ნიკო ნიკოლაძისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და კონფერენციები გადავიტანეთ 2018 წლისათვის, ვინაიდან ამ წელს მისი დაბადებიდან 175 სრულდება. იმედია, მოსწავლეებთან ჩვენი კონსულტაციებისა და პრეზენტაციების შემდეგ საკონკურსო ნაშრომები კომპეტენტური ჟიურის მოწონებას დაიმსახურებს.

„თსუ საბავშვო უნივერსიტეტი“ წარმოგიდგენთ პროექტს, რომლის მიზანია ხელი შევუწყოთ სკოლებში სტიქიური თუ სოციალური მასშტაბური პროცესების შემსწავლელ ახალგაზრდა მკვლევართა კლუბების („ამკლ“, Junior Researchers Club — JRC), ჩამოყალიბებას, ახალგაზრდებში კვლევის, მეცნიერებისადმი ინტერესის გაღვივებას, ცნობიერების ამაღლებას, პირადი პასუხისმგებლობის, ინიციატივის, გუნდური მუშაობის ჩვევების ჩამოყალიბებას.

ახალგაზრდა მკვლევართა კლუბის მიზნები და ამოცანები იქნება საფრთხის შემცველი პროცესების პროფილაქტიკის, მართვის და მათგან თავდაცვის მეთოდების შესახებ არსებული ცოდნის საზოგადოებაში გავრცელება, აგრეთვე, შეძლებისდაგვარად, მარტივი დაკვირვებითი და კვლევითი მუშაობის ჩატარება.

გვინდა, რომ მოსწავლეებს საბავშვო უნივერსიტეტის ბაზაზე ისეთი პროგრამები შევთავაზოთ, რომელიც ორიენტირებული იქნება საერთო განათლების თვალსაწიერის გაფართოებაზე. დღეს სკოლებში ისწავლება ახალი საგანი „სამოქალაქო განათლება“, რომელიც ეროვნული გამოცდების ნუსხაში შეიტანეს. რადგან საგანი ახალია, ის დახვეწასა და შემდგომ დამუშავებას საჭიროებს. მოსწავლეებს ამ საგანში უფასო საკონსულტაციო ლექციებს ვთავაზობთ, რათა საგანი უკეთ გასაგები და აღქმადი გახდეს. ეს არის „თსუ საბავშვო უნივერსიტეტისა“ და აბიტურიენტთა მომზადების სამსახურის ერთობლივი პროექტი.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ სკოლის მოსწავლეები ასაკობრივ კატეგორიებად დავყავით და ღონისძიებებიც ასაკის მიხედვით შევურჩიეთ. ასე რომ, „თსუ საბავშვო უნივერსიტეტის“ კარი ღიაა როგორც დამამთავრებელი, ისე დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის.

„პროფესიონალიზმი მოაქვს შრომასა და გამოცდილებას“

შერთხია ბეროშვილი

ბზა ვიწრო დერეფანში, კიბიდან — 105-ე აუდიტორიამდე, დიდხანს გაგრძელდა... მარი წერეთელს სტუდენტები აჩერებდნენ, ზოგი საგნის შესახებ ეკითხებოდა, ზოგი თავის პრობლემებზე ესაუბრებოდა, ზოგიც, უბრალოდ, მოიკითხავდა... ისიც ყველას გულდასმით უსმენდა და პასუხობდა... არც ერთხელ არ უთქვამს, რომ ჩქარობდა და ჟურნალისტი ელოდა ინტერვიუზე... პასუხი კითხვაზე — თუ რას ფიქრობენ სტუდენტები მასზე, როგორც ლექტორსა და პიროვნებაზე, ამ დეტალით მივიღე, ამიტომაც, ინტერვიუს ეს ნაწილი გამოვტოვე....

„დროის პარალელები“

შეუძლებელია, ერთ ინტერვიუში რამე არ გამოგრჩეს, მით უფრო, თუ რესპონდენტი მოკრძალებულად საუბრობს თავის განვლილ ცხოვრებასა და მიღწევებზე. სოციალურ ქსელშიც „დავმეგობრდით“, სადაც ჩემი ყურადღება მისმა ერთმა სტატუსმა მიიპყრო: „ათეული წლების წინ, სრულიად ახალგაზრდა ჟურნალისტს, საქართველოს რადიოში მუშაობა მომიწონეს, წამახალისეს და დიდი ფერმწერის ალბომით დამაჯილდოვეს. ალბომის შიდა გვერდს ამშვენებს პიროვნებათა ავტოგრაფები, რომლებიც დროს აღნიშნავს და, თავისთავად, ღირებულია. მაშინ მხატვართა ალბომებიც ძნელად იშოვებოდა. საჩუქარს დღემდე სასოებით ვინახავ...“ ამ სტატუსის გარდა, ისიც გავიგე, რომ უყვარს პოეზია, მოგზაურობა, მეგობრებთან ურთიერთობა. ახარებს წარმატება თავისი სტუდენტებისა, რომელთა მიღწევებსაც თავის გვერდზე ყოველთვის „აზიარებს“. ადვილი მისახვედრია, რომ ამ ალბომის გარდა, მარი წერეთელმა, როგორც ჟურნალისტმა და პედაგოგმა, მრავალჯერ მიიღო მთავარი „საჩუქარი“ თავისი მსმენელისგან თუ სტუდენტებისგან — მადლიერება და სიყვარული, რომელიც მან თავისი კარიერის დაწყებიდან დღემდე თავდადებული შრომის ფასად მოიპოვა.

დროის ფაქტორზე თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი მარი წერეთელი ხშირად საუბრობს, რადგან წარსულში აქტიურ ჟურნალისტიკაში ჩართულმა და დღეს უკვე გამოცდილმა პედაგოგმა კარგად იცის, რომ „დრო ჟურნალისტიკისათვის მთავარი განმსაზღვრელი კატეგორიაა“. წელს გამოცემულ მის ბოლო ნაშრომსაც — „დროის პარალელები“ — ძიებანი XIX, XX საუკუნეების ჟურნალისტიკაში — ჰქვია და მასში მკაფიოდ იკვეთება ავტორის ხედვა, თუ რა მნიშვნელობა აქვს დროსა და სივრცეს ჟურნალისტიკისთვის, რომელიც სარკისებური ეფექტით ასახავს ეპოქის მაჯისცემას. წიგნში საუბარია იმ ღირებულებებზე, რომლებსაც ქართული კლასიკური ჟურნალისტიკა ამკვიდრებდა, ასევე, იმაზეც, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება გლობალიზაციის პირობებში ქართული მედიისთვის კლასიკური გამოცდილების გაზიარებას კულტურული ინტეგრაციის თვალსაზრისით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

ჟურნალისტიკა — განსხვავებული პროფესია

ამ და სხვა კითხვებზე პასუხის ძიება მარი წერეთელმა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც, როგორც იტყვიან, „დიდ ჟურნალისტიკაში შედგა ფეხი“. 1978 წელს ახალკურსდამთავრებული ჟურნალისტი, თავისივე პედაგოგების რეკომენდაციით, პრაქტიკაზე საქართველოს ტელევიზიაში აღმოჩნდა და სატელევიზიო გადაცემების მომზადებაში აქტიურად ჩაერთო. კითხვაზე, თუ რატომ დაინტერესდა ჟურნალისტიკით, ამბობს, რომ ეს პროფესია გააზრებულად აირჩია, რადგან გრძნობდა მის განსხვავებულობას, უყვარდა წერა და ისიც იცოდა, რომ არც მიზნის მიღწევა იქნებოდა იოლი: „ახალგაზრდობისას ჟურნალისტიკის მიმართ ერთგვარი რომანტიკული დამოკიდებულებაც მქონდა, მომწონდა ყოველივე ის, რასაც იდეაში გულისხმობს ეს პროფესია, მახსოვს, რომ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დინო რიზის ფილმმა „ჟურნალისტი რომიდან“, რომელშიც ცნობილი იტალიელი მსახიობი ალბერტო სორდი განასახიერებს პრინციპებისა და სამართლიანობისათვის მებრძოლ ჟურნალისტს. თავიდანვე მხიბლავდა მასალაზე მუშაობის ცოცხალი პროცესი და ადამიანებთან ურთიერთობა — ჩემთვის ეს ერთფეროვანი ყოველდღიურობიდან თავის დაღწევის საუკეთესო გზა იყო. ჩემს სტუდენტებს ახლაც ვეუბნები, რომ ჟურნალისტის პროფესიას, მეტწილად, ირჩევს ალბათ ის, ვისაც სხვა პროფესიების წარმოდგენისას მოწყენილობა ეუფლება და რაღაც განსხვავებულს ეძიებს. თუნდაც იმასაც თავისი ხიბლი აქვს, რომ ჟურნალისტი არანორმირებულ რეჟიმში ცხოვრობს — როდესაც სხვები ისვენებენ, სწორედ მაშინ იგი წარმოუდგენელი დატვირთვით მუშაობს. საზოგადოების ინფორმირება და უმნიშვნელოვანესი მოვლენების სწორად წარმოჩენა უთუოდ საპატიო მისიაა...

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდი ჩემთვის საუკეთესო იყო. მადლიერებით ვიხსენებ ჩემს პედაგოგებს, განსაკუთრებით ბატონ ნოდარ ტაბიძეს, რომელიც ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, რომ სტანდარტული აზროვნებისა და საბჭოთა კლიშეებისგან დაგვეღწია თავი და მუდამ გვაზიარებდა ჟურნალისტისათვის მთავარ ღირებულებებს. შემდგომ, ჟურნალისტიკაში მუშაობისას, ცხადია, ვცდლობდი — მეც ამ პრინციპებით მეხელმძღვანელა“, — აღნიშნავს მარი წერეთელი.

მოარულ ფრაზას, რომ „ყოველი ეპოქა საკუთარ ჟურნალისტიკას ქმნის“, პროფესორი ასე განმარტავს: „ეს ნიშნავს იმას, რომ ჟურნალისტიკაში განმსაზღვრელია დროის ფაქტორი, ამიტომაც, ჟურნალისტისათვის დროისა და სიახლის შეგრძნება უმნიშვნელოვანესია, თუკი მას სურს მუდმივად თანამედროვე მედიასივრცეში დარჩენა და დამკვიდრება“. როგორც აღნიშნავს, ჟურნალისტიკა ყველაზე უკეთ პრაქტიკული მუშაობით ისწავლება და მისთვისაც ასე მოხდა, როცა, 1978-1992 წლებში ტელე-რადიო დეპარტამენტში მისვლის პირველი დღეებიდან, მუშაობა დაიწყო რადიოს ლიტერატურულ-მხატვრულ გადაცემათა რედაქციის რედაქტორად, პასუხისმგებელ მდივნად, ასევე, გადაცემათა ავტორად და წამყვანად.

„ჩემთვის ეს იყო მართლაც მნიშვნელოვანი და საინტერესო პერიოდი. უთუოდ გამიმართლა, რომ მოვხვდი ამ დიდი ტრადიციებითა და კარგი ჟურნალისტებით გამორჩეულ რედაქციაში. კონკრეტული სფეროც — კულტურა, ლიტერატურა და ხელოვნება პროფესიული და ინტელექტუალური ზრდის, სპეციალიზაციის დიდ შესაძლებლობას იძლეოდა. მიუხედავად შესუსტებული, თუმც მაინც არსებული საბჭოთა იდეოლოგიის გავლენისა და წნეხისა, ვეძებდით ალტერნატიულ გზებს, ვამზადებდით ახალ გადაცემებს, რათა ლიტერატურისა და, ზოგადად, ხელოვნების მეშვეობით შეგვექმნა ერთგვარი თავისუფალი სივრცე, რომლის საშუალებითაც შევძლებდით მსმენელამდე სათქმელის მიტანას. მოგეხსენებათ, ეს „ენთუზიაზმის ეპოქა“ იყო, ვეძებდით სიახლეებს, ხშირად გავდიოდით რედაქციიდან, ვხვდებოდით საინტერესო ადამიანებს. თავადვე ვიყავით რედაქტორებიც და გადაცემების წამყვანებიც. ბედნიერება იყო ისიც, რომ უშუალო და მუდმივი ურთიერთობები გვქონდა ქართველ მწერლებთან, ლიტერატორებთან, რეჟისორებთან, მსახიობებთან. მახსოვს, რომ ჩემი პირველი გადაცემა პოეტ მორის ფოცხიშვილს ეძღვნებოდა. ძნელია, ჩამოვთვალო წლების განმავლობაში მომზადებული გადაცემები, მაგრამ ახალგაზრდა ჟურნალისტისათვის უთუოდ რთული დავალება იყო ჭაბუა ამირეჯიბის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ გადაცემაზე მუშაობა, რომლისთვისაც, როგორც მახსოვს, ერთი თვის განმავლობაში ვემზადებოდი, ვიდრე, მწერალს ინტერვიუსათვის შევხვდებოდი. ეს გადაცემა დაცულია „იშვიათ ჩანაწერთა ფონდში“, სცენარი კი დღემდე მაქვს შენახული. გადაცემათა პარალელურად ჩანაწერები მზადდებოდა ე.წ. ოქროს ფონდისათვის. პირადად ჩამიწერია ქართული მწერლობის კლასიკოსები: ოთარ ჭილაძე, მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლებანიძე, ანა კალანდაძე (სხვათა შორის, ქალბატონ ანას დიდად არ უყვარდა მიკროფონთან საუბარი. ამიტომ, ჯერ ლექსების ჩაწერაზე დავიყოლიებდი ხოლმე, შემდეგ კი ვსაუბრობდით და, ბოლოს, როცა კმაყოფილი რჩებოდა, ინტერვიუს ეთერში გაშვებაზეც მთანხმდებოდა), ბესიკ ხარანაული, რეჟისორები თენგიზ აბულაძე, ელდარ და გიორგი შენგელაიები, რეზო ესაძე და მრავალი სხვა. ამ რედაქციაში ჟურნალისტის საქმიანობა მრავალმხრივი იყო. გარდა იმისა, რომ ვაშუქებდით ლიტერატურისა და ხელოვნების სიახლეებს, წარმოვაჩენდით არაერთ ხელოვანს. მაგალითად, ჩემი საავტორო პორტრეტები მიეძღვნა ლადო გუდიაშვილს, ლევან გოთუას, რაჟდენ გვეტაძეს, ტელეგადაცემა — გიორგი შატბერაშვილს და სხვ. გარდა ამისა, ვიწვევდით ახალგაზრდა ავტორებს, ვაწყობდით ახალი ნაწარმოებებისა და ახალი თარგმანების რადიო პრეზენტაციებს. არც პატარ-პატარა ექსპერიმენტებს ვერიდებოდით, სხვა მნიშვნელოვან თემებსაც ვაშუქებდით და, შეძლებისდაგვარად, ვცდილობდით „ჩარჩოების“ გარღვევას.

მარი წერეთელი

უკვე გამოცდილი ჟურნალისტისთვის 80-90-იანი წლები განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა. „ქვეყანაში „გარდაქმნის“ სახელდებით მომხდარი პოლიტიკური ძვრები და პერიპეტიები გადაცემებშიც აისახა და დადგა „ნამდვილი ჟურნალისტიკის“ ხანა. რედაქციას შეემატნენ ახალგაზრდა ჟურნალისტები, რომლებთან ერთადაც თვისებრივად ახალი პერსპექტივა გაჩნდა ჩვენთვის“, — იხსენებს მარი წერეთელი.

„ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი გადაცემა იყო დიალოგი ბ-ნ აკაკი ბაქრაძესთან, რომელშიც, შეიძლება ითქვას, რომ პირველად გადაფასდა ცალკეული ღირებულებები. ვრცელ დიალოგში პირველად შევთავაზეთ მსმენელს ახალი ხედვები, რასაც მანამდე აკაკი ბაქრაძე თავისი ცნობილი ლექციებითა და წიგნებით მუდმივად აკეთებდა, მაგრამ ახლა უკვე მასობრივი მსმენელისთვის საუბარი შეეხო მხატვრული ნაწარმოების წაკითხვის კვაზიმეთოდს — ე.წ. სოცრეალიზმს, განათლების თემას, იმდროისათის უეჭველ სიახლეს — კომპიუტერიზაციის აუცილებლობას და მრავალ სხვა თემას. აქვე დავძენ, რომ ეს დიალოგი, „ცისკრის“ მაშინდელი რედაქტორის, ბ-ნ ჯანსუღ ღვინჯილიას თხოვნით, ჟურნალშიც დაიბეჭდა და ასე დაიწყო ჩვენთვის ძალზე აქტიური პერიოდი. მოგვიანებით, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებების კვალდაკვალ, ჩვენი ინიციატივით შევქმენით პროგრამა — „დროება“, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა“, — ამბობს მარი წერეთელი და გვიყვება: „ეს იყო სრულიად ახალი ეტაპი ჩემს საქმიანობაში. არ შეგვეძლო, არ აგვესახა ყველაფერი ის, რაც ხდებოდა ე.წ. საჯაროობის პერიოდში და მიზანს დიდი ძალისხმევითა და ბრძოლით ვაღწევდით. ასევე, ვცდილობდით ქართულ კულტურულ სივრცეში „დაგვებრუნებინა“ აქამდე აკრძალული და მიჩქმალული მწერლები თუ მოღვაწეები, მათ შორის, გრიგოლ რობაქიძე (რომლის ჩანაწერიც „დროების“ პირველივე გამოშვებაში გადავეცით), მიხაკო წერეთელი და ქართული ემიგრაციის სხვა ცნობილი მოღვაწეები. „დროება“ მოვლენების ეპიცენტრში იმყოფებოდა. ეთერს ვუთმობდით ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებს. პირველად ჩაიწერა ზვიად გამსახურდიას ლექსები, მის მიერ თსუ-ში წაკითხული ლექცია და მასთან ინტერვიუ. ასევე, აქტიურად წარმოვაჩენდით 9 აპრილის წინარე მოვლენებს, სასაუბროდ ვიწვევდით იმ ადამიანებს, ვისი აზრიც საინტერესო იყო საზოგადოებისთვის და ვცდილობდით პრობლემების გაანალიზებას. ჟურნალისტისათვის უსაზღვრო ენერგიას იძლეოდა შექმნილი ვითარება და პროფესიის მიმართაც ბევრად აზარტული დამოკიდებულება გაჩნდა. ცხადია, არსებული პოლიტიკური რეალობა საფრთხეების შემცველიც იყო, რადგან ჯერ კიდევ საბჭოთა სინამდვილეში გვიწევდა პროფესიული საქმიანობა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გვაძლიერებდა ადამიანების ჩართულობა მიმდინარე პროცესებში, ჟურნალისტიკის მიმართ მათი ინტერესის ზრდაც. ზოგადად, რომ შევაჯამოთ, ამ პერიოდის ჟურნალისტიკისთვის დამახასიათებელია ახალი ნარატივები, რაც, უწინარეს ყოვლისა, ეროვნული დამოუკიდებლობისა და ანტიკომუნისტური დისკურსით გამოიხატა. ყოველივე ეს გახლდათ ე.წ. „გლასნოსტის“ ჟურნალისტიკის დროის ნიშანი. აქვე უნდა დავძინო, რომ „დროება“ არასდროს იყო ვიწრო პოლიტიკური ინტერესების გამომხატველი გადაცემა. ის უფრო იდეურ ღირებულებებზე იყო ორიენტირებული და მაქსიმალურად ასახავდა

გვ. 13

მარი წერეთელი

დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჟურნალისტიკის სპეციალობით. 1978-1992 წლებში მუშაობდა საქართველოს ტელე-რადიო დეპარტამენტში რადიოს ლიტერატურულ-მხატვრულ გადაცემათა რედაქტორად, პასუხისმგებელ მდივნად. იყო გადაცემათა ავტორი და წამყვანი. 1992-1993 წლებში მუშაობდა გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის სწავლულ მდივნად. 1995-2006 წლებში შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელია. თსუ-ში ლექციებს კითხულობს 1996 წლიდან. ამჟამად თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის“ ასოცირებული პროფესორია. არის 1990 წლის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის პრემიის ლაურეატი. გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი ნაშრომი. სამეცნიერო კვლევის ინტერესების სფეროა: XIX-XX საუკუნეების ქართული ჟურნალისტიკა, მედიატექსტის ინტერპრეტაცია, ჟურნალისტიკის კომპარატივისტული კვლევა, ევროპეიზმი და ქართული ჟურნალისტიკა.

„პროფესიონალიზმი მოაქვს ბრომასა და გამოცდილებას“

მე-12 გვ-დან

იმჟამინდელ საზოგადოებრივ პროცესებს. ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი იყო, რომ 1990 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობისა და, ასევე, პირველი საპრეზიდენტო არჩევნების დღეს, „დროება“ წლის საუკეთესო გადაცემად გამოცხადდა და ეს ამბავი ტელევიზიით შევიტყეთ“, — აცხადებს მარი წერეთელი.

სამეცნიერო-კვლევითი ინტერესები

პრაქტიკული ჟურნალისტიკის პარალელურად, მარი წერეთელს სამეცნიერო საქმიანობა არასდროს მიუტოვებია. მან 1985 წელს დაიცვა დისერტაცია შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტში. მისი საკვლევი თემა იყო თვალსაჩინო პუბლიცისტის, ჟურნალისტისა და მთარგმნელის ნიკო ავალიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა.

1993 წელს მარი წერეთელმა თსუ-ის ახალციხის ფილიალში დაიწყო პედაგოგიური საქმიანობა. „მიუხედავად რთული დროისა, იქ არსებული მძიმე პირობებისა და ზამთრის სუსხიანი კლიმატისა, დიდი სიამოვნებით ვიხსენებ იმ წლებს. ხანდახან, ახალციხისკენ მიმავალ გზას თსუ-ის II კორპუსის ეზოდან მხოლოდ ჩვენი პატარა ავტობუსი შეუყვებოდა ხოლმე და, წარმოიდგინეთ, რომ თითქმის მთელ გზაზე არ მოძრაობდა არანაირი ტრანსპორტი. მე და ჩემი მეგობრები დიდი ენთუზიაზმით მოვეკიდეთ ამ საქმეს, რადგან მიგვაჩნდა, რომ მესხეთში უნივერსიტეტის არსებობა უმნიშვნელოვანესი იყო. ხუთი წელი ვხელმძღვანელობდი იქ ჟურნალისტიკის მიმართულებას, კვირაში ორი დღე დიდი დატვირთვით ვკითხულობდი ლექციას, ხშირად გაყინულ აუდიტორიებშიც, მაგრამ ეს რეგიონი უნივერსიტეტმა მართლაც დიდად გამოაცოცხლა. ახალციხეში სტუდენტები სამცხე-ჯავახეთიდან, ქართლიდან და დასავლეთ საქართველოდან ჩამოდიოდნენ. სწავლობდნენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებიც და ძალიან საინტერესო იყო მათთან მუშაობა“, — იხსენებს მარი წერეთელი.

ახალციხის უნივერსიტეტში ხუთწლიანი პედაგოგიური საქმიანობის შემდეგ, 1996 წელს, ნოდარ ტაბიძის მოწვევით, უკვე გამოცდილი პედაგოგი საქმიანობას აგრძელებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე, სადაც დღემდე მუშაობს და აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა სამეცნიერო პროექტში.

„დღეს აქტუალურია საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მდიდარი და მრავალმხრივი ჟურნალისტიკის შესწავლა. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის კვლევის გარკვეული გამოცდილება გვაქვს 2015 წლის თსუ-ის სამეცნიერო-კვლევითი პროექტიდან — „1918-1921 წლების პლურალისტური მედიის სტრატეგიები“. კვლევის მოტივაციას აძლიერებს ის მზარდი ინტერესი, რომელსაც ქართული და უცხოური სამეცნიერო წრეები იჩენენ ამ პერიოდის მიმართ, რომლის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია საქართველოს პირველი რესპუბლიკის ქართული პლურალისტური პრესა. ამ ინტერესის დადასტურებაა ის ფაქტი, რომ ამერიკულმა საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებულმა ჟურნალმა („International Relations and Diplomacy“), მისივე ინიციატივით, 2016 წელს ჩემი და მანანა შამილიშვილის ავტორობით გამოაქვეყნა კვლევის შედეგების ერთი მონაკვეთი, — „ლიბერალურ ღირებულებათა რეფლექსია 1918-1921 წლების პარტიულ პრესაში“. განზრახული გვაქვს, ასევე მაღალრეიტინგულ საერთაშორისო რეფერირებულ გამოცემაში დავბეჭდოთ კვლევის შემდეგი მონაკვეთი — „საქართველოს რეგიონული კონფლიქტების გენეზისის გააზრება 1918-1921 წლების პარტიული პრესის რაკურსში“.

აღსანიშნავია ისიც, რომ მეცნიერი, 2017 წელს, მკვლევრის სტატუსით მონაწილეობს შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდში ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის მოსაპოვებლად წარდგენილ პროექტში „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მედიადისკურსის პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და გენდერული ასპექტები (ხელმძღვანელი მანანა შამილიშვილი). დაგეგმილია, რომ მკვლევართა თანაავტორობით მომზადდეს მონოგრაფია — „1918-1921 წლების პლურალისტური მედიის სტრატეგიები“.

მეცნიერი ჩართულია, ასევე, თსუ-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის — „1918-1921 წლების ენციკლოპედიური ლექსიკონის“ მომზადებაში (ხელმძღვანელი დ. შველიძე), რომელიც საქართველოს პირველი რესპუბლიკისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების საუკუნოვან იუბილეს მიეძღვნება: „უნდა აღინიშნოს, რომ, პრაქტიკულად, შეუსწავლელია საენციკლოპედიო მასალის ჟურნალისტური ნაწილი — 1918-1921 წლების პრესა. შერჩეული 52 პერიოდული გამოცემიდან მოვიძიე და შევისწავლე 26 ჟურნალი და გაზეთი, რომელთა შესახებაც დავწერე საენციკლოპედიო სტატიები. დასახელებულ პერიოდულ გამოცემებზე მუშაობა ამით არ შემოიფარგლება — განზრახული გვაქვს, რომ მოკვლეული და დამუშავებული მასალა სხვადასხვა ასპექტით აისახოს თანაავტორობით მომზადებულ მონოგრაფიაში — „1918-1921 წლების პერიოდული გამოცემები“, — ამბობს მარი წერეთელი.

„ჩემთვის დიდი პატივია მუშაობა ილია ჭავჭავაძის პერსონალურ ენციკლოპედიაზე, რომლის შედგენაში 2007 წლიდან ჩავერთე ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიმართულებით. თუ გავითვალისწინებთ, რაოდენ მნიშვნელოვანია ასეთი ენციკლოპედიები მთელ მსოფლიოში (გავიხსენოთ ჰაინეს, გოეთეს, შექსპირის, ლერმონტოვისა და სხვა ავტორთა ენციკლოპედიები), ცხადი გახდება ამ გამოცემის საჭიროება. აღსანიშნავია, რომ ეს არ არის მხოლოდ ერთი პიროვნების — ილია ჭავჭავაძის შემოქმედების და ღვაწლის ამსახველი ნაშრომი, არამედ იგი მოიცავს მრავალმხრივ მნიშვნელოვან ეპოქას — პერიოდს 1837 წლიდან 1907 წლამდე. მოსაძიებელი, გამოსაკვლევი, შესასწავლი იყო ამ პერიოდის ბევრი პერსონა, პერიოდული გამოცემა, ტექსტები და სხვ. არსებითად, უშუალოდ პირველწყაროებიდან დადგინდა დიდძალი მონაცემი, ვინაიდან სამეცნიერო-საცნობარო ლიტერატურა, მათ შორის, „დიდი საბჭოთა ენციკლოპედია“, მეტწილად, იდეოლოგიზირებულია და საჭიროებს გადაფასებას. 2010 წელს დაიბეჭდა პროექტის პირველი წიგნი — „სიტყვანი“. 2011 წლიდან ვმუშაობთ პროექტით გათვალისწინებულ მეორე წიგნზე — „ილია ჭავჭავაძის ენციკლოპედიური ლექსიკონი“, რომელიც მალე დასრულდება და მიეძღვნება მწერლის დაბადების 180 წლისთავს და გამოიცემა 2017 წელს“.

„ერთ-ერთი საინტერესო კვლევითი მიმართულებაა საბჭოთა სივრციდან განდევნილი ემიგრანტული ჟურნალისტიკის კვლევა. ამ მიზნით შევისწავლე საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი მესაძირკვლისა და არა ერთი პერიოდული გამოცემის რედაქტორის, ცნობილი პუბლიცისტის სამსონ ფირცხალავას რედაქტორობით პარიზში გამოცემული ემიგრანტული ჟურნალი „სახალხო საქმე“, რომლის კვლევის შედეგებიც აისახა სტატიაში „საბჭოეთი „სახალხო საქმის“ პოლიტიკური პუბლიცისტიკის ფოკუსში“. სტატია 2016 წელს დაიბეჭდა Cambridge Scholars Publishing-ის მიერ გამოცემულ კრებულში „ლიტერატურა დევნილობაში: ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება). მომავალში განზრახული მაქვს კვლავაც ვიკვლიო, სამწუხაროდ, ჯერაც რეპრესირებულის სტატუსის მქონე მოღვაწის, სამსონ ფირცხალავას შეუსწავლელი ემიგრანტული ჟურნალისტური მემკვიდრეობა, რომელიც, საბოლოოდ, აისახება ამ თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის ღვაწლისა და ჟურნალისტური თუ ლიტერატურული მემკვიდრეობის ამსახველ მონოგრაფიაში.

ზოგადად, ჩემთვის მნიშვნელოვანი და აქტუალურია ისეთ კვლევით მიმართულებაზე მუშაობა, როგორიც არის „ევროპული ღირებულებები და ქართული ჟურნალისტიკა“, რომლის მიზანია, შევისწავლოთ — თუ როგორ ვითარდებოდა ქართული ჟურნალისტიკა ბუნებრივი გზით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე; როგორ გამოიხატა ქართული საინფორმაციო სივრცის ევროპული ვექტორი და დომინანტური ღირებულებები იდეურ-მსოფლმხედველობრივად პოლარიზებულ და წინააღმდეგობრივ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ კულტურულ გარემოში; როგორ აისახებოდა ევროპეიზმი ქართული პრესის საუკეთესო ნიმუშებში თუ თვალსაჩინო ავტორთა ნააზრევში. მომავალშიც ვაპირებთ, სხვადასხვა ასპექტით (პოლიტიკური, სოციალური, კულტურული) შევისწავლოთ ეს საკითხი და, პოსტსაბჭოთა პერიოდის ჩათვლით, გავაფართოოთ საკვლევი არეალი.

საკვლევ პრობლემათაგან ჩვენთვის ასევე პრიორიტეტულია ჟურნალისტური მედიატექსტის შესწავლა ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კონტექსტში. გვაქვს ტოტალიტარული პერიოდის მედიატექსტების კვლევის გამოცდილება, კერძოდ, ჩვენი სტატია „აკაკი ბაქარაძის პოლიტიკური კონცეფციის ორიენტირები“ დაიბეჭდა 2011 წელს Cambridge Scholars Publishing-ის მიერ გამოცემულ კრებულში „Totalitarianism and Literary Discourse. 20th Century Experience“. ამ თვალსაზრისით, ჩვენთვის კვლავაც საინტერესოა როგორც ტოტალიტარიზმის, ასევე პოსტტოტალიტარული და თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქის კონტექსტუალური კვლევა, ისტორიულ-შედარებითი მეთოდით (კომპარატივიზმით), რაც, ჩვენი აზრით, შესაძლებელს ხდის, განვსაზღვროთ ქართული მედიატექსტების მიმართება მსოფლიოს პოლიტიკურ და სოციო-კულტურულ სივრცეში მიმდინარე მოვლენებთან.

ყოველგვარი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები, გარკვეულწილად, უნდა აისახოს სასწავლო სახელმძღვანელოებში. ჩვენთვის ერთ-ერთი ასეთი უახლოესი გამოწვევაა სახელმძღვანელო — „ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი“, როგორც თსუ-ის ონლაინ-სახელმძღვანელოების კონკურსის 2017 წლის გამარჯვებული პროექტისა, რომელიც მომზადდება თანამედროვე აპრობირებული მეთოდოლოგიით, თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების ერთგვარი შეჯერების პრინციპით. ჩემი და პროფესორ მანანა შამილიშვილის სახელმძღვანელო უახლოეს მომავალში დასრულდება“, — ამბობს მარი წერეთელი.

ჟურნალისტიკის თამაშის წესები

„ჩემთვის საუნივერსიტეტო-პედაგოგიური საქმიანობა, ერთგვარად, შემოქმედებითი პროცესი და ჟურნალისტური საქმიანობის გაგრძელებაც არის. საგანი — „ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი“ — პირველ კურსზე იკითხება და მას სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტები ისმენენ. ასევე, ბაკალავრიატში ვკითხულობ სალექციო კურსს „ანალიზისა და მოსაზრების წერა“ (რაც, პრაქტიკულად, „ანალიტიკური ჟურნალისტიკაა“) და მაგისტრატურაში — „ქართული მედიის კრიტიკულ ანალიზს“. ვცდილობ, სტუდენტებს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისად მივაწოდო დაგროვილი სამეცნიერო ცოდნა და გავუზიარო მათ როგორც ქართული ჟურნალისტიკის საუკეთესო ტრადიციები, ასევე, დასავლური და საერთაშორისო ჟურნალისტიკის საუკეთესო გამოცდილება. ჯერ კიდევ სერიოზული პრობლემაა შესაბამისი ხარისხიანი ლიტერატურა, მით უფრო ქართული, ორიგინალური სახელმძღვანელოები, რასაც უთუოდ წაახალისებს ჩვენს ფაკულტეტზე შემოღებული სახელმძღვანელოების კონკურსი.

რთულია სტუდენტთან მუშაობა. იგი, უწინარეს ყოვლისა, ინდივიდია, რომელიც ლექტორისგან ბევრს მოელის. სტუდენტთა ესოდენ დიდ ნაკადში, შესაძლოა, იოლად ვერც დაინახო მისი შესაძლებლობები, არადა, ჟურნალისტიკის სწავლების პროცესში ეს აუცილებელია. ამიტომაც, ვცდილობ (თუმც არ ვიცი, ყოველთვის გამომდის თუ არა), უფრო ახლოს გავიცნო ისინი და დავეხმარო მათ — მაქსიმალურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში.

ახალბედა ჟურნალისტის უმთავრესი მიზანი უნდა იყოს პროფესიონალად ქცევა. პროფესიონალიზმი კი მოაქვს გამოცდილებას, ჟურნალისტიკის საბაზისო და სავალდებულო წესებისა თუ დებულებების ცოდნას. ცოდნის დაუფლება იწყება სასწავლო პროცესში, ხოლო, დაოსტატების პროცესი შედარებით ხანგრძლივია. ყველა ახალგაზრდა, რომელიც ირჩევს ჟურნალისტიკას, უნდა აცნობიერებდეს, რომ საკმაოდ რთული და მნიშვნელოვანი პროფესია აირჩია. უთუოდ უნდა შეიცვალოს მასზე გაიოლებული წარმოდგენები, მხოლოდ ოდენ „მიკროფონის ტარებით“ რომ შემოიფარგლება. სტუდენტისგან გასააზრებელია, რომ მას მოეთხოვება წიგნიერება, ზოგადი საბაზისო განათლება, კონკრეტულ სფეროებში გარკვეულობა — ჩაღრმავება და კვალიფიციურად წარმოჩენა.

დიდ ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ აუცილებელია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა. ჩვენს საბაკალავრო პროგრამაში ბევრი რამ შეიცვალა სასიკეთოდ, მაგალითად, სავალდებულო გახდა პრაქტიკული კურსები, დაემატა ახალი საგნები, თუმც, რა თქმა უნდა, მუდმივად საჭიროა სალექციო კურსების მოდიფიკაცია, საჭიროა ჟურნალისტიკის თანამედროვე ამოცანებთან მუდმივი მისადაგება და პრაქტიკულ შედეგზე ორიენტირებული სწავლება. საზოგადოება ხშირად კრიტიკულია ჟურნალისტების მიმართ, ყოველთვის სასწავლო პროცესს ვერ დავაბრალებთ არსებულ ნაკლს, არანაკლებ მნიშვნელოვანია არსებობდეს ნორმალური მედია-გარემო, სადაც დასჭირდებათ ნიჭიერი ახალგაზრდა ჟურნალისტები და ასეთები არც თუ ცოტანი არიან. მთავარია, მოხვდნენ ისინი მედიაარხებზე, რათა შეძლონ საკუთარი უნარების რეალიზება. სამწუხაროდ, ამას ყოველთვის ვერ ახერხებენ, რადგან, დიდწილად, მედიაორგანიზაციებს საკუთარი კომერციული ინტერესები აქვთ, რასაც ხშირად ემსხვერპლება ხოლმე ჟურნალისტიკის ნამდვილი ამოცანები“, — აცხადებს მარი წერეთელი.

ამ და სხვა სერიოზული საკითხების გარდა, მარი წერეთელს შეუძლია სტუდენტებთან სხვა, უფრო სახალისო და საინტერესო თემებზეც ისაუბროს, მაგალითად, ფეხბურთსა და კალათბურთზე, რომელიც მას დიდ განტვირთვად მიაჩნია. „ძველი მელომანი“ მუსიკასა და ფილმებზეც სიამოვნებით გაგიზიარებთ თავის აზრს... ბოლო კითხვაზე კი, რა არის უმთავრესი ჟურნალისტისთვის, დაუფიქრებლად პასუხობს: პატიოსნება და პრინციპულობა, მხოლოდ და აქედან გამომდინარე მიიღწევა პროფესიონალიზმი“. დიდი განმარტება და მიხვედრილობა არ სჭირდება იმის გაგებას, რომ ეს მან თავისი მოღვაწეობის ყველა ეტაპზე საკუთარი მაგალითით დაადასტურა.

სტუდ-ფეიჯი
№22
გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ სტუდენტური ჩანართი

ერთი პიანინო, 44 სკამი და პრიზები

ერთი პიანინო, 44 სკამი და კონკურსებში მიღებული პრიზები „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური გუნდის“ მცირე საკუთრებაა. დიდი ხანი არ არის, რაც ამ გუნდმა პირველი კორპუსის სხვენში დაიდო ბინა და იმ დღიდან „დედა უნივერსიტეტს“ არ აკლია არც ქართული და არც უცხოური მუსიკა. ქართული ჰანგები მუდამ მიმზიდველად ჟღერს და იზიდავს ყველა იმ ადამიანს, ვისაც სიმღერა უყვარს. დატვირთული და დამღლელი დღის მიუხედავად, სტუდენტისთვის პრობლემას არ წარმოადგენს უნივერსიტეტის ბოლო სართულზე ასვლა. სხვენისკენ მიმავალი დაუსრულებელი ხვეული კიბეები თითქმის არასდროს აბნევს ადამიანს, იგი მუსიკას მიყვება... პატარა უფანჯრო ოთახი თეთრი კედლებით და შავი პიანინოთი სულაც არ ტოვებს სიცივის და სიცარიელის განცდას, პირიქით, შთაბეჭდილება გექმნება, რომ სახლთან მიახლოებულ ადგილას იმყოფები. ღიმილიანი სახეები, სიცილი და გემოვნებიანი მუსიკა დადებით აურას ქმნის. ამ ყველაფრის მთავარი მიზეზი გუნდის ხელმძღვანელი ლაშა მიროტაძეა. ახალგაზრდა მუსიკოსი, რომელიც ენერგიულად ემსახურება მუსიკალური სფეროს პოპულარიზაციას. იგი ჯერ კიდევ კონსერვატორიაში საგუნდო სადირიჟორო განყოფილებაზე სწავლობდა, როდესაც ჩამოაყალიბა „თსუ-ის გოგონათა გუნდი“. „დირიჟორი გუნდის გარეშე არ არსებობს, ანუ სანამ ჩავაბარებდი, იდეა უკვე არსებობდა, რომ მომავალში გუნდი უნდა მყოლოდა“, — ამბობს ჩვენთან საუბრისას **ლაშა მიროტაძე.**

გუნდის დაარსება დააჩქარა და ხელი შეუწყო 2014 წელს საქართველოს საგუნდო საზოგადოების ჩამოყალიბებამ. ამავე ორგანიზაციამ შექმნა „საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების ეროვნული კონკურსი“, რომელშიც მთელი საქართველოს ფოლკლორული ანსამბლები და აკადემიური გუნდები იღებენ მონაწილეობას. შეიძლება ითქვას, ამ კონკურსმა განმსაზღვრელი როლი ითამაშა „თსუ-ის სტუდენტური გუნდის“ შექმნაში, რადგან ლაშას სწორედ ამ დროს გაუჩნდა კონკურსში მონაწილეობის სურვილი. 2015 წელს 14 გოგონას შემადგენლობით პირველად გამოვიდნენ დიდ სცენაზე და აღარ გაჩერებულან, დღემდე მიიწევენ წინ. ამავე წელს ოქროს მედალი აიღეს საქართველოს საგუნდო საზოგადოების გამართულ კონკურსზე, რომელიც ყოველწლიურია. 2016 წლის დეკემბერში გუნდი შერეული გახდა — დაემატნენ ვაჟები და უფრო გამრავალფეროვნდა როგორც გარემო, აგრეთვე რეპერტუარი. 2017 წელს „საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების ეროვნულ კონკურსში“ პირველ ადგილზე გავიდნენ და ვერცხლის მედალი მოიპოვეს. ვოკალური გუნდი თსუ-ის რექტორმა და კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა დიპლომით დააჯილდოვა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში შეტანილი წვლილისათვის.

რაც შეეხება რეპერტუარს, ცდილობენ სხვადასხვა ჟანრის მუსიკა შეასრულონ. მღერიან როგორც ქართულ, ასევე უცხოურ საგუნდო ნაწარმოებებს, თუმცა, ძირითადად, აფრო-ამერიკულ სპირიჩუალსებს ანიჭებენ უპირატესობას. მათი რეპერტუარი მრავალფეროვანია: შეუსრულებიათ სხვადასხვა ნაწარმოები კეჭაყმაძის შემოქმედებიდან და აგრეთვე ევროპელი კლასიკოსების კომპოზიციები, კერძოდ ბრამსის „იავნანა“.

გუნდისთვის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო 24 სექტემბერს აზერბაიჯანის სახელმწიფო ფილარმონიაში უზეირ ჰაჯიბეილის სახელობის X საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში მონაწილეობა. ფესტივალზე აზერბაიჯანის სახელმწიფო კაპელასთან ერთად მონაწილეობდა მუსიკალური კოლექტივი თბილისიდან, რომლის შემადგენლობაშიც იყო „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური გუნდი“, ევგენი მიქელაძის სახელობის მუსიკალური სკოლის უფროსკლასელების გუნდი და თბილისის გოგონათა გუნდი.

კონცერტი გახსნა აზერბაიჯანის სახელმწიფო კაპელამ გულბაჯ ივანოვას ხელმძღვანელობით. შემდეგ ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ქართული გუნდები, რომლებმაც წარმოადგინეს ქართული და უცხოური ნაწარმოებები. ხალხურ სიმღერებთან ერთად, ფილარმონიაში ჟღერდა მოცარტის, კეჭაყმაძის და სხვათა შემოქმედება. ფესტივალის დასასრულს ერთად შესრულდა რევაზ ლაღიძის „თბილისო“ და უზეირ ჰაჯიბეილის ოპერა „ქოროღლუდან“ („Кероглу“) სიმღერა „ჩანლი ბელი“. დამსწრე საზოგადოება დიდი ოვაციებით შეხვდა ქართულ მუსიკალურ გუნდებს. მთელი საღამოს განმავლობაში მსმენელისგან ისმოდა „ბრავო“ და არ წყდებოდა ოვაციები.

უნივერსიტეტის გუნდის შემდეგი წარმატება ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე — „Fiestalonia Georgia 2017“ პირველი ადგილის მოპოვებაა. ფესტივალი თბილისის მერიის პატრონაჟითა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა. მთავარი მიზანი კულტურული კავშირების გამყარება, კონკურსის მონაწილეებს შორის ურთიერთობების დამყარება და რეპერტუარის გაზიარება იყო.

„რა თქმა უნდა, ყველა მომღერალი, დირიჟორი, მხატვარი და ზოგადად ხელოვნების სფეროს წარმომადგენელი ცდილობს, მიაღწიოს პროფესიონალიზმის რაღაც საფეხურს, რომელსაც დასასრული არ აქვს. ასეა ჩვენს შემთხვევაშიც, გვინდა დავიხვეწოთ, ვისწავლოთ და უფრო მეტი გავიგოთ. გუნდში სიმღერა არ არის მხოლოდ მუსიკალური მონაცემები და მღერა. ეს ძალიან დიდი ორგანიზმია, რომელიც ბევრი დეტალისგან და შრისგან შედგება. სასურველია, გავიზარდოთ რაოდენობრივად, რადგან, რაც უფრო დიდია გუნდი, მეტი შესაძლებლობაა რეპერტუარის არჩევის თვალსაზრისით. თუმცა კიდევ სხვა კრიტერიუმებშიც ჩანს დიდი გუნდის უპირატესობები. ჩვენი გუნდის თითოეულ წევრს ვუსურვებ წარმატებას“, — ამბობს ლაშა მიროტაძე.

„თსუ-ის სტუდენტური გუნდი“ თითქმის ყველა სფეროს, ფაკულტეტის თუ მიმართულების ახალგაზრდებს აერთიანებს. აქ მღერიან ჟურნალისტები, ბიოლოგები, ეკონომიკის და სამართლის სტუდენტები. ამ ადამიანებისთვის შემოქმედებითი განვითარების გარდა, ძალიან მნიშვნელოვანია პირადი ურთიერთობები. „თსუ-ის სტუდენტური გუნდის“ შექმნა ჩემთვის მნიშვნელოვანი მოვლენაა. გუნდის მეშვეობით ის ოცნება, რომელიც ბავშვობიდან მქონდა, ნელ-ნელა მიხდება. იყო სოლისტი, არის ძალიან სასიამოვნო, მაგრამ იყო გუნდის წევრი, ჩემთვის სხვა სამყაროში გადასვლას ნიშნავს. გუნდის წევრებს შორის ურთიერთობა, ემოციების გაზიარება, ერთი და იმავე საქმის სიყვარული და ინტერესი უკეთეს ადამიანს მხდის. რაც მთავარია, მავითარებს არა მარტო მუსიკის სფეროში, არამედ, როგორც პიროვნებას. მართალია, ძალიან რთულია გუნდის რეპეტიციები სწავლას და სამსახურს შეუთავსო, მაგრამ გუნდის გარეშე ვერც ერთ სფეროში ვერ ვიქნები პროდუქტიული“, — ამბობს გუნდის წევრი თეო თუთაშვილი.

გუნდის წევრი შეიძლება გახდეს ის ადამიანი, რომელიც სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, არ აქვს მნიშვნელობა გოგო იქნება თუ ვაჟი, მთავარია ჰქონდეს სმენა, სურვილი და მონდომება. ოფიციალური ქასთინგები არ ტარდება, მსურველის მისვლის შემთხვევაში, გუნდის ხელმძღვანელი სავარჯიშოების დახმარებით შეამოწმებს მის მუსიკალურ მონაცემებს. დაინტერესებული პირები გუნდის შესახებ ინფორმაციას უნივერსიტეტის კულტურის დეპარტამენტისგან იღებენ. მიუხედავად ამისა, საჭიროა უფრო მეტი აქტიურობა უნივერსიტეტის კორპუსებში ბანერების, პლაკატებისა და საინფორმაციო დაფების განთავსების კუთხით.

ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებმა უნდა იცოდნენ გუნდის არსებობის შესახებ. ადგილი, სადაც კულტურული ცხოვრება მაღლა დგას და ირგვლივ მუდამ მყუდრო გარემოა. დღესდღეობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი 40 ადამიანს ითვლის და ყოველდღე ახალ წევრს ელოდება, რომელსაც დიდი სიყვარულით დახვდება.

მარიკა გაჩეჩილაძე,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

გახსენება

უნივერსიტეტი - აკადემია - კლინიკა ფრიდონ თოდუა ამ სამკუთხედის ცენტრში იდგა

ნამში გაიქროლა ორმოცმა დღემ ფრიდონ თოდუას ინსტიტუტში — ქართული სამედიცინო აზროვნების კათედრალში, სადაც ის გამოეთხოვა წუთისოფელს: უკვე ჰქონდა, უკვე ჰქონდა გელათი, საყდრად ქვეყნის და საძვალედ თვისად.

ფრიდონ თოდუას სამყაროში დრო ფარდობითობის თეორიის კანონებით იმართება: ხვალ ენაცვლება არა დღეისას, არამედ გუშინისას და ის, რაც შესაძლებელია მოხდეს ხვალ, აღსრულებულია გუშინ. ამიტომაც თოდუაში ცხოვრება ჩვეულ მეტაფიზიკურ ტემპში გაგრძელდა. ამ ორმოცი დღის განმავლობაში ყველაფერი დარჩა ისე, როგორც მის შემოქმედს ჰქონდა დაწესებული — ე.ი. ყოველი დღე ახალი, ყოველი დღე მოულოდნელი. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ამ ორმოც დღეში დაიგეგმა და გაიმართა სამედიცინო ტექნოლოგიების მწარმოებელ გიგანტთან „TOSHIBA“-სთან ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია, სადაც გაჟღერდა ულტრაბგერითი სადიაგნოზო კვლევის განსაცვიფრებელი შედეგები, რომლის კვალდაკვალ ინსტიტუტი აღიჭურვა ხვალინდელი დღის უნიკალური დიაგნოზური დანადგარით, შეძენილია და მონტაჟის დამასრულებელ სტადიაზეა მსოფლიოსთვის ჯერ კიდევ უცნობი მოდელი პოზიტრონ-ემისიური ტომოგრაფისა.

თოდუას ინსტიტუტში, გასულ ორმოც დღეში, დრო ზებუნებრივად შეიკუმშა. საბრძმედი ღუმელივით ამუშავებენ თოდუას ინსტიტუტს ფრიდონის გორისანი გოგო-ბიჭები— ახლის ძიების ჟინით აღსავსე უმაღლესი კვალიფიკაციის დოქტორები და პროფესორები ისე, როგორც გზა დაულოცა მისმა დამაარსებელმა, რომელიც მუდმივად თეთრი ხალათითა და თეთრი სიბრძნით იყო შემოსილი.

ფრიდონ თოდუა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო რადიოლოგიისა და ენდოსკოპიის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. ჯერ კიდევ 1994 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამედიცინო განათლების აღდგენის მესვეურებსა და ინიციატორებს, უპირველეს ყოვლისა, ბატონი ფრიდონის და მისი ცენტრის (მაშინ ჯერ კიდევ ცენტრი იყო) თანადგომის იმედი ჰქონდათ. მედიცინის ფაკულტეტის ყველაზე „ცნობადი სახე“ საპატივცემულო პროფესორი იყო. მისი ინსტიტუტის კლინიკა შეუზღუდავად ჰქონდათ დათმობილი უნივერსიტეტის სტუდენტებს, დოქტორანტებს. თანაც, უნივერსიტეტთან ექსკლუზიური მემორანდუმის ხელმოწერის ინიციატორი თავად გახლდათ. არ

„აკადრა“ უნივერსიტეტს მასთან თხოვნით მისვლა. არაერთხელ გაუგზავნია დოქტორებიცა და რეზიდენტებიც უცხოეთში კონფერენციებზე თუ სასწავლო კურსებზე ისე, რომ მათი მგზავრობაც თავად დაუფინანსებია და იქ ცხოვრების სახსრებიც თავადვე გამოუძებნია. უნივერსიტეტი დღეს მაქსიმალურად უნდა დაუდგეს გვერდით მის მემკვიდრეებს და გზის გამგრძელებლებს, რათა შენარჩუნდეს ფრიდონ თოდუასეული სული და გარემო. კლინიკური მედიცინის ინსტიტუტი უნდა დარჩეს საუნივერსიტეტო კლინიკის მომხიბლავ ნიმუშად, თსუ-ის სტუდენტების, რეზიდენტებისა და დოქტორანტების აღზრდისა და პროფესიული დახელოვნების ცენტრად.

უხალათოდ იშვიათად ნახავდით. კლინიკური მედიცინის ინსტიტუტის ხელმძღვანელის კაბინეტში სტუმრების მიღების დროსაც კი თეთრ ხალათში იყო გამოწყობილი. თეთრი ხალათი თავის განუყრელ ატრიბუტად აქცია, ექიმობა კი — უმაღლეს ტიტულად (იმის მიუხედავად, რომ საქართველოს ისტორიაში ყველაზე მეტი საშინაო თუ საერთაშორისო ტიტულისა და წოდების მფლობელი გახლდათ). პაციენტთან ურთიერთობისას განიცდიდა ღვთიურ მეტამორფოზას — მასში ერთსხეულდებოდა ექიმი და გულშემატკივარი, უახლესი ტექნოლოგიებითა და სიტყვით ტოლფასად მკურნალი და შვების მომცემი.

ბატონი ფრიდონი ეტალონად გამოდგებოდა საქართველოში ახლად ფეხადგმული ბიზნესის ნებისმიერი წარმომადგენლისთვის. სამედიცინო სფეროში ყველა მსოფლიო სიახლის დანახვის იშვიათი ნიჭი ჰქონდა, ამასთანავე, ამ სიახლეთა გადმოტანის და დანერგვის შეუმცდარი აღღოც. მან საქართველოს ჯანდაცვაში პირველმა დაამკვიდრა მაშინ სრულიად უცნობი სიტყვები — „ლიზინგი“, „კრედიტი“, „კონსიგნაცია“. მის მიერ წარმოებული მოლაპარაკებები საქართველოში დასავლეთის ქვეყნებიდან და შეერთებული შტატებიდან აპარატურისა და ტექნოლოგიების შემოტანისათვის, ანდა უცხოეთში თავისი ახალგაზრდა კოლეგების დასახელოვნებლად გაგზავნისათვის — საქრესტომათიოდ გამოდგებოდა.

დიდი ორგანიზატორი იყო. მისი ინსტიტუტის თითოეულ განყოფილებას, თითოეულ კუთხეს ეტყობოდა მორუდუნე მენეჯერის ხელი; თითოეული თანამშრომელი გრძნობდა მკაცრი, მაგრამ სამართლიანი, ამასთანავე, თანადგომისათვის მუდმივად მზადმყოფი ხელმძღვანელის ყურადღებას. მისი კლინიკის შენობა სამუზეუმო განწყობას ქმნიდა გამოფენილი ასეულობით ნახატით (უმეტესობა მისთვის მიძღვნილ საავტორო ტილოს რომ წარმოადგენდა) და ვესტიბულში როიალზე შესრულებული ცოცხალი მუსიკით, ავადმყოფთა გვერდით გენიალურ მუსიკოსთა ყოფნის ილუზიას რომ ქმნიდა. წესრიგისა და სილამაზის ასეთი ჰარმონიის გამო, თანაც მისი შემოქმედის სახელის გათვალისწინებით, ზოგი კოლეგა კლინიკური მედიცინის ინსტიტუტს „მულღაზანზარს“ უწოდებდა, რუსთაველის ნურადინ ფრიდონის გამორჩეულ ქალაქ-კუნძულის სახელს, მეხსიერებიდან არასოდეს რომ არ წაეშლება „ვეფხისტყაოსნის“ მკითხველს.

ბატონი ფრიდონი შვიდი წლის განმავლობაში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი იყო, ხოლო 2012 წლიდან ხელმძღვანელობდა აკადემიის მედიცინის და ფიზიოლოგიის განყოფილებას. თანდაყოლილი მეცნიერული კვლევის ჟინი და აკადემიზმი „ხელს უშლიდა“ ბატონ ფრიდონს სრულად გაეზიარებინა მეცნიერებათა აკადემიის, როგორც ელიტარული სამეცნიერო საზოგადოების, მოდელი. მან თავისი ინსტიტუტი მაშინ გახადა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინტეგრირებული ნაწილი, როდესაც სხვა სამეცნიერო ინსტიტუტები გამოვიდნენ აკადემიის სისტემიდან. ამან საშუალება მისცა შეეკრა შესანიშნავი სამკუთხედი: უნივერსიტეტი — აკადემია — კლინიკა. და ამ სამკუთხედის ცენტრში თავად იდგა, როგორც ამ ურთიერთობების ახალ სიმაღლეზე გადაყვანის ინიციატორიცა და კოორდინატორიც.

ბატონი ფრიდონი ქველმოქმედი ბრძანდებოდა, ამ სიტყვის ყველაზე ღირსეული გააზრებით. არ არსებულა ისეთი, რეალურად შეჭირვებული, პაციენტი (არავითარი საშუალება რომ აღარ ჰქონდა აუცილებელი გამოკვლევა ან მკურნალობა დაეფინანსებინა), რომლის მდგომარეობაც ბატონ ფრიდონს გულთან არ მიეტანა და რაიმე საშველი არ გაეჩინა. არ არსებულა კოლეგა, რომელსაც მისთვის დახმარებისათვის ან რჩევისათვის მიემართა და ის გულისხმიერებით არ მოჰკიდებოდა მის პრობლემას. არათუ პიროვნებებს, არამედ მთელს ინსტიტუციებს ახსოვს მისი თანადგომა გაჭირვების პერიოდში (მაგალითად მარტო ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის ხელშეწყობაც კმარა). როცა შეაქებდი, უბრალოდ აგიხსნიდა, მე არაფერს ვაკეთებ განსაკუთრებულს, მხოლოდ დედის დანაბარებს ვასრულებო: ვისაც შეგიძლია, დაეხმარე, ხელი კი არავის არაფერში შეუშალოო.

პოლიტიკური ასპარეზიც უცხო არ იყო მისთვის. რამდენიმე მოწვევის პარლამენტის წევრი გახლდათ, 4 წლის განმავლობაში კი — პარლამენტის ვიცე-სპიკერი. ყველა მთავრობას სურდა და ეამაყებოდა, რომ საქვეყნოდ ცნობილი და პატივცემული პიროვნება თავის მხარდამჭერთა შორის ეხილა.

ჭაბუა ამირეჯიბის ერთ-ერთი გმირის შეგონებისა არ იყოს, ქვეყნის შიგნით თავისი ოჯახის დესპანი იყო, ტრადიციული, სიყვარულზე დაფუძნებული, სამშობლოს ბედზე მოფიქრალი ოჯახისა, ხოლო ქვეყნის გარეთ — საქართველოს უკეთეს საქმეთა და მოღვაწეთა (არა მხოლოდ მედიცინის, არამედ, საერთოდ, მეცნიერებებისა კულტურის დარგებში) მაცნე და პოპულარიზატორი.

40 დღე გავიდა მისი მოულოდნელად წასვლიდან. მოულოდნელად, რადგანაც მძიმე დაავადების მიუხედავად, არავის ეგონა, რომ ბატონი ფრიდონი, რომელიც ადვილად აგვარებდა სხვის პრობლემებს, საკუთარს ვერ გაუმკლავდებოდა.

წავიდა ჩვენგან ადამიანი, რომელიც თავის თავში ჰარმონიულად აერთიანებდა გამორჩეულ ექიმს და ბიზნესმენს, საუნივერსიტეტო პერსონას და პოლიტიკოსს, ორგანიზატორს და ქველმოქმედს, ოჯახის და ქვეყნის ღირსეულ შვილსა და დესპანს.... და ამ გასაოცარი, მრავალმხრივი გამორჩეულობის გამო, უნდა ითქვას, რომ დღეს საქართველოს სამედიცინო საზოგადოებას მისი ტოლი პიროვნება არ ჰყავდა.

მის უკანასკნელ გზაზე გაცილებისას თითქოს ხმიანდებოდა მურმან ლებანიძის სიტყვები, გალაქტიონ ტაბიძის დაკრძალვისას თქმული:

„ერთი-ორი სხვაც ჰყავდა,
ვინც მშობლისთვის იბრძოდა,
მაგრამ ვისაც მარხავდა,
საქართველომ იცოდა!“

აკადემიკოსი რომან შაქარიშვილი,
პროფესორი ალექსანდრე ცისკარიძე,
პროფესორი დიმიტრი კორძაია

გივი ბერიკაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო

ნატო ობოლაძე

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის ორგანიზებით, თსუ-ის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში გივი ბერიკაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო — „ნეტავი, იქ თეატრი არის?“ — გაიმართა. ქართველი სახალხო არტისტი მეგობრებმა, კოლეგებმა, მსახიობებმა დიდი სიყვარულით და სითბოთი გაიხსენეს. საღამოს თითქმის სრული შემადგენლობით დაესწრო კოტე მარჯანიშვილის თეატრის დასი. მსახიობებმა ჯემალ ღაღანიძემ, თამარ სხირტლაძემ, დიმიტრი ხვთისიაშვილმა, რომლის ავტორობითაც გივი ბერიკაშვილის შესახებ წიგნიც გამოიცა, შეკრებილ საზოგადოებას გივი ბერიკაშვილთან დაკავშირებული პირადი მოგონებები გაუზიარეს. ღონისძიებას მსახიობი ლევან ხურცია უძღვებოდა. მთავარი, რაც მათი ნაამბობიდან გამოიკვეთა, იყო ის, რომ გივი ბერიკაშვილი, გარდა არაჩვეულებრივი მსახიობისა, შეუდარებელი პიროვნება — მეგობარი, მამა, კოლეგა გახლდათ.



„რთულია იმ აზრთან შეგუება, რომ გივი ბერიკაშვილი აღარ არის. სიცოცხლის ბოლო დღეებშიც იგი იყო შემოქმედებითი ენერგიით დამუხტული, მხნე და გარშემომყოფებზე მზრუნველი. მისი სისხლით ნათესავი არ ვყოფილვარ, მაგრამ გავიზარდე იქ, სადაც გივი ბერიკაშვილი ცხოვრობდა — მისი მეუღლე ჩემი პედაგოგი გახლდათ. მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გამოვეცი წიგნი, გივი ბერიკაშვილმა ითამაშა ჩემი სცენარის მიხედვით ... მისი ბოლო საჩუქარი კი გახლდათ ის ქურთუკი, რომელიც ახლა მაცვია და რომელიც მან გარდაცვალებამდე 10-12 დღით ადრე შეიძინა. მიუხედავად იმისა, რომ აცივდა, მაინც ვერ ვიშორებ ამ ქურთუკს. შეგუება, რომ ის აღარ არის, ძალიან რთულია“, — აღნიშნა დიმიტრი ხვთისიაშვილმა.

მარჯანიშვილის თეატრის დასის მსახიობებმა გაიხსნეს ის დღეები, როდესაც გივი ბერიკაშვილთან გამოსათხოვებლად საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან სრულიად უცნობი, უბრალო მოქალაქეები მიდიოდნენ და თეატრში მისი სახლის მისამართს კითხულობდნენ. მსახიობები ამბობდნენ, რომ გივი ბერიკაშვილმა ჯერ კიდევ სიცოცხლეში მიიღო მსახიობისთვის ყველაზე მეტად სანატრელი ჯილდო — საერთო სახალხო სიყვარული და პატივისცემა.

„რუსთავიდან მოვდიოდით, საჭესთან გივი იჯდა, ცოტა ნასვამი იყო, შუქნიშანზე ანთებულ არც ერთ წითელზე არ გაუჩერებია მანქანა და ბოლოს ორი მოტოციკლეტით პატრული გამოგვეკიდა, გაგვაჩერეს. მე ვუთხარი გივის: — ხომ გეუბნებოდი ფრთხილად იარე, ახლა წაგართმევენ მანქანას, მართვის მოწმობას, დაგიჭერენ და ა.შ. თუმცა, სრულიად საპირისპირო რამ მოხდა: პატრულის ორივე თანამშრომელმა როგორც კი გივი დაინახა, გაუხარდათ, შესძახეს — ვაიმე, შენ გენაცვალე! ...და, რა თქმა უნდა, არავითარი ჯარიმა ან სხვა რამე ამას არ მოჰყოლია. მე დავიწყე ყვირილი: — დაიჭირეთ, გამოართვით მართვის მოწმობა... ასეთი ბევრი შემთხვევა მახსოვს... გივის სამსახიობო მონაცემებით ხშირად დავრჩენილვარ გაოცებული. არსებობს ისეთი როლი, რომლის შესრულებისთვისაც მეტი მუშაობა სჭირდება მსახიობს, თუმცა არა გივის შემთხვევაში. მე ასეთი სასწაული არ მინახავს — როდესაც სცენარს წაიკითხავდა, როლს ისე შეასრულებდა, თითქოს მთელი ცხოვრება იმ როლს თამაშობდა“, — გაიხსენა თამარ სხირტლაძემ.

გივი ბერიკაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე „ქუჩის მუსიკოსებმა“ მსახიობის საყვარელი რამდენიმე მუსიკალური ნომერი შეასრულეს. ასევე, ნაჩვენები იყო გივი ბერიკაშვილის მიერ შესრულებული როლების ვიდეოკოლაჟი. მსახიობებმა სტუდენტებს ინიციატივისთვის დიდი მადლობა გადაუხადეს, თუმცა, თამარ სხირტლაძემ იქვე აღნიშნა, რომ ისეთი ნახევრად ცარიელი დარბაზი, როგორც თსუ-ში ამ დღეს იყო, გივი ბერიკაშვილისადმი მიძღვნილ არც ერთ ღონისძიებაზე არასდროს ყოფილა.

„შემოდგომის ლეგენდა - 2017“

შურთხია ბეროშვილი

თეთრკოპლებიანი რკინის ჭიქის ამბავი ხატია იათაშვილმა მაროშენში, სარაჯიშვილების აღდგენილი სახლ-მუზეუმის პატარა სასტუმროს ბაღში დაწერა. ხატიასთვის ეს პირველი კონკურსია, სადაც უკვე პირველი პრიზიც მოიპოვა, თუმცა მომავალი გვიჩვენებს, მოუნდება თუ არა მას სხვა ამბების მოყოლა და მწერლის მძიმე ტვირთის ზიდვა. ყოველ შემთხვევაში, ხატიასთვის და კიდევ ბევრი სტუდენტისთვის „შემოდგომის ლეგენდა — 2017“ დაუვიწყარ მოგონებად დარჩება.

თსუ რექტორი პრიზს გადასცემს პირველ ადგილზე გასულ ხატია იათაშვილს

ალექსანდრე კალმახელიძე

სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი, რომელიც 2009 წლიდან ტარდება, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კომპანია „ჯეოსელის“ ერთობლივი პროექტია, თუმცა კონკურსში მონაწილეობის საშუალება საქართველოს ყველა აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს აქვთ. კონკურსი ორ ეტაპად ხორციელდება. წელს პირველ ტურში მონაწილეობა 427-მა კონკურსანტმა მიიღო. შიდაშესარჩევმა ჟიურის წევრებმა 10 ფინალისტი გამოავლინეს, რომლებმაც იმპროვიზაციულ ტურში ჟიურის მიერ შერჩეულ თემაზე: „სხვისი ავტობიოგრაფია“, 12 საათის განმავლობაში ახალი ნაშრომები შექმნეს.

28 ნოემბერს თსუ-ის მუზეუმის დარბაზში ლიტერატურული კონკურსის „შემოდგომის ლეგენდა — 2017“ საზეიმო დახურვის ცერემონიალი გაიმართა, სადაც გამარჯვებულებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კომპანია „ჯეოსელის“ მიერ დაწესებული ფულადი პრემიები და სპეციალური პრიზები გადაეცათ. იმპროვიზაციული ტურის 10 მონაწილედან ჟიურის წევრებმა 3 საუკეთესო მოთხრობის ავტორი შეარჩიეს: — ხატია იათაშვილმა პირველი ადგილი და 1000 ლარი მიიღო საჩუქრად, ალექსანდრე კალმახელიძეს II ადგილი და 700 ლარი ხვდა წილად, III ადგილი, 500 ლარიან ფულად ჯილდოსთან ერთად, მარიამ ჭუმბურიძემ დაიმსახურა.

კონკურსის მონაწილეებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ალეკო თევზაძე, თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, კომპანია „ჯეოსელის“ წარმომადგენლები, ჟიურის წევრები მიესალმნენ და გამარჯვება მიულოცეს.

„შემოდგომის ლეგენდა ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენაში. ამისთვის მადლობა უნდა გადავუხადოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და კომპანია „ჯეოსელს“, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ამ პროექტის განხორციელებას. ჩემთვის სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ კონკურსში ყველა უნივერსიტეტის სხვადასხვა მიმართულების სტუდენტი იღებს მონაწილეობას, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ლიტერატურას საზღვრები არ გააჩნია და უნივერსალური ფასეულობაა“, — განაცხადა ალეკო თევზაძემ.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კომპანია „ჯეოსელის“ ერთობლივი პროექტი, რომელიც უკვე მე-9 წელია არსებობს, ძალიან მნიშვნელოვანი კონკურსია და სასიამოვნოა, რომ ყოველწლიურად სტუდენტთა რაოდენობასთან ერთად იზრდება აქ შექმნილი ლიტერატურული ნაშრომების ხარისხიც. ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ ყველა ასეთ სასიკეთო წამოწყებას, რაც სტუდენტებს თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენაში დაეხმარება“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

კონკურსის მნიშვნელობაზე ჟიურის წევრებმაც ისაუბრეს და სტუდენტებს გამარჯვება მიულოცეს.

„მნიშვნელოვანია, რომ პროექტში უფრო და უფრო მეტი ადამიანი მონაწილეობს. ყოველ წელს იცვლება თემატიკა, პრიორიტეტები, ის, რაზეც ფიქრობენ სტუდენტები და ეს ძალიან საინტერესო პროცესია. რჩევის სახით კი ახალგაზრდებს ვეტყვი, რომ თუ გიყვარს ის, რასაც აკეთებ, უნდა იშრომო და და აუცილებლად იპოვნი შენს თავს. ბევრი იკითხეთ და ბევრი წერეთ. დიდი მადლობა კონკურსის ორგანიზატორებს! მათთან თანამშრომლობა ძალიან დიდი სიამოვნება და პატივია. მინდა, წარმატება ვუსურვო ყველა მონაწილეს — ამ კონკურსზე ბევრი ახალი სახელი აღმოვაჩინეთ და იმედია, მომავალშიც ასე გაგრძელდება“, — ამგვარად გამოხატა თავისი დამოკიდებულება შიდაშესარჩევი ჟიურის წევრმა, მწერალმა სალომე ბენიძემ.

„ჩემთვის „შემოდგომის ლეგენდა“ არის ამბავი, რომელიც 9 წელია იწერება და არ მთავრდება... ამ პროექტს ყოველ წელს ემატება ახალი წევრები, ახალი ფერები, ახალი ამბები, რომლებიც ძალიან ღამაზ სივრცეში იბადებიან... პროექტის თითოეული მონაწილე ქმნის საკუთარ ისტორიას და ამბავს. ვფიქრობ, რომ ერთად ვკითხულობთ ხვალინდელ დღეს, მომავალს, რომელიც ჩვენს თვალწინ იბადება. ძალიან სასიამოვნოა, რომ ამ პროცესის მონაწილე ვარ და საშუალება მომეცა — გამეცნო ბევრი ახალგაზრდა მწერალი. წარმატებას ვუსურვებ ათივე სტუდენტს, რადგან ყველა გამარჯვებულია“, — აღნიშნა ჟიურის წევრმა, მწერალმა თეონა დოლენჯაშვილმა.

კონკურსანტებს ჟიურის წევრი, მწერალი დათო ტურაშვილიც მიესალმა: „ვულოცავ ყველა გამარჯვებულს წარმატებას, მადლობა გვინდა ვუთხრათ იმ ადამიანებს, ვინც ხელს უწყობს ასეთ კონკურსებს. დღეს განსაკუთრებული თანადგომა სჭირდებათ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც წერენ. იმედია, სანამ უნივერსიტეტი იარსებებს, ასეთი კონკურსებიც სულ იქნება“, — თქვა დათო ტურაშვილმა.

საზეიმო ცერემონიაზე ლიტერატურული კონკურსის მნიშვნელობაზე ჟიურის სხვა წევრებმა: მაკა ლდოკონენმა, არჩილ ქიქოძემ, ბექა ბერიძემ, დათო გორგილაძემ და სალომე მხეიძემაც ისაუბრეს.

კონკურსის ერთ-ერთი ორგანიზატორის ნინო კალანდიას ინფორმაციით, „შემოდგომის ლეგენდის“ ბევრი მონაწილე უკვე დიდი წარმატებით მოღვაწეობს სამწერლო ასპარეზზე და აქტიურად არის ჩართული ლიტერატურულ პროცესებში — ახალგაზრდა მწერლებმა გამოსცეს წიგნები, გადაიღეს ფილმები, დაიდგა რადიო სპექტაკლიც. ფინალისტების მოთხრობები კი ყოველ წელს სპეციალურ კრებულში იბეჭდება.

კონკურსის ფინალი განსაკუთრებით სასიხარულო აღმოჩნდა გამარჯვებული სტუდენტებისთვის.

„არ ველოდი პირველ ადგილზე რომ გავიდოდი. მხოლოდ იმას ვფიქრობდი, შეიძლება ათეულში მოვხვდეთქო. ამ გამარჯვებამ თავბრუ დამახვია“, — ამბობს I ადგილზე გასული ხატია იათაშვილი, რომელიც შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია.

„მადლობა მინდა ვუთხრა როგორც ორგანიზატორებს და ჟიურის წევრებს, ისე ყველა მონაწილეს. ამ კონკურსში გამარჯვებული და დამარცხებული არ არსებობს, ჩემთვის გამარჯვებაზე მთავარი მაინც ადამიანური ურთიერთობები იყო“, — თავისი შთაბეჭდილება ასე გამოხატა კონკურსის II ადგილის მფლობელმა ალექსანდრე კალმახელიძემ, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია.

„ჩემთვის ეს უკვე მეორე შემოდგომის ლეგენდაა — ეს კონკურსი განსაკუთრებულად მიყვარს, ვინაიდან საშუალება გეძლევა, შენი შესაძლებლობები გამოავლინო. ეს კი სტუდენტებს ძალიან სჭირდებათ. გამარჯვებას არ ველოდი, ამიტომ დაბნეული და თან ძალიან ბედნიერი ვარ“, — გაგვიზიარა თავისი ემოცია III ადგილის მფლობელმა მარიამ ჭუმბურიძემ. იგი ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტია.

წელს კონკურსს ონლიან მარათონის გამარჯვებულიც ჰყავდა. ამ პრიზის მფლობელი ნინო მოდებაზე გახდა, რომელსაც კომპანია „ჯეოსელის“ მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი გადასცეს.

„შემოდგომის ლეგენდა“ კარგი სტარტია ახალგაზრდა მწერლებისთვის. მარათონი მომავალ შემოდგომაზეც უხმობს ახალგაზრდებს და მათგან კიდევ ბევრ ახალ საინტერესო ამბავს ელოდება...



მთავარი რედაქტორი

ნინო კაკულია

მთავარი სპეციალისტი

მაია ტორაძე

ტექნიკური რედაქტორი

მანანა ჯურხაძე

ჟურნალისტები:

ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი

ფოტოკორესპონდენტი

ანა ბოლქვაძე

კომპ. უზრუნველყოფა

ზაზა გულაშვილი

რედკოლეგიის წევრები:

რისმაგ გორდეზიანი,
იაგო კაჭკაჭიშვილი,
ეთერ ხარაიშვილი,
ლადო პაპავა,
მანანა შამილიშვილი,
თემურ ნადარეიშვილი,
ლადო მინაშვილი,
მორის შალიკაშვილი,
ნინო ჩიხლაძე,
გიორგი ჯაიანი,
არსენ გვენეტაძე,
მარიამ ცისკაძე,
ნინო ჭალაგანიძე,
ირმა რუხაძე

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)

2 22 36 62

ვებგვერდი:
newspaper.tsu.edu.ge

ელ.ფოსტა:
tsunewspaper@tsu.ge

GARB

1 ოქტომბრიდან გადაცემა „უნი-ვერსია“ გადის რეგიონულ ტელევიზიებში, რასაც საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია უზრუნველყოფს (თსუ-სა და საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად).